F 171
1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

**7-8**

ივლისი—აგვისტო

თბილისი—1969

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**7-8**

ივლისი—აგვისტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 3361.

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო
რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
* თბილისი *

თბილისი—1969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი
თ. ვ. ლაშქარაშვილი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა
განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის საქართველოს
რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი
ლ. თვაური

1969 წლის 4 აპრილი

# შრომის შინაგანაწესი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთათვის

### I. ზოგადი დებულებანი

1. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის 130-ე მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაიცვას შრომის დისციპლინა.

საბჭოთა კავშირში შრომის დისციპლინა ემყარება შრომისადმი მოქალაქეთა შეგნებულ დამოკიდებულებას.

2. შრომის შინაგანაწესის ეს წესები ვრცელდება ყველა ტიპისა და დასახელების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაკებზე და მიზნად ისახავს შრომის სოციალისტური დისციპლინის შემდგომი განმტკიცების უზრუნველყოფას, შრომის სწორ ორგანიზაციას და მისი უსაფრთხო პირობების შექმნას, სამუშაო დროის სრულ და რაციონალურ გამოყენებას და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი ხარისხის მისაღწევად სკოლებში საუკეთესო პირობების შექმნას.

### II. სკოლის მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის წესი

3. სკოლის მუშაკთა მიღების, გადაყვანისა და დათხოვნის წესები გაიისაზღვრება დებულებით (წესდებით) სკოლის შესახებ,

აგრეთვე მოქმედი შრომის კანონმდებლობის საერთო ნორმებით, სახალხო განათლების ცალკეული კატეგორიის მუშაკთათვის კანონმდებლო წესით დადგენილი სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. სამუშაოზე მიღებისას სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსთხოვოს მისაღებ პირს დადგენილი წესით გაფორმებული შრომის წიგნაკი და პასპორტი. იმ ადგილებში, სადაც პასპორტი შემოღებული არ არის, მუშაობის პირველად დამწყებ პირს მოეთხოვება ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან (სახლმმართველობიდან, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორიდან, სასოფლო ან სადაბო საბჭოდან) დასაქმების ხასიათის, ან შრომითი საქმიანობის აღნიშვნით.

პირები, რომლებიც მუშაობას იწყებენ მასწავლებლის, აღმზრდელის, პიონერხელმძღვანელის, ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორის, სკოლის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე და პედაგოგიური შრომის სხვა მუშაკები, გარდა ზემოაღნიშნული საბუთებისა, სავალდებულო წესით წარადგენენ განათლების (სპეციალობის) სათანადო საბუთს—დიპლომს, ატესტატს,* მოწმობას, რომელთა შემოწმებული ასლი რჩება პირად საქმეში. ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც დაასრულეს უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებელი (გარდა საღამოს და დაუსწრებელი განყოფილებისა), დამთავრებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში მიიღებიან სამუშაოზე მხოლოდ დადგენილ ნიმუშის საგზურით ან სამინისტროს, უწყების (სასწავლებლის დაქვემდებარების მიხედვით) ნებართვით, რომ შეუძლია დამოუკიდებლად მოეწყოს სამუშაოზე.

პირები, რომლებიც მუშაობას იწყებენ ბავშვთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ვალდებულნი არიან აგრეთვე წარადგინონ საექიმო ცნობა იმის შესახებ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა მათ ხელს არ უშლით იმუშაონ საბავშვო დაწესებულებებში.

ზემოხსენებული საბუთების წარდგენის გარეშე სკოლაში სამუშაოდ მიღება დაუშვებელია. სკოლის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს მოითხოვოს სხვა საბუთების წარდგენა, გარდა ამ პუნქტში აღნიშნულისა.

სკოლაში სამუშაოზე მისაღები პირები შეიძლება დაშვებულ იქნენ სამსახურის მოვალეობის შესასრულებლად მხოლოდ სათანადო თანამდებობაზე დანიშვნის ბრძანების შემდეგ, რომელსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსცემს მათი დანიშვნის უფლების მქონე ორგანო ან თანამდებობის პირი.

ბრძანების წიგნი სკოლის მუშაკთა შესახებ უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი, ბეჭედდასმული, გარკვეულად, ამოშლისა და ჩასწორების გარეშე დაწერილი, ბრძანების წიგნი ინახება სკოლის ადმინისტრაციასთან ცეცხლგამძლე კარადაში.

5. სამუშაოზე პირველად მიღებულ პირებზე შრომის წიგნაკი უნდა შეივსოს ხუთი დღის ვადაში. შეთავსებით მომუშავე პირთა შრომის წიგნაკების წარმოება ხდება ძირითად სამუშაო ადგილზე.

სკოლის მუშაკთა შრომის წიგნაკები ინახება ცეცხლგამძლე კარადაში, სკოლის დირექტორთან და დამოწმებული უნდა იყოს მისივე ხელმოწერითა და სკოლის ბეჭდით. შრომის წიგნაკების შევსებისას სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს ინსტრუქციით წიგნაკების წარმოების წესის შესახებ.

პატარა სკოლებში, სადაც მუშაობს არა უმეტეს 4 მასწავლებლისა, შრომის წიგნაკებს ავსებს და ინახავს სახალხო განათლების რაიონული განყოფილება. შრომის წიგნაკში გარდა სკოლის ბრძანების, მისი ნომრისა და თარიღისა, აუცილებლად აღინიშნება სახალხო განათლების განყოფილების ბრძანების ნომერი და თარიღი პედაგოგიური შრომის მუშაკთა დანიშვნის შესახებ.

6. თვითეულ მასწავლებელსა და პედაგოგიური შრომის სხვა მუშაკზე სკოლაში შეიქმნება პირადი საქმე, რომელშიც ინახება კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, საბუთების ასლები განათლებისა და მასწავლებლის პერსონალური წოდების მინიჭების შესახებ იმ პირებზე, რომლებიც ატესტაციას გადიან, საექიმო ცნობა საბავშვო დაწესებულებაში სამუშაოზე დაშვების შესაძლებლობის შესახებ, სათანადო განათლების განყოფილებისა და სკოლის ბრძანებებიდან ამონაწერი დანიშვნის, გადაყვანის, დათხოვნის ან წახალისების შესახებ.

**შენიშვნა:** სამუშაოდან დათხოვნის შემდეგ პირადი საქმე აუცილებლად რჩება სკოლაში და ინახება სამუდამოდ.

7. თვითეული სკოლა, გარდა ბრძანების წიგნისა, აწარმოებს სკოლის მუშაკთა პირადი შემადგენლობის აღრიცხვის წიგნს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით. წიგნი ინახება სკოლის ადმინისტრაციასთან ცეცხლგამძლე კარადაში.

ბიბლიოთეკა

8. მუშაკის მიღების ან სხვა სამუშაოზე გადაყვანისას სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) გააცნოს მას შრომის შინაგანაწესი, ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და ხანძრის საწინააღმდეგო დაცვის საკითხებზე;

ბ) განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობანი, გააცნოს შრომის პირობები და საჭირო შემთხვევაში მოწყობილობის გამოყენების წესი.

9. ახალი მასწავლებლის დანიშვნა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ვაკანტურ თანამდებობაზე; არასრულ განაკვეთზე დანიშვნა შეიძლება გამონაკლის შემთხვევებში და ისიც მხოლოდ საოლქო განათლების განყოფილების, ასსრ განათლების სამინისტროს ნებართვით. არასრული დატვირთვის მქონე მასწავლებლის სკოლიდან წასვლის შემთხვევაში მისი საათები გაუნაწილდება მისივე სპეციალობის დანარჩენ მასწავლებლებს, პირველ რიგში, ვისაც სრული დატვირთვა არა აქვს.

ახალი სასწავლო წლისათვის სასწავლო საათების განაწილება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს მასწავლებლის მორიგ შვებულებაში გასვლამდე ისე, რომ მან იცოდეს, რომელ სკოლაში, რა სასწავლო დატვირთვით იმუშავებს იგი მომავალ წელს.

10. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია წინასწარ აცნობოს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტს შტატების შემცირების გამო დასახული ღონისძიებისა და იმ პირთა შემდგომი შრომამოწყობის გეგმის შესახებ, რომლებიც სამუშაოდან იქნებიან დათხოვნილი შტატის შემცირებასთან დაკავშირებით (სკოლის, კლასის ლიკვიდაცია).

შემცირებაში მოყოლილი მუშაკები გადაყვანილ უნდა იქნენ სხვა სამუშაოზე მათი თანხმობით ან შრომამოწყობილი.

11. საკუთარი სურვილით დათხოვნისას მუშაკი მოვალეა წერილობით გააფრთხილოს ამის შესახებ სკოლის ადმინისტრაცია დათხოვნამდე ორი კვირით ადრე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციას უფლება არა აქვს დააგვიანოს საბოლოო ანგარიშის გასწორება და დათხოვნის გაფორმება. საქმეში რჩება მუშაკის განცხადების დედანი საკუთარი სურვილით სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. პედაგოგიური შრომის მუშაკთა დათხოვნა ხდება სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის სამი წლის ვადის გასვლამდე საკუთარი სურვილით ახალგაზრდა სპეციალისტთა დათხოვნის წესი რეგლამენტირდება განათლების სამინისტროს მიერ.

12. მუშაკის დათხოვნისას ადმინისტრაცია ვალდებულია იმავე დღეს მისცეს მას, დათხოვნის მიზეზის დამოუკიდებლად, მისი შრომის წიგნაკი, დათხოვნის შესახებ ჩანაწერით და გაუსწოროს საბოლოო ანგარიში. ამასთან დათხოვნის მიზეზი აღნიშნული უნდა იქნეს მოქმედი შრომის კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესაბამისობით ან შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისი მუხლისა და პუნქტის მითითებით.

## III. ადმინისტრაციისა და სკოლის მუშაკთა ძირითადი მოვალეობანი

13. სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია:

ა) მოაწესრიგოს მუშაკთა შრომა მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

ბ) განამტკიცოს შრომის დისციპლინა;

გ) მიიღოს ზომები მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სკოლის მუშაკთა დროის ბიუჯეტის მოწესრიგებისათვის;

დ) ყოველდღიური დახმარება გაუწიოს ახალგაზრდა სპეციალისტებს, დამწყებ და მცირე გამოცდილების მქონე მასწავლებლებს მათ მუშაობაში;

ე) გაატაროს ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის რაციონალიზაციისათვის; შექმნას სათანადო პირობები სკოლისა და მასწავლებლის მუშაობაში მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ფართოდ გავრცელებისა და დანერგვისათვის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ვ) აამაღლოს საწარმოო თათბირების როლი, შექმნას პირობები საწარმოო თათბირებზე მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკის ფართოდ გაშლისათვის, მიიღოს ზომები ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის; განიხილოს მასწავლებელთა მიერ შემოტანილი ყველა წინადადება, რომელიც მიმართულია სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ და მიიღოს სათანადო ზომები „მოქალაქეთა წინადადებებისა, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად;

ზ) სასწავლო წლის დაწყებამდე უზრუნველყოს მასწავლებლები საჭირო სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყოებით; გააცნოს მათ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში შეტანილი ცვლილებები; უზრუნველყოს ტექნიკური პერსონალი საჭირო სამეურნეო ინვენტარით;

თ) უზრუნველყოს სკოლის შენობების სათანადოდ შენახვა (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, რემონტის დროულად ჩატარება, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულება), აგრეთვე სკოლის ქონების, მოწყობილობის, სკოლის თანამშრომელთა ზედა ტანსაცმლის შენახვა;

ი) ზუსტად შეასრულოს შრომის დაცვის, საწარმოო სანიტარიის წესები და უზრუნველყოს სკოლის მუშაკთა და მოსწავლეთა ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის დარგში. სახელოსნოებში, სასწავლო კაბინეტებსა და ლაბორატორიებში პრაქტიკული მუშაობის შესრულებისას უზრუნველყოს სკოლის მუშაკთა და მოსწავლეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა, როგორც სკოლაში ყოფნისას, ისე სკოლის გარეშე ღონისძიებების ჩატარებისას (საწარმოო პრაქტიკაზე, ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებზე, მუზეუმებსა და თეატრებში და ა. შ.);

კ) უზრუნველყოს სასწავლო სათავსოებში ტემპერატურის რეჟიმი და განათება დადგენილი ნორმების შესაბამისად, ყოველდღიური სველი დალაგება;

ლ) უზრუნველყოს სკოლის მუშაკები და მოსწავლეები ცხელი საკვებით;

მ) მოაწყოს მასწავლებელთა დასასვენებელი ოთახი (სამასწავლებლო);

ნ) დროულად, გრაფიკისა და კანონის მოთხოვნების შესაბამისად მისცეს შვებულება სკოლის მუშაკებს (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი); შვებულების ნაწილ-ნაწილად გაყოფა (რამდენიმე ვადით მიცემა) დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და ისიც მუშაკის თანხმობით.

შენიშვნა: 1. შვებულების გრაფიკი უნდა შედგეს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით და დროულად გამოეცხადოს სკოლის მუშაკებს.

2. მორიგი შვებულება მასწავლებლებს, როგორც წესი, უნდა მიეცეთ საზაფხულო არდადეგების პერიოდში, დამატებითი შვებუ-

ლება, ხელფასის შენახვით, დაუსწრებელი და საღამოს უმაღლესი აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლებისა და საღამოს (ცვლის) სკოლების სტუდენტებსა და მოსწავლეებს ეძლევათ საგამოცდო სესიების პერიოდში დადგენილი წესით გამოძახების შემდეგ. შვებულების მიცემა ფორმდება სკოლისადმი ბრძანებით.

3. სკოლების დირექტორების შვებულება, რომელიც ფორმდება სათანადო სახალხო განათლების განყოფილების ბრძანებით, უნდა ენაცვლებოდეს დირექტორის მოადგილეების შვებულებას ისე, რომ ერთ-ერთი მათგანი იმყოფებოდეს სამუშაოზე სკოლაში;

ო) გულისხმიერად მოეკიდოს სკოლის მუშაკთა ყოველდღიურ საჭიროებას, იზრუნოს მათი ბინით უზრუნველსაყოფად, ხოლო სოფელ ადგილებსა და მუშათა დასახლებაში მიაღწიოს მასწავლებელთა, ბიბლიოთეკარების, ინტერნატების აღმზრდელების, უფროსი პიონერხელმძღვანელებისა და სკოლის სხვა მუშაკთა და მათთან მცხოვრებ ოჯახის სხვა წევრთა უზრუნველყოფას უფასო ბინით, გათბობითა და განათებით—ნატურით, ხელი შეუწყოს სკოლის საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ მასწავლებელთა ბინების რემონტის ჩატარებას. მიიღოს ზომები „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთათვის კანონით დადგენილი შეღავათების მისაცემად, აგრეთვე უზრუნველყოს ავად გამხდარი სკოლის მუშაკის გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებაში;

პ) დროულად წარუდგინოს განათლების განყოფილებას ყველა საჭირო დოკუმენტაცია მასწავლებელთა ტარიფიკაციისათვის; დროულად გააფორმოს მუშაკთა მიღება, გადაყვანა და დათხოვნა ბრძანების წიგნში და შრომის წიგნაკებში, უზრუნველყოს სკოლის მუშაკთა ხელფასის გაცემა დაწესებულ ვადებში;

ჟ) შეუქმნას სკოლის მუშაკებს სათანადო პირობები იდეურ-პოლიტიკური დონისა და საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

14. სკოლის მუშაკები ვალდებულნი არიან:

ა) იმუშაონ პატიოსნად და კეთილსინდისიერად, დაიცვან შრომის დისციპლინა, სასწავლო რეჟიმი და შრომის შინაგანაწესი (დროზე მოვიდნენ სამუშაოზე, დაიცვან სამუშაო დროის დადგენილი ხანგრძლივობა); დროულად და წესიერად შეასრულონ სკოლის ადმინისტრაციის განკარგულებანი;

ბ) სისტემატურად აიმაღლონ კვალიფიკაცია, იდეურ-თეორიული და კულტურული დონე;

ბიბლიოთეკა

გ) იყვნენ ღირსეული ყოფაქცევისა და მაღალი მორალური თვისებების მაგალითი როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ;

დ) განუხრელად დაიცვან სათანადო წესებითა და ინსტრუქციით გათვალისწინებული უსაფრთხოების ტექნიკის, სანიტარიისა და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნები;

ე) გაუფრთხილდნენ სოციალისტურ საკუთრებას (მოწყობილობას, ინვენტარს, მასალებს, სასწავლო ხელსაწყოებს და ა. შ.) და ჩაუნერგონ მოსწავლეებს სახელმწიფო ქონებისადმი მზრუნველობითი დამოკიდებულება.

15. სკოლის დირექტორი ახორციელებს სკოლაზე ხელმძღვანელობას. პასუხს აგებს რა სკოლის მთელი მუშაობისათვის, იგი უზრუნველყოფს პედაგოგიური კადრების სწორად განაწილებას, იღებს ზომებს სკოლის მუშაობისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად.

ახორციელებს ხელმძღვანელობას მასწავლებელთა კოლექტივზე, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

აკომპლექტებს სკოლას მოსწავლეებით, წარმართავს მათი კოლექტივისა და მოსწავლეთა ორგანიზაციების საქმიანობას, ყოველი ღონისძიებით ხელს უწყობს მათი ინიციატივისა და შემოქმედების განვითარებას.

აწყობს მშობელთა შორის მუშაობას; პასუხს აგებს სკოლის მიკრორაიონში ბავშვთა საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების განხორციელებისა და საშუალო განათლების გაფართოებისათვის, მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის, მათი საგანმანათლებლო, პოლიტექნიკური და შრომითი მომზადების ორგანიზაციისათვის, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისათვის, სანიტარიის, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისათვის, სკოლის მოსწავლეებისა და მუშაკთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის როგორც სასწავლო მეცადინეობის პერიოდში, ისე კლასგარეშე ღონისძიებების ჩატარებისას, მიმართავს ზემოქმედების ზომებს შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ; სკოლის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წასახალისებლად წარადგენს სკოლის მუშაკებს, აგვარებს მოსწავლეთა კვებას, უზრუნველყოფს სკოლის მეურნეობის, საქმის წარმოების, არქივისა და სტატისტიკური ანგარიშიანობის სწორად წარმოებას; ეხმარება ახალგაზრდა და მცირე გამოცდილების მქონე მასწავლებლებს.

სკოლასთან ინტერნატის არსებობის შემთხვევაში ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობას ინტერნატზე და პერსონალურად აგებს პასუხს მისი მდგომარეობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებისათვის;

აგვარებს და კონტროლს უწევს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობას.

საღამოს (ცვლის) სკოლების დირექტორებს, ამას გარდა, სწავლების საკითხებზე მუდმივი კავშირი აქვთ იმ საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და კოლმეურნეობებთან, რომელთა მუშაკები მათ სკოლაში სწავლობენ.

დირექტორი სკოლას ხელმძღვანელობს კოლეგიალობასთან ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე, პედაგოგიურ საბჭოზე, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, ყოველ ზომას იღებს სკოლისათვის დახმარების მიზნით მოსწავლეთა მშობლების საშეფო საწარმოებისა და დაწესებულებების დასარაზმავად.

16. სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვალდებულია უზრუნველყოს მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სწორად დაყენება და მისი მაღალი დონე. ამ მიზნით იგი ადგენს გაკვეთილებისა და კლასგარეშე მეცადინეობის ცხრილს, რომელიც პედაგოგიურ მოთხოვნებს შეესაბამება; ახორციელებს სისტემატურ კონტროლს მასწავლებელთა, კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულებისადმი და გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მუშაობისადმი; აწყობს მასწავლებელთა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეთოდურ მუშაობას; სკოლის დირექტორთან ერთად ადგენს მუშაობის გეგმას მთელი წლის ან ნახევარი წლისათვის. თუ სკოლაში დირექტორის ორი მოადგილეა სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში, თვითეული მათგანის მუშაობის მოცულობას განსაზღვრავს სკოლის დირექტორი.

17. ფუნქციები ბავშვებთან კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღზრდელობითი მუშაობის ორგანიზატორისა, რომელიც სკოლის დირექტორის მოადგილის უფლებებით სარგებლობს, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული სათანადო დებულებით.

18. სკოლის დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში და სამნეო ნაწილის გამგე პასუხისმგებელნი არიან სკოლის დირექტორის წინაშე სკოლის შენობებისა და სასკოლო ქონების დაცვასა, სასკოლო შენობებში სანიმუშო სისუფთავესა და წესრიგზე, სასწავლო ნივთებით, წყლითა და სათბობით სკოლის უზრუნველყოფაზე, ახალი სასწავლო წლისათვის სასკოლო შენობის დროულად მომზადებასა, დამლაგებლების, მეგარდერობეთა, ცეცხლფარეშთა და სხვათა წესიერ მუშაობაზე.

სკოლასთან ინტერნატის არსებობის შემთხვევაში დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში და სამნეო ნაწილის გამგე ახორციელებენ მასზე ზედამხედველობას და უზრუნველყოფენ მის შენახვას სასკოლო ინტერნატების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

დირექტორის თანაშემწე ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში და სამნეო ნაწილის გამგე, სკოლის დირექტორის ნებართვით აწარმოებენ სასკოლო თანხების ხარჯვას სამეურნეო საჭიროებისათვის და ამ ხარჯების ანგარიშს უდგენენ სკოლის დირექტორს.

19. სასწავლო-სახელოსნოს გამგე (სასწავლო სახელოსნოების ოსტატი) პასუხისმგებელია მოსწავლეებთან მეცადინეობის სწორად წარმართვისათვის სახელოსნოების მოწყობისა, დაზგებისა და დანადგარების გამართვის, მასალებით სახელოსნოს მომარაგების, შრომითი დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის დაცვისა და მინდობილ მატერიალურ ფასეულობათა შინახვისათვის.

20. მასწავლებლები, საბჭოთა სკოლის მოთხოვნების შესაბამისად, პასუხს აგებენ მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლებისათვის სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესრულების, სასწავლო მუშაობის უფრო რაციონალური მეთოდების გამოყენების, მოსწავლეთა ცოდნის დონისა და მისი შეფასების მდგომარეობისათვის, აგრეთვე მათი ჩვევებისა და შემდეგ კლასში გადაყვანისა თუ გამოშვებისათვის.

მასწავლებლები ვალდებულნი არიან ახამებდნენ მოსწავლეებისადმი პატივისცემასა და ყურადღებას გონივრულ მომთხოვნელობასთან, ითვალისწინებდნენ მათ ასაკობრივ თავისებურებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლები მუდამ უნდა იმაღლებდნენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, თეორიულ და პროფესიულ მომზადებას.

21. კლასის ხელმძღვანელებს ნიშნავს სკოლის დირექტორი მოცემული კლასის მასწავლებელთაგან. მათი მოვალეობაა: კლასზე საერთო პედაგოგიური ხელმძღვანელობის განხორციელება, მოსწავლეთა დარაზმვა მეგობრულ, შრომისუნარიან და დისციპლინარულ კოლექტივად, მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებათა შესწავლა და მათში აქტივობის, დამოუკიდებლობის, სწავლებისადმი პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება, შრომისმოყვარეობის, მათი ინდივიდუალური თავისებურებებისა და ინტერესების განვითარებისათვის ხელის შეწყობა; დახმარების გაწევა მოსწავლეთა სასწავლო და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის რაციონალურად მოწყობაში.

ამ მოვალეობას კლასის ხელმძღვანელი ახორციელებს სასკოლო კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებზე დაყრდნობით, ამყარებს მუდმივ კავშირს მასწავლებლებთან, მშობლებთან.

კლასის ხელმძღვანელი მუშაობს მათთვის დამტკიცებული დებულებით.

22. გახანგრძლივებული დღის ჯგუფების აღმზრდელები, თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ დადგენილი წესის მიხედვით დამტკიცებული დებულებით გახანგრძლივებული დღის სკოლისა და ჯგუფის შესახებ. აღმზრდელები პასუხს აგებენ ჯგუფის მუშაობის სწორი ორგანიზაციის, აგრეთვე ბავშვთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისათვის, ჯგუფში მათი ყოფნის პერიოდში.

23. სკოლებთან არსებული ინტერნატების აღმზრდელები თავიანთ მუშაობაში ხელმძღვანელობენ დადგენილი წესით დამტკიცებული დებულებით სასკოლო ინტერნატების შესახებ და მუშაობენ სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.

24. ბიბლიოთეკარები მასწავლებლებთან ერთად ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვას, უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკის შევსებას წიგნებით, პასუხს აგებენ ჩაბარებული წიგნადი ფონდის შენახვისათვის და მუშაობენ დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

25. კაბინეტების გამგეები ინიშნებიან სკოლის დირექტორის მიერ სათანადო სპეციალობის მასწავლებელთაგან; ისინი უზრუნველყოფენ კაბინეტების სწორად გამოყენებას სასწავლო პროგრა-

მების შესაბამისად: პასუხს აგებენ კაბინეტებში არსებული მოწყობილობის შენახვისათვის და ზომებს იღებენ სასწავლო ხელსაწყოებით კაბინეტების შევსებისათვის.

26. სასწავლო კაბინეტების ლაბორანტები ინიშნებიან სკოლის დირექტორის მიერ და მუშაობენ შესაბამისი სასწავლო კაბინეტების გამგეთა ხელმძღვანელობით; ისინი პასუხს აგებენ მათი მითითებით მოწყობილობისა და აპარატურის დროულად მომზადებისათვის ლაბორატორიული, პრაქტიკული და სადემონსტრაციო სამუშაოთა ჩასატარებლად, აგრეთვე ჩაბარებული მოწყობილობის წესრიგში ყოფნისათვის.

27. უფროს პიონერხელმძღვანელს ნიშნავს სახალხო განათლების განყოფილება კომკავშირის რაიკომთან (ქალაქკომთან) შეთანხმებით კომკავშირელთა ან კომუნისტთაგან, ასაკით არა ნაკლებ 18 წლისა, საშუალო ან უმაღლესი განათლებით და ბავშვებთან მუშაობისადმი მიდრეკილებით.

უფროსი პიონერხელმძღვანელი მუშაობს საქ. ალკკ ც. კ.-ის მიერ დამტკიცებული დებულებით ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის რაზმეულის უფროსი პიონერხელმძღვანელის შესახებ.

28. სკოლების სამედიცინო მომსახურებას ახორციელებს რაიონის (ქალაქის) ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

მედიცინის მუშაკები სკოლებში ატარებენ სანიტარულ-ჰიგიენურ და სამკურნალო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ჯანმრთელობის შენარჩუნებას, ფიზიკურ განვითარებას, მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდას.

თავიანთ მუშაობაში მედიცინის მუშაკები ხელმძღვანელობენ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების მითითებებითა და ამ წესებით.

29. ბუღალტერი აწარმოებს ფულად და მატერიალურ აღრიცხვას და ანგარიშგებას, პასუხს აგებს მასწავლებელთა ტარიფიკაციისათვის საბუთების დროულად მომზადების, საინვენტარო წიგნის წარმოების, აგრეთვე ფულადი საბუთებისა და მატერიალურ ფასეულობათა შენახვის სწორად ორგანიზებისათვის; თავის მუშაობაში იგი ხელმძღვანელობს დებულებით მთავარი და უფროსი ბუღალტრების შესახებ.

30. საქმისმწარმოებელი — მემანქანე (მდივანი) ასრულებს მანქანაზე საბეჭდ სამუშაოებს, ეწევა საქმისწარმოებას, აწარმოებს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლის სტატისტიკურ ანგარიშგებას, მოსწავლეთა აღრიცხვას და მათ პირად საქმეებს, სკოლის არქივს.

31. დამლაგებლები ამზადებენ საკლასო ოთახებს გაკვეთილებისათვის, ყოველდღიურად აწარმოებენ სასკოლო შენობების სველ დალაგებას, გულდასმით ადევნებენ თვალყურს სკოლის სანიტარული კვანძების სისუფთავეს, რეცხავენ იატაკს; თუ არ არის მეგარდერობე, იცავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ზედა ტანსაცმელს; დროულად იძლევიან გაკვეთილების დაწყებისა და დამთავრების მაუწყებელ ზარს; უზრუნველყოფენ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ანადუღები სასმელი წყლით, თვალყურს ადევნებენ პირსაბანებში წყლის ჩასხმას. დირექტორს შეუძლია სამუშაო დღის განმავლობაში დაავალოს დამლაგებელს შიკრიკის მოვალეობის შესრულება, ხოლო იქ, სადაც არ არის ცეცხლფარეშის სპეციალური თანამდებობა, აგრეთვე—ღუმელების გახურება (წინასწარი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესების გულდასმითი ინსტრუქტაჟის შემდეგ).

შენიშვნა: 1. იატაკის გაპრიალება, შეშის დაჩრა და დახერხვა, აგრეთვე საუზმის მომზადება დამლაგებლის მოვალეობაში არ შედის.

2. თუ სკოლაში არ არის მეგარდერობე და ცეცხლფარეშის თანამდებობა, მათი მოვალეობის დაკისრება დამლაგებლისათვის არ შეიძლება.

3. არდადეგების პერიოდში დამლაგებელს მისი სამუშაო დღის განმავლობაში შეიძლება დაევალოს სამეურნეო სამუშაოთა შესრულება, სკოლის დაცვა.

32. ცეცხლფარეშები, მემანქანეები (მეცეცხლურები) ვალდებულები არიან დროულად და ნორმალურად გაათბონ სასკოლო შენობები, დასოგონ სათბობი, აწარმოონ მისი ხარჯვის აღრიცხვა, თვალყური ადევნონ გასათბობი სისტემის მდგომარეობას და თავის დროზე დააყენონ საკითხი ხელმძღვანელობის წინაშე რემონტის საჭიროების ან დაზიანების ლიკვიდაციის, აგრეთვე ღუმელების, კვამლსადენების გაწმენდისა და რემონტის შესახებ, გააფრთხილონ დირექტორი ღუმელებისა და გასათბობი სისტემის უწესივრობის შედეგად ხანძრის შესაძლებლობის შესახებ, დროულად აცნობონ ადმინისტრაციას სათბობის მოტანის საჭიროება.

ზაფხულის (არაგასათბობ) პერიოდში ცეცხლფარეშს შეიძლება დაეკისროს სხვა სამუშაოს შესრულება, ეზოს დასუფთავება, შვებულებაში გასული დამლაგებლის შეცვლა, შეშის პობა, დახერხვა, სათბობის მოტანა და ა. შ.).

33. ზეინკალ-ელექტრომონტიორები ემსახურებიან სკოლის ელექტრომეურნეობას და აწარმოებენ განათების ქსელის მიმდინარე რემონტს. სანტექნიკის ზეინკალი ემსახურება წყალსადენ-საკანალიზაციო ქსელს და ასრულებს სარემონტო სამუშაოებს.

34. მეეზოვე ვალდებულია სუფთად ინახავდეს სკოლის ეზოს, ტროტუარებს, აწარმოებდეს გარეგანი სანკვანძების დეზინფექციას, თვალყურს ადევნებდეს წესრიგს სკოლის ნაკვეთზე, თუ დარაჯი არ არის, იცავდეს სკოლის შენობას.

35. სასკოლო ინტერნატების მზარეულები ინტერნატის რეჟიმის შესაბამისად უზრუნველყოფენ კეთილხარისხოვანი საჭმლის დროულად მომზადებას, მონაწილეობენ ყოველდღიური მენიუს შედგენაში; პასუხისმგებელნი არიან საჭმლის მოსამზადებლად მიღებული პროდუქტების შენახვისა და ხარისხისათვის, მათი სწორად ხარჯვისათვის, აგრეთვე სამზარეულოს, ჭურჭლის, სამზარეულოს ინვენტარისა და სამზარეულოს დამხმარე სათავსოების სანიტარული მდგომარეობისათვის. მზარეულის თანაშემწეები ამზადებენ საჭმელს, რეცხავენ ჭურჭელს, ალაგებენ სამზარეულოს, გასცემენ საჭმელს, შეცვლიან მზარეულს.

36. სასკოლო ინტერნატის დამლაგებელი-მრეცხავი აწარმოებს შენობის ყოველდღიურ დალაგებას სველი წესით, თვალყურს ადევნებს სისუფთავეს, რეცხავს იატაკებსა და ფანჯრებს, ამზადებს ადუღებულ სასმელ წყალს, რეცხავს და აუთოებს ინტერნატის თეთრეულს.

**შენიშვნა:** არდადეგების პერიოდში სასკოლო ინტერნატის მომსახურე პერსონალს (მზარეულს, მის თანაშემწეს, დამლაგებელს, მრეცხავს და სხვ.) სამუშაო დღის განმავლობაში შეიძლება დაეკისროს მცირე სამეურნეო დავალების შესრულება.

სკოლის დირექტორს უფლება აქვს გადაანაწილოს უმცროსი მომსახურე პერსონალის მოვალეობანი, თანამდებობრივი ხელფასის სქემის დაცვით, შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## IV. სამუშაო დრო და მისი გამოყენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

37. სკოლაში მუშაობის დაწყების და დამთავრების დრო წესდება ცვლების რაოდენობის მიხედვით: პირველ ცვლაში მეცადინეობა უნდა იწყებოდეს არა უადრეს 8 ს. და 30 წუთისა, მეორე ცვლაში—არა უგვიანეს 14 ს. და 30 წუთისა. ცვლილებების შეტანა დასაშვებია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დაწესებულ შემთხვევებში.

38. ბიბლიოთეკარების, ლაბორანტების და სკოლის უმცროსი მომსახურე პერსონალის სამუშაო დღე ნორმირებულია.

დამხმარე და უმცროსი მომსახურე პერსონალის მუშაობა განისაზღვრება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული გრაფიკით, რომელიც შეთანხმებულია პროფკავშირულ ორგანიზაციასთან. იგი გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას ან გამოეცხადოს მუშაკებს ხელწერით.

39. ამა თუ იმ საპატიო მიზეზით სამუშაოს ვადამდე შეწყვეტის საჭიროების შემთხვევაში მუშაკი ვალდებულია შეუთანხმოს წასვლა სკოლის ადმინისტრაციას.

40. სკოლის დირექტორის, მისი მოადგილეების (და მათთან გათანაბრებული პირების), სამეურნეო ნაწილში დირექტორის თანაშემწის, მეურნეობის გამგის და უფროსი ბუღალტრის სამუშაო დღე, არანორმირებულია.

სკოლებში ორცვლიანი მეცადინეობისას სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილეების სამუშაო დრო განისაზღვრება გრაფიკით (ცხრილით), რომელიც უნდა შედგეს იმ ანგარიშით, რომ სამუშაო დღის განმავლობაში ერთ-ერთი მათგანი მუდამ იყოს სკოლაში.

ერთცვლიანი მეცადინეობისას დირექტორის ყოფნა სკოლაში სავალდებულოა მთელი სასწავლო დღის განმავლობაში.

41. ადმინისტრაციის მიერ სკოლის მუშაკებისათვის რაიმე სამსახურებრივი მოვალეობის დაკისრება, სასწავლო მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს, გამოსასვლელ ან უქმე დღეებში, დაუშვებელია.

42. ყოველკვირეული დასასვენებელი დღით სარგებლობის დრო და წესი იმ მუშაკთათვის, რომელთა მუშაობა არასამუშაო დღეებში აუცილებელია (ცეცხლფარეშები, მეეზოვე, დარაჯი და სხვები), განისაზღვრება პროფკავშირის ადგილკომთან შეთანხმე-

ბული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული გრაფიკით. კუთვნილი დასასვენებელი დღის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

43. სხვადასხვა თათბირზე, სხდომასა და კრებებზე მასწავლებელთა მოწვევის დროს უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის 1963 წლის 28 სექტემბრის ერთობლივი წერილით № 803 -3/2—1801 „მასწავლებელთა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და სამუშაო დროის მოწესრიგების შესახებ“ და საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1968 წლის 11 სექტემბრის ბრძანებით № 557 „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო დროის არასწორად გამოყენების ფაქტების შესახებ“.

საწარმოო თათბირები და საერთო პროფკავშირული კრებები ტარდება პროფკავშირის წესდების შესაბამისად, პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტის შეხედულებისამებრ.

44. მასწავლებლებსა და სკოლის სხვა მუშაკებს აკრძალული აქვთ:

ა) გაკვეთილების (მეცადინეობის), ცხრილისა და მუშაობის გრაფიკის შეცვლა თავისი შეხედულებისამებრ;

ბ) გაკვეთილების ხანგრძლივობისა და მათ შორის შესვენების გადიდება ან შემცირება.

45. საშემოდგომო, საზამთრო და საგაზაფხულო არდადეგების დროს, აგრეთვე ზაფხულის პერიოდში, არდადეგების დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ, მასწავლებელი, აღმზრდელი და ლაბორანტი სკოლის ადმინისტრაციის მიერ შეიძლება გამოყენებული იქნეს სამუშაოზე მათი სპეციალობით, მოსწავლეებთან კლასგარეშე (სკოლის გარეშე) მეცადინეობისათვის, იმ დროის ფარგლებში, რაც არ აღემატება მის სასწავლო დატვირთვას არდადეგების დაწყებამდე

46. აკრძალულია მასწავლებელთა მორიგეობის დაწესება გამოსასვლელ და უქმე დღეებში, ღამით და სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ.

საჭირო შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია, პროფკავშირის ადგილკომთან შეთანხმებით, იწვევს მასწავლებლებს სამუშაო საათებში სკოლაში მორიგეობისათვის, მაგრამ მასწავლებლის მორი-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეობა უნდა იწყებოდეს არა უადრეს 20 წუთისა მასწავლებლის გაკვეთილის დაწყებამდე და გრძელდებოდეს არა უმეტეს 20 წუთისა მისი უკანასკნელი გაკვეთილის დამთავრების შემდეგ. ფეხმძიმე ქალების მორიგეობა აკრძალულია.

**შენიშვნა:** სკოლაში მორიგეობისაგან თავისუფლდებიან მასწავლებლები, რომლებიც შესვენების დროს დასაქმებულნი არიან სადემონსტრაციო ცდების მომზადებით და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარებით (ქიმიაში, ფიზიკაში და სხვ.).

47. გარეშე პირებს კლასში გაკვეთილებზე დასწრება შეუძლიათ მხოლოდ სკოლის დირექტორის ან სასწავლო მუშაობის დარგში მისი მოადგილის ნებართვით. გაკვეთილის დაწყების შემდეგ კლასში შესვლა ნებადართული აქვს გამონაკლის შემთხვევაში მხოლოდ სკოლის დირექტორს ან მის მოადგილეს.

გაკვეთილის დროს არავის არა აქვს უფლება შენიშვნა მისცეს მასწავლებელს მისი მუშაობის გამო. საჭირო შემთხვევაში ასეთ შენიშვნებს აძლევს მას სკოლის ადმინისტრაცია გაკვეთილის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეთა დაუსწრებლად.

48. უმცროსი მომსახურე პერსონალის სამუშაო დღის დაქუცმაცება დასაშვებია მხოლოდ მუშაკის თანხმობით და პროფკავშირული ორგანიზაციის ნებართვით, მაგრამ იმ პირობით, რომ მათი სამუშაო დღე არ წყდებოდეს ერთხელ მეტად (გარდა საუზმისათვის შესვენებისა) და დაცული იყოს კანონით დადგენილი მისი საერთო ხანგრძლივობა.

## V. წახალისების ღონისძიებანი

49. ადმინისტრაცია წაახალისებს მუშაკს თავისი მოვალეობის მონდომებითა და სამაგალითო შესრულებისათვის, შრომაში ნოვატორობისათვის, ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებისათვის, ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის.

50. დაწესებულია წახალისების შემდეგი ღონისძიებანი: მადლობა, პრემიაზე წარდგენა, საპატიო სიგელით დაჯილდოება, საპატიო წიგნში ან საპატიო დაფაზე შეტანა, „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით დაჯილდოება, სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭება, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება და კანონით დაწესებული სხვა ჯილდოები და წახალისებანი.

სკოლის მუშაკთა წახალისების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ხდება პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით და ფორმდება დადგენილი წესით.

წახალისება ჩაიწერება მუშაკის შრომის წიგნაკში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VI. ზემოქმედების ზომები შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებში

51. პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დაცვისა და მის დამრღვევათა მიმართ ზომების მიუღებლობისათვის ეკისრება სკოლის დირექტორს.

52. სკოლის ადმინისტრაცია ადებს შემდეგ დისციპლინარულ სასჯელს:

შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება 3 თვემდე ვადით, მიუხედავად მუშაკის სპეციალობისა და კვალიფიკაციისა.

დაბალხელფასიან სამუშაოზე ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება, როგორც სასჯელის ზომა, არ გამოიყენება პედაგოგიური შრომის მუშაკთა მიმართ.

პედაგოგიური შრომის მუშაკთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინარული ზემოქმედების შემდეგი ზომები: შენიშვნა, საყვედური, მკაცრი საყვედური, ხსენებულ დისციპლინარულ სასჯელს ადებს სკოლის დირექტორი.

**შენიშვნა:** ყველა ტიპის სკოლის დირექტორებზე, მათ მოადგილეებზე, მთავარ და უფროს ბუღალტრებზე დისციპლინარული სასჯელის დადების საკითხს წყვეტს ის სახალხო განათლების განყოფილება, რომელსაც მინიჭებული აქვს ამ მუშაკთა დანიშვნის და მოთხოვნის უფლება.

53. მუშაკს სასჯელი შეიძლება დაედოს უშუალოდ დარღვევის გამოვლენისთანავე, იმ პირობით. თუ მუშაკისაგან 5 დღის განმავლობაში მიღებულია სათანადოდ შემოწმებული წერილობითი ახსნა-განმარტება.

დაუშვებელია დისციპლინარული სასჯელის დადება გამოვლინებიდან ერთი თვის შემდეგ ან მისი ჩადენიდან ექვსი თვის შემდეგ. მუშაკის შვებულება ან ავადმყოფობა წყვეტს სასჯელის დადების ვადის მიმდინარეობას.

დისციპლინარული სასჯელი ადგილკომის წევრებს ან პროფ-ორგებს შეიძლება დაედოს მხოლოდ ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით, წარმოებისაგან განუთავისუფლებელ ადგილკომის თავმჯდომარეს ზემდგომი პროფკავშირული ორგანოს (რაიკომის, ქალაქკომის და ა. შ.) თანხმობით.

54. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის შეიძლება მხოლოდ ერთი დისციპლინარული სასჯელის დადება.

55. სასჯელი ცხადდება ბრძანებით და ეცნობა მუშაკს ხელწერილით. მუშაკს უფლება აქვს გაასაჩივროს სასჯელი შრომის დავის განმხილველ კომისიაში, ადგილკომსა და სახალხო სასამართლოში.

56. თუ სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში სკოლის მუშაკს არ დადებია ახალი დისციპლინარული სასჯელი, მაშინ იგი განიხილება, როგორც დისციპლინარული სასჯელდაუდებელი. იმ შემთხვევაში, როცა მუშაკმა თავი გამოავლინა, როგორც კეთილსინდისიერმა მუშაკმა, სკოლის დირექციას, ან სხვა პირს, რომელმაც მას დისციპლინარული სასჯელი დაადო შეუძლია თავისი ბრძანებით ვადამდე მოუხსნას დადებული სასჯელი.

57. ეს შრომის შინაგანაწესი სავალდებულოა სკოლის ყველა მუშაკისათვის და იგი სავალდებულო წესით უნდა გაეცნოს სკოლის ყველა მუშაკს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 17 აპრილის ბრძანება № 242

### 1968 წლის სახელმწიფო კაპდაბანდებით გათვალისწინებული განათლების ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმის შესრულების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის გეგმით განათლების სამინისტროს ხაზით გათვალისწინებული იყო სკოლების, საბავშვო დაწესებულებათა და საბინაო მშენებლობაზე სახელმწიფო კაპდაბანდება სულ 12.236.0 ათ. მანეთის ოდენობით, მათ შორის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე 10.051.0 ათ. მანეთი. მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო და საექსპლოატაციოდ გადაცემოდა სასკოლო შენობები 18.847 მოსწავლე ადგილით, საბავშვო ბაგა-ბაღები 4.270 ადგილით, სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსები, სასკოლო ინტერნატები და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები 4.492 კვ. მეტრი ფართობით.

ფაქტიურად დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სკოლების ახალი შენობები 20.623 მოსწავლე ადგილით ანუ გეგმის 109,4%, საბავშვო ბაგა-ბაღების, საცხოვრებელი სახლების მშენებლობის და ექსპლოატაციაში გადაცემის 1968 წლის გეგმა არ იქნა შესრულებული. საექსპლოატაციოდ გადაეცა საბავშვო ბაგა-ბაღები მხოლოდ 3.910 ადგილით, ანუ გეგმის 91,5% და საბინაო მშენებლობა 2.450 კვ. მეტრი ფართობით, ანუ გეგმის 54,6%.

არ დამთავრდა საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა ქ. თბილისში 560 მოსწ. ადგილზე, ქ. ცხაკაიაში 280, აბასთუმანში 100, შუახევში 100, წალკაში 100, ქ. ქუთაისში 100 ადგილით, სასკოლო

ინტერნატები—1.292 კვ. მეტრის ფართობით – გომბორში (საგარეჯოს რ-ში), ბორითში (ორჯონიკიძის რ-ნი), ქვეშეთში (დუშეთის რ-ნი) და ჯავაში, აგრეთვე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა მთელ რიგ რაიონებში სულ 750 კვ. მეტრის ფართობით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 1968 წლის გეგმით მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციების მიერ შესრულებულია მხოლოდ 92,4% (გეგმა 10.051.0 ათ. მანეთი, შესრულება 9.299,3 ათ. მანეთი), რის გამო აუთვისებელი რჩება მშენებლობის დასამთავრებლად გამოყოფილი თანხები. რიგ ქალაქებსა და რაიონებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არაკომპლექტურად დამთავრებული ობიექტების მიღების შემთხვევებს.

დღემდე დაუმთავრებელია ბაგა-ბაღების მშენებლობაზე ჯერ კიდევ 1967 წლიდან დარჩენილი სამუშაოები სამტრედიაში, ახმეტაში და სხვა.

დღეისათვის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები მოიჯარადრე მშენებელი ორგანიზაციებიდან, რომლებიც აწარმოებენ განათლების ობიექტების მშენებლობას, წლიური გეგმა შესრულებული აქვს —საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს 92%-ით (გეგმა 8.482.0 ათ. მანეთი, შესრულება 7.786.0 ათ. მანეთი) საქ. სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს 91%-ით (გეგმა 770.0 ათ. მანეთი, შესრულება 703.6 ათ.) საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 96%, (გეგმა 575 ათ. მანეთი, შესრულება 553.7 ათ. მანეთი).

ზემოაღნიშნული სამინისტროების ვერცერთმა ტრესტმა და სამმართველომ ვერ შეასრულა მთლიანად მიმდინარე წლის კაპდაბანდების გეგმა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობდა აგრეთვე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმით გათვალისწინებული სასკოლო მშენებლობანი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს საქ. მშენებლობის, საქ. სსრ სასოფლო მშენებლობისა და საქ. სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს—სპეციალურად განიხილონ სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებათა ობიექტების და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლობის მიმდინარეობის საკითხი და მიიღონ ზომები სახელმწიფო გეგმების მთლიანად შესრულებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ 1969 წელს ექსპლოატაციაში გასაშვები ობიექტების მშენებლობას, უზრუნველყონ მათი დროულად და ხარისხიანად დამთავრება.

2. დაევალოს სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს (ამხ. ს. არველაძე), უზრუნველყოს მეორე და მესამე კვარტალში როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდების გეგმით გათვალისწინებული გასაშვები ობიექტები საჭირო ინვენტარ-მოწყობილობით.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) განიხილონ საკითხი განათლების ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ, დასახონ საჭირო ღონისძიებანი 1969 წლის სასკოლო მშენებლობისა და ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმების შესასრულებლად და საჭიროების შემთხვევაში დააყენონ საკითხი ზემდგომი ორგანოების წინაშე ზომების მისაღებად;

ბ) დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მ/წლის მეორე და მესამე კვარტალში ექსპლოატაციაში გასაშვები სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებათათვის ინვენტარ-მოწყობილობის შეძენასა და შემოსაზიდად;

გ) გააძლიერონ კონტროლი სასკოლო მშენებლობის იმ ობიექტებზე, რომელთა დამთავრება გათვალისწინებულია მ/წლის 1 სექტემბრისათვის;

დ) გაუწიონ საჭირო დახმარება საინიციატივო სასკოლო და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის ობიექტებს და მიიღონ ზომები მათი საჭირო სამშენებლო მასალებითა და მოწყობილობით დროულად უზრუნველსაყოფად.

3. კაპიტალური მშენებლობის და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებებმა (ამხ. ამხ. მ. ანჯაფარიძე, ს. უჩანეიშვილი) სისტემატური დახმარება და კონტროლი გაუწიონ განათლების ობიექტების მშენებლობას, უზრუნველყონ როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებული, ისე არაცენტრალიზებული კაპდაბანდებით გათვალისწინებულ ობიექტებზე სასკოლო მშენებლობის სამშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებლო-სამონტაჟო სამუშაოების ყოველთვიური და კვარტა-ლური გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა.

მოახსენონ კოლეგიას განათლების ობიექტების 1969 წლის 1 კვარტალის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ა/წლის 20 აპრილამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 28 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 18 აპრილის ბრძანება № 247

### რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში შრომითი სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. ქ. რუსთავის, ქობულეთის, ჭიათურისა და ბოლნისის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს, საჩხერის, ცხაკაიას, წალკის, ხაშურის რაიონების ზოგიერთ სკოლაში შრომითი სწავლების შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ, რიგ სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანია გატარებული შრომითი სწავლებისათვის სათანადო მატერიალური ბაზის შექმნისა და სწავლების პროცესში მისი ფართოდ გამოყენების მიზნით, რამაც ხელი შეუწყო შრომითი სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას.

ადგილობრივი განათლების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა და შეფი ორგანიზაციების დახმარების შედეგად შემოწმებული ქალაქებისა და რაიონების 346 საშუალო და და რვაწლიანი სკოლიდან სასწავლო სახელოსნო ლითონების დამუშავებისათვის მოწყობილია 80, მერქნის დამუშავებისათვის—214, ხოლო კომბინირებული (ლითონებისა და მერქნის დამუშავებისათვის)—161 სკოლაში. ამ მხრივ გამოირჩევა ქ. რუსთავი, სადაც ყველა საშუალო სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სასწავლო სახელოსნოები. წინა წლებთან შედარებით შესამჩნევად გაუმჯობესდა მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობისათვის სახელოსნოების მომარაგება დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებითა და მასალებით.

შრომითი სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შესაქმნელად მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ქ. ჭიათურის 1-ლ (დირექტორი ნ. მოდებაძე, ოსტატი პ. გოგოლაძე), მე-3 (დირექტორი მ. მუმლაძე, ოსტატი გ. ლექავა), საჩხერის 1-ლ (დირექტორი გ. სადუნიშვილი, ოსტატი ს. გიორგაძე), ხაშურის რაიონის ქვიშხეთის

(დირექტორი მ. მანჩხაშვილი, ოსტატი ა. ჭყოიძე), ცხაკაიას მე-2 (დირექტორი ნ. გუგუნავა, ოსტატი დ. გოგინავა), ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის (დირექტორი ა. კალანდაძე, მასწავლებელი ი. კუკულავა), საგარეჯოს რაიონის საგარეჯოს 1-ლ (დირექტორი ვ. ქურთიშვილი, ოსტატი, პ. გორელაშვილი), კაკაბეთის (დირექტორი (ლ. კარტოზია, ოსტატი ჟ. კვეზერელი), წალკის რაიონის 1-ლ (დირექტორი ა. ტერსანოვი, ოსტატი ს. სდელოვი), ხრამგესის (დირექტორი ფ. ემინოვი, ოსტატი ს. ბულუდოვი), ქობულეთის რაიონის ჩაქვის რუსულ (დირექტორი ი. აფხაზავა, ოსტატი ა. დანილევსკი), ოჩხამურის რუსულ (დირექტორი გ. ანთაძე, ოსტატი ნ. კუსნიცინი) საშუალო სკოლებში, სადაც სასწავლო სახელოსნოებისათვის გამოყოფილია საკმაო ფართობის შესაფერისი სათავსოები და მოწყობილია მოსწავლეთა ინდივიდუალური სამუშაო ადგილები. სახელოსნოები აღჭურვილია ლითონისა და მერქნის დასამუშავებელი საჭირო სტანდარტული დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებით, თვალსაჩინოებით, დანადგარები დამიწებულია, დაზგებზე დაყენებულია დამცავი ბადეები, ხოლო ჩარხებზე გარცემები. დაცულია დანადგარებს შორის ინსტრუქციით გათვალისწინებული გაბარიტული ნორმები, მუშაობის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები. დამაკმაყოფილებლადაა მოწყობილი საყოფაცხოვრებო შრომის კაბინეტი ქ. რუსთავის მე-3 (დირექტორი ი. სკრინიკოვი, მასწავლებელი ფ. სვანიძე), მე-10 (დირექტორი დ. ჩაგანავა, მასწავლებელი ა. ბოცვაძე), ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის (დირექტორი ა. კალანდაძე, მასწავლებელი ნ. ხაბეიშვილი), წალკის რაიონის წალკის 1-ლ (დირექტორი ა. ტერსენოვი, მასწავლებელი ე. სდელოვი) და ნარდევნის (დირექტორი ლ. მელტონიანი, მასწავლებელი ა. ხუმარიანი) საშუალო სკოლებში.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობა უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით, რომლებსაც ფართოდ იყენებენ სწავლებაში.

ნაყოფიერი მუშაობა ტარდება ხაშურის რაიონის ქვიშხეთის (მასწავლებელი მ. ლომიძე), თეთრიწყაროს რაიონის ბოგვის (მასწ. ვ. ალიბეგაშვილი), რუსულ (მასწავლებელი ლ. ხაჩატუროვი), ასურეთის (მასწავლებელი ლ. აფციაური) და კოდის (მასწავლებელი ე. კლიმიაშვილი) საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელ ნაკვეთებზე, სადაც მოსწავლეთა ძალებით გაშენებულია ტექნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კური და დეკორატიული კულტურები, ხდება ბოსტნეული კულ-ტურების მოყვანა, როგორც ღია გრუნტზე ასევე სათბურებსა და კვალსათბურებში. სკოლებში სწორად ხდება დასაყენებელი ცდების შერჩევა, მოწყობილი აქვთ საცდელ-საკონტროლო ნაკვეთები, ახდენენ ჩატარებული ცდებისა და დაკვირვებების აღრიცხვას. ანალოგიური მდგომარეობაა წალკის რაიონის წალკის—1-ლ (მასწავლებელი გ. კოტანოვი), ყურშის (მასწავლებელი ლ. ბეგლარიანი) საშუალო, თაქქილისის 8-წლიან (მასწავლებელი ა. ჯეირანოვი), ჩოხატაურის 1-ლ (მასწავლებელი ი. ცინცაძე), ქობულეთის რაიონის ჩაქვის ქართულ საშუალო (მასწავლებელი დ. დოლიძე) და ბოლნისის რაიონის რატევნის (მასწავლებელი პ. კაპანაძე) რვაწლიან სკოლებში.

შემოწმებული სკოლების შრომის მასწავლებელთა ერთი ნაწილი წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გულდასმით ემზადება მოსწავლეებთან პრაქტიკული მუშაობის ჩატარებისათვის, სწავლებაში ფართოდ იყენებს თვალსაჩინოებას და სასურველ შედეგებსაც აღწევს, მოსწავლეებში ტექნიკური აზროვნების, კონსტრუქტორული ნიჭის განვითარებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდის საქმეში.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ შრომის მასწავლებლები ნ. მაშენცევი (ქ. რუსთავის მე-3 საშუალო სკოლა), ა. გვარამაძე, ა. ვასილიდი და ე. კანტარჯიანი (ქ. რუსთავის მე-11 საშუალო სკოლა), ზ. კავლელაშვილი და ეძგვერაძე (ქ. რუსთავის მე-15 საშუალო სკოლა), ვ. კაპანაძე (ბოლნისის რაიონის რატევნის რვაწლიანი სკოლა), შ. ბარსონიძე (თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშუალო სკოლა), დ. სიდიროპოლო და ვ. კუნჭულია (ქობულეთის მე-2 საშუალო სკოლა), ა. გელაძე (ქობულეთის რაიონის ციხისძირის საშუალო სკოლა), ი. ყლენტი (ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის საშუალო სკოლა), ზ. ჯაყელი (ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლა), ჰ. თამარიანი (წალკის რაიონის ნარდევნის საშუალო სკოლა), ა. ავეტიკიანი და ლ. ბეგლარიანი (წალკის რაიონის ყურშის საშუალო სკოლა), შ. ქაშაკაშვილი (ჭიათურის რაიონის ზოდის საშუალო სკოლა), ნ. გელბახიანი (საჩხერის მე-2 საშუალო სკოლა), ვ. მაჭავარიანი (საჩხერის მე-3 საშუალო სკოლა), ვ. ხვედელიძე (ხაშურის მე-3 საშუალო სკოლა), შ. ბლიაძე

(ხაშურის რაიონის სურამის მე-2 საშუალო სკოლა), გ. ხოფერია (ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა) და სხვანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიუხედავად აღნიშნული წარმატებებისა, შემოწმებული რაიონების და ქალაქების უმრავლეს სკოლებში შრომითი სწავლებისათვის შექმნილი არაა მტკიცე მატერიალური ბაზა. განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელების მიერ ამ დარგში ჩატარებული მუშაობა ჯერ კიდევ არ პასუხობს იმ მოთხოვნებსა და ამოცანებს, რომლებიც სადღეისოდ სკოლის წინაშეა დაყენებული.

რიგ სკოლებში, განსაკუთრებით რვაწლიან სკოლებში, არ არის გამოყოფილი სათავსოები სასწავლო სახელოსნოებისათვის, ზოგან კი გამოყოფილი ოთახები შეუფერებელია შრომითი სწავლებისათვის. ბევრგან სასწავლო სახელოსნოები მინიმალურად არ არის უზრუნველყოფილი პროგრამით გათვალისწინებული მოსწავლეთა ინდივიდუალურ-პრაქტიკული მუშაობის ჩატარებისათვის საჭირო სტანდარტული დაზგებით, ჩარხებით, სამუშაო იარაღებითა და მასალით.

წალკის რაიონის 42 საშუალო და რვაწლიანი სკოლიდან ცალკე სახელოსნო ლითონების დამუშავებისათვის მოწყობილია 2, მერქნის 17; ბოლნისის რაიონის 39 სკოლიდან, ლითონების დამუშავებისათვის—4, მერქნის—21; თეთრიწყაროს რაიონის 34 სკოლიდან ლითონების დამუშავებისათვის—13, მერქნის—17; ქობულეთის რაიონის 23 რვაწლიანი სკოლიდან, ლითონების დამუშავებისათვის—არცერთი, მერქნის დამუშავებისათვის—8; ხაშურის რაიონის 18 რვაწლიანი სკოლიდან, ლითონების დამუშავებისათვის—2 და მერქნის დამუშავებისათვის—7 სკოლაში და სხვ.

ბოლნისის რაიონის ქართულ საშუალო (დირექტორი მ. ელიაური), რატევნის (დირექტორი დ. სტეფანია), ქვეშის (დირექტორი დ. გვენეტაძე), კიანეთის (დირექტორი ბ. ხაჩატურიანი); ჩოხატაურის რაიონის ზემო სურების (დირექტორი ი. ასეიშვილი), ბასილეთის (დირექტორი ფ. კუტუბიძე), ბუკნარის (დირექტორი ე. კუტუბიძე) და შუაფარცხმის (დირექტორი კ. ასეიშვილი) რვაწლიან სკოლებში სრულიად არაა მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები.

წალკის რაიონის აიაზმისა (დირექტორი მ. ფილოსიანი) და გუნიაკალის (დირექტორი ი. ფოლტოვი) რვაწლიან, ბოლნისის რაიონის არახლოს (დირექტორი მ. ასლანოვი), საჩხერის მე-2 (დირექტორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვ. ჭიხორია), საჩხერის მე-3 (დირექტორი კ. ნადირაძე), ჭიათურის მე-5 (დირექტორი ე. ვაშაძე), ხაშურის რაიონის სურამის მე-2 (დირექტორი კ. მესხი), გომის (დირექტორი გ. ნოზაძე) საშუალო, ხაშურის 1-ლ რვაწლიან (დირექტორი ა. შათირიშვილი), თეთრიწყაროს რაიონის ბოგვის (დირექტორი ვ. ტყეშელაშვილი), კოდის (დირექტორი შ. გელაშვილი) და ცხაკაიას რაიონის ნოსირის (დირექტორი ქ. თოდუა) საშუალო სკოლებში სასწავლო სახელოსნოები მოთავსებულია შეუფერებელ ფართობის ოთახებში და მოუწყობელია მოსწავლეთა სამუშაო ადგილები.

ხაშურის რაიონის ხაშურის მე-3 (დირექტორი ა. ნოზაძე), სურამის მე-2 (დირექტორი კ. მესხი), წალკის რაიონის ხრამგესის (დირექტორი ფ. ემინოვი) საშუალო, წალკის რვაწლიან (დირექტორი ა. კალაჩევი), ბოლნისის რაიონის ქვეშის (დირექტორი დ. გვენცაძე) და კიანეთის (დირექტორი ბ. ხაჩატურიანი), რვაწლიან სკოლებს გამოყოფილი არა აქვთ სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთები.

შემოწმებული რაიონებისა და ქალაქების სკოლებს მეტად სუსტი ბაზები გააჩნიათ IX და X კლასებში შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების ჩატარებისათვის, მოუწყობელია კაბინეტები და გაკვეთილები ტარდება თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე.

მაგალითად, ბოლნისის ქართულ (დირექტორი მ. ელიაური) და წალკის 1-ლ (დირექტორი ა. ტერსენოვი) IX—X კლასებში შერჩეული აქვთ საავტომობილო საქმის პრაქტიკუმი, მაგრამ სწავლებისათვის არ არის შექმნილი სათანადო ბაზა.

სკოლის სასწავლო სახელოსნოები ძირითადად მარაგდება ერთფეროვანი მასალებით, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ სასწავლო პროგრამაში მოცემული სამუშაო ობიექტების სანიმუშო ნუსხით გათვალისწინებულ ნაკეთობათა დამზადებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ სკოლები ელექტროტექნიკური და საყოფაცხოვრებო შრომის პრაქტიკულ-ლაბორატორიული სამუშაოების ჩასატარებლად არ ღებულობენ საჭირო მასალებს.

შემოწმებული სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი საშუალო განათლებითაა, დაბალია მათი ტექნიკური მომზადების დონე, ისინი ვერ ფლობენ ჩარხებზე მუშაობის ტექნიკას, ტექნი-

კურ მოდელირებას, სწავლებაში ნაკლებად იყენებენ თვალსაჩი-ნოებას, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის დროს არ იცავენ ლითონებისა და მერქნის დასამუშავებელი იარაღებით მუშაობის ხერხებს და უსაფრთხოების წესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრიწყაროს რაიონის კოდის საშუალო სკოლის შრომითი სწავლების მასწავლებელი ს. ბაჯიაშვილი მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს და არ იცავს პროგრამული მასალის გავლის თანმიმდევრობას. მან VIII კლასში დავალებად მიცემული (არასაპროგრამო მასალა) — „ელექტრული ენერგიის მიღება“ 5 წუთში გამოჰკითხა და არავითარი პრაქტიკული მუშაობა არ ჩაატარა. ამავე რაიონის თეთრიწყაროს რუსული საშუალო სკოლის V კლასში მასწავლებელმა მ. კირიაკოვმა პრაქტიკული მუშაობისათვის განკუთვნილი მთელი დრო სახელოსნოში ძველი, უვარგისი და უწესრიგოდ დაყრილი მასალის გატანა-დალაგებას მოანდომა. საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელმა რ. ალექსიშვილმა VIII კლასში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაცნობის დროს — „მრუდმხარა ბარბაცა მექანიზმზე“ პრაქტიკული მუშაობის ჩატარების ნაცვლად, მოსწავლეები მკვეტარების დამზადებაზე ამუშავა. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ამავე სკოლის VII კლასში, სადაც მოსწავლეები ძირითადად ჩაქუჩების დამზადებით იყვნენ დაკავებული.

ჩოხატაურის რაიონის განახლების საშუალო სკოლაში (დირექტორი გ. დოლიძე (მასწავლებელი მ. დოლიძე), პროგრამის მიხედვით VII კლასში უნდა ესწავლებინათ ლითონმჭრელ ჩარხებზე მუშაობა (8 სთ.), სხვადასხვა მასალისაგან ნაკეთობათა კონსტრუირება და დამზადება (32 სთ.), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა (14 სთ.). ამის ნაცვლად, (ჟურნალებში არსებული ჩანაწერებით) თითქმის სამი მეოთხედის განმავლობაში ისწავლებოდა მხოლოდ ლითონმჭრელ ჩარხებზე მუშაობა (8 სთ.) და ისიც, საკლასო ოთახში, რადგან ამ სკოლას ლითონდამამუშავებელი სახელოსნო არა აქვს.

ქ. რუსთავის მე-10 საშუალო სკოლის X კლასში მასწავლებელი ი. კაპანაძე) ელექტროტექნიკის პრაქტიკუმი თემაზე — „სხვადასხვა ტიპის ტრანსფორმატორების მოწყობილობის გაცნობა“, მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის გარეშე ჩატარდა. ამ კლასის მოსწავლეებს წარმოდგენა არა აქვთ ტრანსფორმატორის მოქმედების პრინციპებზე, მის მოწყობილობასა და გამოყენებაზე, ტრანსფორმატორების გრაგნილების წესივრულობის შემოწმებაზე და ალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნულ საკითხებზე მასწავლებელსაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

რიგ სკოლებში შრომითი სწავლებას დაბალი ტექნიკური განათლების არასპეციალისტები ასწავლიან. ბოლნისის რაიონის კიანეთის რვაწლიან სკოლაში შრომით სწავლებას ასწავლის კ. ხუბლარიანი, სპეციალობით ფიზიკური კულტურის მასწავლებელი, რატევანის რვაწლიან სკოლაში—ა. თოიაშვილი—გეოგრაფი, წალკის რაიონის ხადიკის რვაწლიან სკოლაში ლ. პაპოვი—ლიტერატორი.

ზოგიერთ შემოწმებულ სკოლაში ცხრილის შედგენისას გათვალისწინებული არაა შრომითი სწავლებისათვის დაწყვილებული საათები და სასოფლო სამეურნეო სამუშაოების ჩატარების სეზონურობა. ქობულეთის რაიონის ბობოყვათის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. კაკალაძე) ცხრილში შრომითი სწავლებისათვის V—VIII კლასებში გათვალისწინებულია თითო საათი მთელი წლის მანძილზე. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი წალკის, ბოლნისის, თეთრიწყაროსა და ხაშურის რაიონების შემოწმებულ სკოლებში.

შემოწმებულ ქალაქებსა და რაიონებში დაბალ დონეზეა დაყენებული და ფორმალურ ხასიათს ატარებს მეთოდური მუშაობა შრომითი სწავლების მასწავლებელთა შორის. ნაკლებად ხდება მოწინავე მასწავლებელთა გამოცდილების განზოგადება და მათი მუშაობაში დანერგვა. ზოგან შექმნილი არაა მასწავლებელთა სასკოლო და სასკოლათაშორისო შრომითი პოლიტექნიკური მეთოდური გაერთიანება. ნაკლები ყურადღება ეთმობა ამ მასწავლებელთა პედაგოგიურ დახელოვნებას.

ზოგიერთ სკოლაში შრომითი სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას საგრძნობლად უშლის ხელს ის გარემოება, რომ საათები დაქუცმაცებულია. ჩოხატაურის რაიონის ჩოხატაურის 1-ლ საშუალო სკოლაში სასოფლო-სამეურნეო შრომის 14 საათი განაწილებულია 3 მასწავლებელზე, განახლების საშუალო სკოლაში 6 საათი 2 მასწავლებელზე, ხიდისთავის საშუალო სკოლაში 4 სთ. 2 მასწავლებელზე და ა. შ.

შრომითი სწავლების საქმეში გამოვლინებული სერიოზული ნაკლოვანებები უმთავრესად გამოწვეულია იმით, რომ სუსტადაა დაყენებული შიდასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლების დირექტორები და დირექტორის მოადგილეები სასწავლო მუშაობის დარგში საჭირო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწევენ მასწავლებლის მუშაობას, ისინი იშვიათად ესწრებიან შრომითი სწავლების გაკვეთილებს და ვერ აძლევენ მათ საჭირო მითითებებს მოსწავლეთა შრომითი აღზრდის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

ბოლნისის რაიონის შემოწმებული სკოლების დირექტორებსა და დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში შრომითი სწავლების არცერთი გაკვეთილი არა აქვთ მოსმენილი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლის სასწავლო სახელოსნოების ოსტატებმა და შრომითი სწავლების მასწავლებლებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, საფუძვლიანად ემზადონ მოსწავლეებთან პრაქტიკული მუშაობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, მაქსიმალურად გამოიყენონ სწავლებაში თვალსაჩინოება და მიაღწიონ იმას, რომ მოსწავლეებში განავითარონ შემოქმედებითი ტექნიკური აზროვნება და კონსტრუქტორული უნარი, მისცენ მათ ცხოვრებისათვის აუცილებელი ტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო და საყოფაცხოვრებო შრომის პირველდაწყებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები;

ბ) სრულ წესრიგში იქონიონ სასწავლო სახელოსნოები, იზრუნონ მათი გეგმიანად შევსებისათვის, ზუსტად დაიცვან სახელოსნოების, დაზგების, ჩარხებისა და ხელსაწყოების მოვლა-შენახვის წესები, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნაკეთობათა კონსტრუირებას, მოსწავლეთა შემოქმედებით შრომას და სახელოსნოებში დაამზადონ ისეთი ნაკეთობანი, რომლებიც გამოყენებული იქნება სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების შესავსებად;

გ) აღმოფხვრან ფორმალიზმი სწავლებაში, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეების მიერ პრაქტიკული სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულებას, შეფასების დროს გაითვალისწინონ თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების უნარი;

დ) მეცადინეობის პროცესში ფართოდ გამოიყენონ ნაკეთობათა ნახაზები და მათი დამუშავებისა და აწყობის ტექნოლოგიური პროცესის რუკები; უზრუნველყონ სკოლებში ტექნიკური წრეების ჩამოყალიბება და მათი მუშაობის გაშლა, მოაწყონ მოსწავლეთა საუკეთესო ნამუშევრების მუდმივი გამოფენა და ყოველწლიურად გადაახალისონ ის;

ე) უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1961 წლის 30 დეკემბერს დამტკიცებული „უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების“ შესრულება;

ვ) მოაწყონ შრომითი სწავლების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული თემატური ექსკურსიები და ექსკურსიის შედეგები განიხილონ თეორიულ მეცადინეობებზე.

2. საშუალო და რვაწლიანი სკოლის დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) მიიღონ საჭირო ზომები სასწავლო სახელოსნოებისა და შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკუმების ჩასატარებლად შესაფერისი სათავსოების (ოთახების) გამოსაყოფად; უზრუნველყონ ეს სახელოსნოები და კაბინეტები ლითონისა და მერქნის დამუშავებისათვის აუცილებელი მანქანა-დანადგარებით (ჩარხებით და სხვ.), დაზგებით, ავეჯითა და სამუშაო იარაღებით; სისტემატურად შეავსონ სახელოსნოები და კაბინეტები ხელსაწყოებით, მოქმედი მოდელებით; სასწავლო-პლაკატებით, სქემებით, საჭირო ტექნიკური ლიტერატურითა და მასალებით;

ბ) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი შრომითი სწავლების მასწავლებელთა მუშაობაზე, სასწავლო სახელოსნოების მოწყობილობის მოვლა-დაცვაზე მატერიალური პასუხისმგებლობა დააკისრონ სახელოსნოს ოსტატს (სადაც შტატი არ არის, შრომითი სწავლების მასწავლებლებს); სახელოსნოების მოწყობილობათა დაუდევრად შენახვისა და დაზიანებისათვის სასჯელი დაადონ კონკრეტულ დამნაშავეებს;

გ) რეგულარულად შეამოწმონ შრომითი სწავლების მდგომარეობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების, სწავლებაში თვალსაჩინოების გამოყენების, პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების და ექსკურსიების ჩატარების საქმეს;

დ) სახელოსნოების ოსტატის თანამდებობაზე და შრომითი სწავლების მასწავლებლად შეარჩიონ შესაფერისი ცენზის მქონე მუშაკები და უზრუნველყონ მათი ნორმალური დატვირთვა;

ე) შეიძინონ და სისტემატურად შეავსონ, სკოლის ბიბლიოთეკები ქართულ და რუსულ ენებზე არსებული შრომითი სწავლებისათვის საჭირო მეთოდური და ტექნიკური ლიტერატურით;

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გაითვალისწინონ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებანი და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მათი აღმოფხვრისათვის;

ბ) გადაჭრით გააუმჯობესონ შრომითი სწავლებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. იზრუნონ სასწავლო-სახელოსნოების, საყოფაცხოვრებო, შრომისა და შრომითი-პოლიტექნიკური პრაქტიკუმების კაბინეტების საჭირო მანქანა-დანადგარებით, სამუშაო იარაღებით შევსების, კეთილმოწყობისა და სასწავლო მუშაობაში მათი გამოყენებისათვის;

გ) შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა და ისინი, რომლებიც ვერ შეძლებენ არსებითად გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, არსებული წესის დაცვით, დასვან საკითხი მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

დ) სასწავლო სახელოსნოების ოსტატის თანამდებობაზე და შრომითი სწავლების მასწავლებლებად დანიშნონ სათანადო ტექნიკური განათლებისა და სტაჟის მქონე მუშაკები;

ე) საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნან ტექნიკური საბჭოები რომლის შემადგენლობაში შეყვანილი იქნან ტექნიკური განათლების მქონე და სათანადო პედაგოგიური გამოცდილების მასწავლებლები, რომლებიც ქმედით დახმარებას აღმოუჩენენ სკოლებს შრომითი სწავლების გაუმჯობესების საქმეში;

ვ) სკოლებში ფართოდ გაშალონ მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნით, რისთვისაც ამ საქმიანობაში აქტიურად ჩააბან პროფკავშირული, კომკავშირული, პიონერული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებათა მოწინავე მუშაკები;

ზ) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების ყველა საშუალო და რვაწლიანი სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განხილვა, დასახონ ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს სკოლების სასწავლო სახელოსნოების, საყოფაცხოვრებო შრომისა და შრომითი-პოლიტექნიკური პრაქტიკუმების კაბინეტების სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული მანქანა-დანადგარებით, სამუშაო იარაღებითა და მასალებით მომარაგება მოსწავლეთა კონტინგენტის მიხედვით.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე) გამომცემლობის გეგმებში მეტი ადგილი დაუთმოს შრომითი სწავლებისათვის მეთოდური ლიტერატურის გამოცემას.

6. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ პერიოდულად გააშუქონ სკოლებში შრომითი სწავლებისა და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ამსახველი მასალები.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 4 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე ი. **ბეროზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 28 აპრილის ბრძანება № 268

### ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების შესახებ

ამასთან ერთად ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 მარტის № 117 დადგენილებას „ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების შესახებ".

„ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთა მიერ ავტოსაქმის დაუფლებაში ხელის შეწყობის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს,

ა) შემოიღოს 1969/70 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების IX—X კლასებში ავტოსაქმის სწავლება, დანართის თანახმად;

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეებიდან შოფერ-მოყვარულთა მოსამზადებლად გამოყენებულ იქნეს დრო, რომელიც გამოყოფილია სასწავლო გეგმით IX—X კლასებში შრომითი სწავლებისა და სამხედრო-ტექნიკური მომზადებისათვის: ხოლო შოფერ-პროფესიონალთა მომზადებისათვის აგრეთვე ის დრო, რაც გამოყოფილია დამატებით ფაკულტატური მეცადინეობისათვის.

გარდა ამისა (სასწავლო გეგმის ზევით) ავტომობილის ინდივიდუალური პრაქტიკული ტარების შესასწავლად შოფერ-მოყვარულთათვის გამოიყოს დამატებით 32 საათი და შოფერ-პროფესიონალთათვის—50 საათი.

ბ) იმ სკოლებში, სადაც შემოღებული იქნება ავტოსაქმის სწავლება, შტატით გათვალისწინებულ იქნეს ინსტრუქტორის თა-

ნამდებობა ავტომანქანის პრაქტიკულად ტარების სწავლებისათვის, იმ ანგარიშით, რომ ყოველ 35 მოსწავლეზე (სავარაუდოდ) მოდიოდეს ერთი ინსტრუქტორი და მათი ხელფასის განაკვეთი განისაზღვროს სათანადო დადგენილების შესაბამისად.

2. მოსწავლეებს, რომლებიც დაამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას ავტოსაქმის სწავლებით და წარჩინებით ჩააბარებენ გამოცდებს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოებს, მიეცეთ მოწმობები ავტომობილის მართვის უფლებაზე 18 წლის ასაკის შესრულებისას.

3. დაევალოს რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის ავტოსაქმის მასწავლებელთა და ავტომობილის პრაქტიკული ტარებისათვის ინსტრუქტორების შერჩევა ადგილობრივი ავტომეურნეობებისა და ავტოსაწარმოების საუკეთესო მუშაკებიდან; მიამაგრონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, რომლებშიაც შემოღებულია ავტოსაქმის სწავლება, ადგილობრივ ავტომეურნეობებს, სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს და დაავალონ ამ ავტომეურნეობებს და საწარმოებს აღმოუჩინონ სკოლებს აუცილებელი დახმარება ავტოსაქმის სასწავლო კაბინეტებში ძრავების მოქმედი სტენდებისა და აგრეგატების დაყენებასა და დამონტაჟებაში, აგრეთვე ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის საქმეში.

4. დაევალოს „დოსააფის" საქართველოს რესპუბლიკურ კომიტეტს, „დოსააფის" საკავშირო ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადითა და სახსრებით, მოაწყოს მოკლევადიანი მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები ავტოსაქმის მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების მოსამზადებლად, აგრეთვე აღმოუჩინოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დახმარება ავტოსაქმის სწავლების ორგანიზაციასა და სასწავლო მუშაობის ჩატარებაში.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1970—1971 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების პროექტში გაითვალისწინოს:

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის მცირელიტრაჟიანი „უნივერსალის" ტიპის დუბლირებული მართვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედალით მსუბუქი სასწავლო ავტომობილების გამოყოფა 1970–1971 წლებისათვის 30 ცალის რაოდენობით ყოველწლიურად.

6. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს, დადგენილი წესის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე გადაცემული სასწავლო ავტომობილების რეგისტრაცია.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოუყოს 1969 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 15 სატვირთო ავტომობილი, აგრეთვე ყოველწლიურად საჭირო რაოდენობით აკუმულატორები და საწვავ-საცხები მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებული ავტომობილების ექსპლოატაციისათვის.

8. საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტრომ უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებზე გადაცემული ავტომობილების დუბლირებულ პედალებზე გადაყვანა და მათი კაპიტალური რემონტი, აგრეთვე გადასცეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აგრეგატები, ხელსაწყოები და ნაწილები ჩამოსაწერად განკუთვნილი ნაკეთობებიდან იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია ავტოსწავლების კაბინეტების მოსაწყობად.

9. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, გამოუყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ავტოსაქმის სწავლებისათვის არსებული ავტომობილების საექსპლოატაციოდ საჭირო სათადარიგო ნაწილები.

10. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით გათვალისწინებულია:

ა) სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტოინსპექციამ შეიმუშაონ და 1969 წლის 1 მარტამდე დაამტკიცონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების პროგრამა და დებულება მათ მიერ შოფერ-მოყვარულისა და შოფერ-პროფესიონალის უფლების მინიჭების შესახებ;

ბ) სსრ კავშირის „დოსააფის“ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის განათლების სამინისტროს ხარჯზე უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მოკლევადიან კურსებზე მომზადება და გადამზადება: 1969 წელს 500 ავტოსაქმის მასწავლებლის და 1970 წლისათვის 1.000 ავტომობილის პრაქტიკულად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარების ინსტრუქტორისა, აგრეთვე ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს მოსწავლეებისათვის ავტოსაქმის სწავლების სამუშაოების მოწყობასა და ჩატარებაში;

გ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა კინომატოგრაფიის კომიტეტმა უზრუნველყოს 1970—1971 წლებში სასწავლო ფილმების „ავტომობილის“ და „მოძრაობის უსაფრთხოების“ შექმნა, სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დაკვეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 6 მარტის № 117
დადგენილების დანართი

## ს ქ ე მ ა

### ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ავტოსაქმის სწავლების შემოღებაზე

| №№ რიგზე | ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის დასახელება | საშუალო სკოლების რაოდენობა ავტოსაქმის სწავლებით | | |
|---|---|---|---|---|
| | | 1969/70 სასწ. წ. | 1970/71 სასწ. წ. | 1971/72 სასწ. წ. |
| | სკოლების რაოდ. სულ: | 15 | 30 | 60 |
| | მათ შორის: | | | |
| 1 | აფხაზეთის ასსრ . . | 2 | 3 | 6 |
| 2 | აჭარის ასსრ . . . . | 1 | 2 | 5 |
| 3 | სამხრეთ ოსეთის ა/ო | 1 | 1 | 1 |
| 4 | ქ. თბილისი . . . . | 3 | 5 | 10 |

**შენიშვნა:** ავტოსაქმის სწავლება, როგორც წესი, შემოღებული უნდა იქნას იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სადაც ორი მეცხრე და ორი მეათე კლასკომპლექტია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დადგენილების შესასრულებლად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ 1969—1970 სასწავლო წლიდან ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების IX—X კლასებში ავტოსაქმის სწავლების შემოღება დანართის მიხედვით; სკოლების შერჩევისას გაითვალისწინონ ავტოსაქმის სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის (ავტოკაბინეტების) შექმნის, მასწავლებელთა კადრების შერჩევისა და ადგილობრივი ავტომეურნეობების შესაძლებლობანი;

ბ) ავტოსაქმის სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის მიზნით განახორციელონ მტკიცე კავშირი ავტოსაქმის სწავლების სკოლებსა, ადგილობრივ ავტობაზებთან, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებებთან, რომლებსაც გააჩნიათ მძლავრი ავტომეურნეობები;

გ) დააკომპლექტონ სკოლები, რომლებშიაც შემოღებული იქნება ავტოსაქმის სწავლება სათანადო ცენზის, კვალიფიკაციისა და მუშაობის გამოცდილების მქონე მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა კადრებით (ყოველ 35 მოსწავლეზე ერთი ინსტრუქტორი);

დ) სკოლების სია, რომლებშიაც შემოღებული იქნება ავტოსაქმის სწავლება კლასების რაოდენობისა და მოსწავლეთა კონტინგენტის (მათ შორის გოგონები) ჩვენებით წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ყოველი წლის 10 სექტემბრისათვის.

2. საშუალო სკოლის დირექტორებმა, რომლებშიაც შემოღებული იქნება ავტოსაქმის სწავლება:

ა) მიიღონ საჭირო ზომები ავტოსაქმის სწავლებისათვის სათანადო სათავსოების გამოყოფისა და მატერიალური ბაზის შექმნის შესახებ, რისთვისაც მჭიდრო კავშირი დაამყარონ ავტომეურნეობებთან და უზრუნველყონ მათგან ავტოკაბინეტებისათვის საჭირო აგრეგატების, მოქმედი მოდელების, პლაკატების, მანქანის ნაწილებისა და აპარატურის მიღება:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) ჩაატარონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა უფროსკლასელთა შორის ავტოსაქმის სწავლების შემოღების შესახებ, რაც დაკავშირებულია ჩვენს ქვეყანაში საავტომობილო მრეწველობის მძლავრ განვითარებასთან, სახალხო მეურნეობაში მის ფართო გამოყენებასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომ განმტკიცებასთან;

გ) სისტემატური ხელმძღვანელობა, დახმარება, კონტროლი გაუწიონ ავტოსაქმის მასწავლებლებს და იზრუნონ მათი შემდგომი პედაგოგიური დახელოვნებისათვის.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) უზრუნველყოს დაფინანსებით ქალაქებისა და რაიონების ის სკოლები, სადაც შემოღებული იქნება ავტოსაქმის სწავლება.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) უზრუნველყოს იმ სკოლების მომარაგება, სადაც შემოღებული იქნება ავტოსაქმის სწავლება სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გადმოცემული სატვირთო და სასწავლო ავტომანქანებით, აკუმულატორებით, ავტომობილის სათადარიგო ნაწილებით, ავტოსაქმის სწავლებისათვის კაბინეტების მოსაწყობად საჭირო ავეჯით, მოწყობილობით, თვალსაჩინოებით, დამხმარე ხელსაწყოებითა და მასალებით.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 25 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წლის 28 აპრილის № 268 ბრძანების დანართი

# გეგმა

## ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში ავტოსაქმის სწავლების შემოღებაზე

| №№ რიგზე | ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის დასახელება | საშუალო სკოლების რაოდენობა მოსწავლ. ავტოსაქმის სწავლებით | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | 1969/70 სასწ. წ. | 1970/71 სასწ. წ. | 1971/72 სასწ. წ. | სულ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| | სკოლების რაოდ. სულ: | 15 | 30 | 60 | 105 |
| | მათ შორის: | | | | |
| 1 | აფხაზეთის ასსრ . . | 2 | 3 | 6 | 11 |
| 2 | აჭარის ასსრ . . . . | 1 | 2 | 5 | 8 |
| 3 | სამხრეთ ოსეთის ა/ო | 1 | 1 | 1 | 3 |
| 4 | ქ. თბილისი . . . . | 3 | 5 | 10 | 18 |
| 5 | ქ. ქუთაისი . . . . | 1 | 2 | 5 | 8 |
| 6 | ქ. ფოთი . . . . . . | — | 1 | 1 | 2 |
| 7 | ქ. ჭიათურა . . . . | — | 1 | 1 | 2 |
| 8 | ქ. რუსთავი . . . . | 1 | 1 | 2 | 4 |
| 9 | ქ. გორი . . . . . . | — | 1 | 1 | 2 |
| 10 | ქ. ტყიბული . . . . | 1 | 1 | 1 | 3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | ქ. ზუგდიდი . . . . | — | 1 | 1 | 2 |
| 12 | აბაშის რაიონი . . . | — | 1 | — | 1 |
| 13 | ამბროლაურის რიონი | — | 1 | — | 1 |
| 14 | ახალქალაქის . . . . | 1 | — | 1 | 2 |
| 15 | ახალციხის . . . . . | — | 1 | 1 | 2 |
| 16 | ბოლნისის . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 17 | ბორჯომის . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 18 | გარდაბნის . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 19 | გორის . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 20 | გურჯაანის . . . . . | — | 1 | — | 1 |
| 21 | დმანისის . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 22 | დუშეთის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 23 | ზესტაფონის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 24 | ზუგდიდის . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 25 | ქარელის . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 26 | კასპის . . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 27 | ლაგოდეხის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 28 | ლანჩხუთის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 29 | მარნეულის . . . . | — | 1 | — | 1 |
| 30 | მახარაძის . . . . | — | 1 | — | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 31 | მაიაკოვსკის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 32 | მცხეთის . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 33 | ონის . . . . . . . | 1 | — | — | 1 |
| 34 | ორჯონიკიძის . . . | 1 | — | — | 1 |
| 35 | საგარეჯოს . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 36 | სამტრედიის . . . . | 1 | — | — | 1 |
| 37 | საჩხერის . . . . | — | 1 | — | 1 |
| 38 | სიღნაღის . . . . . | — | 1 | — | 1 |
| 39 | თელავის . . . . . | 1 | — | 1 | 2 |
| 40 | თერჯოლის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 41 | თეთრიწყაროს . . . | — | 1 | — | 1 |
| 42 | ხაშურის . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 43 | ხობის . . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 44 | წალკის . . . . . . | — | — | 1 | 1 |
| 45 | წითელწყაროს . . | — | 1 | — | 1 |
| 46 | წულუკიძის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 47 | ცხაკაიას . . . . . . | — | 1 | — | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|---|---|---|---|---|---|
| 48 | წყალტუბოს . . . | — | — | 1 | 1 |
| 49 | ჩოხატაურის . . . . | — | — | 1 | 1 |
| 50 | ჩხოროწყუს . . . . | — | — | 1 | 1 |

**შენიშვნა:** ავტოსაქმის სწავლება, როგორც წესი, შემოღებული უნდა იქნას იმ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სადაც ორი მეცხრე და ორი მეათე კლასკომპლექტია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ 30 აპრილის ბრძანება № 279

### რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (სსრკ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით)

სსრკ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების მასალებში აღნიშნულია, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სკოლამდელ დაწესებულებებში მეთოდური მუშაობის გაუმჯობესების საქმეს. აღდგენილ იქნა სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, განმეორებით, გამოიცა „აღზრდის პროგრამა საბავშვო ბაღისათვის“, ყოველკვარტალურად გამოდის ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ დამატება „დაწყებითი სკოლა და სკოლამდელი აღზრდა“, თხუთმეტ მსხვილ ქალაქსა და რაიონში გაიხსნა სკოლამდელი აღზრდის კაბინეტი, ხოლო ყველა რაიონის განათლების განყოფილებას დაემატა სკოლამდელი აღზრდის თითო საშტატო ერთეული და სხვა.

სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტს სწორი მიმართულება აქვს აღებული სკოლამდელი დაწესებულებებისადმი მეთოდური დახმარების მხრივ; თითოეული მეთოდისტი მიმაგრებულია გარკვეულ რაიონზე და ადგილებზე ეწევა სათანადო მეთოდურ მუშაობას.

კაბინეტის მიერ დამუშავებული მითითებები, როგორც წესი, განიხილება პედაგოგიკურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების შესაბამისი სექტორისა და კაბინეტის მიერ, ხოლო საბოლოოდ განათლების სამინისტროს მიერ მტკიც-

დება და ეგზავნება სახელმძღვანელოდ რაიონების განათლების განყოფილებებს. კაბინეტს უკანასკნელ წელს დამუშავებული აქვს მითითებები ფიზიკური აღზრდისა, ბაგის ასაკის ჯგუფების მუშაობისა და საბავშვო ბაღში დღესასწაულების ჩატარების შესახებ. იგი გაღრმავებულ მუშაობას ეწევა რესპუბლიკის 57 საბაზო საბავშვო ბაღში (ბაგა-ბაღში), სადაც ტარდება სკოლამდელ მუშაკთათვის სემინარები, ღია მეცადინეობანი. ჩამოყალიბებულია საბჭოები: მეთოდური, ფიზიკურ აღზრდასა და ვეტერან-პენსიონერებისა. კაბინეტი ყოველკვარტალურად და წლის ბოლოს თავის მუშაობის შესახებ ანგარიშსა და სამუშაო გეგმას უდგენს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას.

გაუმჯობესდა სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. მარტო გასულ წელს 576 სკოლამდელმა მუშაკმა (გამგე, აღმზრდელი, მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, მეთოდური კაბინეტის გამგე, მეთოდისტი) გაიარა კურსები. კურსების მუშაობა საინტერესო და მრავალფეროვანია. ამავე დროს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის კაბინეტი სისტემატურად აწყობს რაიონებში სემინარებს.

გარკვეულ მუშაობას ეწევა აგრეთვე პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტორი. იგი ორ წელიწადში ერთხელ სკოლამდელი მუშაკებისათვის ატარებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციას ან პედაგოგიურ კითხვას, აწყობს გამსვლელ სესიებს, სექტორის მუშაკები მუშაობენ სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებებში (რესპუბლიკური საბაზო, თბილისის მე-3, 34-ე, გორის რაიონის ტყვიავის, რუსთავის 22-ე ბაგა-ბაღები, თბილისის № 1, 89-ე, ქ. რუსთავის მე-5, ქ. გორის მე-5 საბავშვო ბაღები) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს „აღზრდის პროგრამის“ მიხედვით; მეცადინეობანი და აღმზრდელობითი მუშაობა იგეგმება კალენდარულად და ჩატარებული მუშაობა სწორად აღირიცხება.

ბავშვთა კოლექტივები გამოირჩევიან ორგანიზებულობით და დისციპლინიანობით. ბავშვები წყნარი, ზრდილობიანი და ყურადღებიანი არიან ერთმანეთისა და უფროსებისადმი.

დიდი ყურადღება ექცევა ბავშვთა მაგიდასთან სწორად ჯდომისა და საკვების კულტურულად მიწოდების საქმეს: ბავშვები სუფთად და აკურატულად გამოიყურებიან, კარგადაა მათში და-

ნერგილი თვითმომსახურების ჩვევები, ამჟღავნებენ ცოდნის საკმანადო დონეს, ეუფლებიან ფანქრის ხმარებისა და საღებავების გამოყენების ჩვევებს, ნახატებში სწორად გადმოსცემენ საგნის გამოსახულებას, კარგად იყენებენ ბუნებრივ მასალებს თვითნაკეთი სათამაშოებისათვის.

დიდი მუშაობაა ჩატარებული მშობლიური და რუსული ენის სწავლებისათვის. ბავშვები სწორად მეტყველებენ, თავისუფლად გადმოსცემენ მოთხრობებისა და ზღაპრების შინაარს, გამომუშავებული აქვთ მუსიკის მოსმენისა და გაგების უნარი, მსუბუქად და რიტმულად მოძრაობენ.

ამავე დროს, ნარკვევში აღნიშნულია, რომ ბაგა-ბაღებში ბავშვთა სწავლება და აღზრდა უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობს, ვიდრე ცალკე ბაგაში.

გაუმჯობესდა სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის დაგეგმარების საქმე—მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხები ცენტრალიზებულია განათლების სამინისტროში, სატიტულო სიაში არ შეიტანება მშენებლობა იმ რაიონსა და ქალაქში, სადაც არაა გამოყოფილი მიწის ნაკვეთი.

შემოწმებულ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. უფროს და საშუალო ასაკის ბავშვთა ჯგუფებში სისტემატურად ირღვევა დღის რეჟიმი, ბავშვები დროის მეტ ნაწილს მჯდომარე მდგომარეობაში იმყოფებიან. დიდხანს ელოდებიან საკვების მიღებასა და მეცადინეობის დაწყებას. ფიზიკური აღზრდისათვის საჭირო იარაღების უქონლობის გამო მეცადინეობანი ფიზიკურ აღზრდაში არასწორად ტარდება (გორის № 5 საბავშვო ბაღი). სამედიცინო პერსონალი ყურადღებას არ აქცევს დილის გამამხნევებელი ვარჯიშებისა და ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობათა მეთოდურად სწორად ჩატარებას. ფიზიკურად სუსტ ბავშვებს არ ურჩევენ მათთვის შესაფერის ვარჯიშობებსა და დატვირთვებს, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ზოგიერთ ბაღში არ ტარდება ბავშვთა ღრმა საექიმო შემოწმება და პროფილაქტიკური ღონისძიებები. ქმედითი ზომები არაა მიღებული ბავშვთა დღის ძილის ორგანიზაციისათვის და სხვ. მეცადინეობანი მშობლიურ ენასა და თვლა-ანგარიშში სქემატურად და ერთფეროვნად ტარდება. არაა გამოყენებული სენსორული აღზრდის მეთოდები. ზოგჯერ აღმზრდელები არ აძლევენ საშუალე-

ბას ბავშვებმა თვითონ მოიფიქრონ, კავშირი დაამყარონ საგნებსა და მოვლენებს შორის. ნაკლებადაა გამოყენებული ბავშვთა შრომა: არაა მოწყობილი მხატვრული ლიტერატურისა და ბუნების კუთხეები. მუშაობას ხელს უშლის ისიც, რომ რესპუბლიკაში არ არის სპეციალური უმაღლესი განათლების მქონე კადრი, პედაგოგიურ ინსტიტუტებთან არაა შექმნილი სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტორი ნაკლებ ყურადღებას აქცევს მეცნიერ-მუშაკთა კადრების აღზრდის საქმეს.

სკოლამდელ დაწესებულებათა უმრავლესობას არ გააჩნია ბავშვთა ასაკისათვის შესაფერისი ინვენტარი, სასწავლო ნივთები და სათამაშოები. სკოლამდელ დაწესებულებათა ნაწილი გატაცებულია მხოლოდ თოჯინების შეძენით, მათ ოთახების გასაფორმებლად უფრო იყენებენ, ვიდრე სასწავლო მიზნებისათვის; არ აქვთ მოძრავი ტრანსპორტის ამსახველი (მანქანა, ტრამვაი, ავტობუსი, მატარებელი), კონსტრუქციული სათამაშოები. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ბაგის ჯგუფებში.

მიუხედავად იმისა, რომ სააღმზრდელო ჯგუფები მეტად გადატვირთულია ბავშვებით, სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს.

რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სკოლამდელ დაწესებულებათა აღმზრდელ-მასწავლებლებმა:

ა) თავიანთ თავზე სისტემატური მუშაობით უზრუნველჰყონ მეცადინეობათა მაღალ მეთოდურ დონეზე ჩატარება;

ბ) მეცადინეობებზე მაქსიმალურად გამოიყენონ სენსორული აღზრდის მეთოდები იმდაგვარად, რომ ბავშვებმა შეძლონ საგნის ჭვრეტის, ფორმისა და ფერის აღქმა;

გ) სისტემატური მუშაობით ბავშვებში გამოიმუშაონ თანატოლებთან კოლექტიური და მეგობრული დამოკიდებულების ჩვევები;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ბავშვთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას, თავისუფალ მოქმედიანობისა და მონაცვლეობის საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აღკვეთონ ბავშვთა დიდი ხნით სტატიკურ მდგომარეობაში ყოფნა, მტკიცედ დაიცვან „აღზრდის პროგრამით" გათვალისწინებული დღის რეჟიმის ყველა მომენტი;

ვ) ყოველ დილით ჩაატარონ ბავშვთა გამამხნევებელი ვარჯიში და ყურადღება მიაქციონ ფიზიკურ აღზრდაში მეცადინეობათა სწორად ჩატარების, ბუნებისა და თემის შესაფერისად მხატვრული ლიტერატურის კუთხეების მოწყობის საქმეს.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ აღმზრდელთა მუშაობაზე; განსაკუთრებით აამაღლონ მეორე ცვლის აღმზრდელთა პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისადმი. გააუმჯობესონ ბავშვების სახლში გასტუმრების ორგანიზაცია;

ბ) უზრუნველყონ სკოლამდელი დაწესებულებები საჭირო ინვენტარით, თვალსაჩინოებითა და სასწავლო ნივთებით; ნივთიერი ბაზის განმტკიცების მიზნით მოხერხებულად გამოიყენონ საშეფო ორგანიზაციები და მშობელთა კომიტეტები;

გ) მიიღონ ყველა ზომა, რათა მოაწყონ ბავშვთა დღის ძილი, რისთვისაც გამოიყენონ ასაკეცი საწოლები და საბავშვო ბაღის ყველა ფართობი (სააღმზრდელო ჯგუფები, მუსიკის დარბაზი, დახურული დერეფნები და სხვ.);

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებმა:

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა, კონტროლი და დახმარება გაუწიონ სკოლამდელ დაწესებულებებს:

ბ) მიიღონ ყველა ზომა სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გასაფართოებლად, მშენებლობების დროულად დასამთავრებლად და ახალი მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების დროულად გამოსაყოფად;

გ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ სკოლამდელ მუშაკთა თათბირზე და დასახონ სათანადო ღონისძიებები.

4. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მიიღოს ყველა ზომა, რათა სკოლამდელი დაწესებულებები უზრუნველჰყოს შესაფერისი ინვენტარით, სასწავლო ნივთებითა და სათამაშოების მრავალფეროვანი ასორტიმენტით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. მ. ანჯაფარიძე) მტკიცე კონტროლი დააწესოს სკოლამდელ დაწებულებათა მშენებლობის დროულად დასამთავრებლად და ექსპლოატაციაში გადასაცემად.

6. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკურმა მეთოდურმა (ამხ. (ნ. კაკაურიძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის კაბინეტებმა (ამხ. ლ. ხუხუნი) გააძლიერონ მეთოდური მუშაობა და სკოლამდელ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება.

7. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სკოლამდელი აღზრდის სექტორმა (ამხ. ნ. ლეჟავა) შეუნელებელი ყურადღება მიაქციოს მეცნიერ მუშაკთა მომზადების საქმეს, რისთვისაც ახლო კონტაქტი დაამყაროს სკოლამდელ დაწესებულებებთან და ამ გზით შეარჩიოს ახალგაზრდა, პერსპექტიული, მზარდი მუშაკები.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესების მიზნით ტელევიზიის საშუალებით სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის ყოველდღიურად გადაიცემა ვარჯიშობები, ხოლო ქ. თბილისის მე-14 და 27-ე საბავშვო ბაღებიდან ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მოეწყო მეცადინეობათა პრაქტიკული გადაცემა.

9. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) დააწესოს ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 25 აპრილის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 23 მაისის ბრძანება № 303

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და მოსწავლეთა XI საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ

ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს დადგენილება „1969 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და მოსწავლეთა XI სრულიად საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ.

აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს 1969 წელს ქ. თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრებები სპორტის 22 სახეობაში, სპარტაკიადის დებულებით გათვალისწინებულ ვადებში.

სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებამდე ადგილებზე ჩატარდეს მოსწავლეთა შინასასკოლო, რაიონული, საქალაქო, საოლქო და ზონალური შეჯიბრებები და სპარტაკიადები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით, კომკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად:

მოსწავლეთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარებისა და რესპუბლიკურ სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის ნაკრები გუნ-

დების მომზადების მიზნით მიიღონ ზომები მოსწავლეთა შიდასკოლო, რაიონული, საქალაქო, საოლქო და ზონალური შეჯიბრებების და სპარტაკიადების მაღალ დონეზე ჩასატარებლად;

პერიოდულად განიხილონ რესპუბლიკური სპარტაკიადისადმი ნაკრები გუნდების მომზადების მდგომარეობა და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლამ (რ. შავლოხაძე):

მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადასთან დაკავშირებით უზრუნველყოს მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება (სპორტსკოლის მუშაკთა მიმაგრება საერთო საცხოვრებლებზე, სათანადო დოკუმენტაციის დაბეჭდვა, ავტომანქანებით მომსახურეობა და სხვა);

დროულად დააკომპლექტოს საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის ნაკრები გუნდები, უზრუნველყოს ნაკრები გუნდების წევრები საწვრთნელი და საშეჯიბრო სპორტული ტანსაცმლით, მიიღოს ზომები სასწავლო-საწვრთნელ მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და ნაკრები გუნდების მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებამ (ი. ბაცელაშვილი):

სათანადო კონტროლი დააწესოს მოსწავლეთა როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო სპარტაკიადებისათვის მზადების მიმდინარეობაზე, მიიღოს ზომები საკავშირო სპარტაკიადისათვის ნაკრები გუნდების წვრთნისათვის საჭირო პირობების შექმნისა და სპორტის რიგ სახეობებში გუნდების მომზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის სათანადო განყოფილებასთან ერთად მიამაგროს საუკეთესო მწვრთნელები რესპუბლიკის მოსწავლეთა ნაკრებ გუნდებს სპორტის სახეობათა მიხედვით.

აღნიშნული მწვრთნელები უნდა განთავისუფლდნენ ძირითად სამუშაოდან 1969 წლის 1 მაისიდან საკავშირო სპარტაკიადის დამთავრებამდე და აუნაზღაურდეთ მათ საშუალო ხელფასი არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;

რესპუბლიკის სპარტაკიადის დამთავრების შემდგომ პერიოდში და საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე ჩაატარონ სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები, საჭირო შემთხვევაში — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ;

თვალყური ადევნონ და მიიღონ ზომები, რათა მოსწავლეთა სპარტაკიადების ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რომელთა გადაწყვეტა დავალებული აქვთ სხვადასხვა სამინისტროებსა და უწყებებს, დროულად იქნეს შესრულებული.

სისტემატურად მომახსენონ მოსწავლეთა რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადების მზადების მიმდინარეობის შესახებ.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საგეგმო-საფინანსო და მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოებმა უზრუნველყონ სათანადო ღონისძიებების განხორციელება სპარტაკიადების მზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებისათვის.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 23 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 30 მაისის ბრძანება № 316

### რესპუბლიკური ბიუჯეტით 1968 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ

ფაქტიური გასავლის საერთო ჯამი რესპუბლიკური ბიუჯეტით 1968 წელს განისაზღვრება 14.420,4 ათასი მანეთით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 14.841,8 ათასი მანეთისა.

ზოგიერთი დაწესებულების ხელმძღვანელთა არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და გეგმით დასახული ყველა ღონისძიების შესასრულებლად სახსრების დროულად ათვისებისათვის ზომების მიუღებლობის შედეგად, 1968 წელს გახსნილი კრედიტების მიხედვით აუთვისებელი დარჩა 309,6 ათასი მანეთი. მ. შ. კვების თანხები — 51,9 მან. რემონტისათვის ასიგნებული თანხებიდან 23,7 ათასი მან. რბილი ინვენტარის შესაძენად—32,6 ათასი მან. და სხვა ხარჯებში 47,9 ათასი მან. ამავე დროს რიგი დაწესებულებების ხელმძღვანელებმა დაუშვეს საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა, სამეურნეო ხარჯებში გადახარჯვა, ასე მაგალითად— გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექციამ 12,0 ათ. მან., ბეთანიის სკოლა-ინტერნატის დირექციამ—6,0 ათასი მან., თბილისის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის—8,1 ათასი მან., გორდის სკოლა-ინტერნატის—2,5 ათასი მან., მათემატიკური სკოლა-ინტერნატის—13,5 ათასი მან. ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული დებიტორული დავალიანება, რომელიც 44,2 ათ. მან. აღწევს და კრედიტორული დავალიანება—63,8 ათ. მან. ზემო აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

ა) მიიღონ გადამჭრელი ზომები და არ დაუშვან რაიმე საბიუჯეტო-ფინანსური დარღვევა, უმოკლეს ვადაში მოახდინონ მთელი დებიტორული დავალიანების ლიკვიდირება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ სახსრების მთლიანად ათვისება და ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შესრულება.

2. სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა:

ა) უზრუნველყონ მოსწავლეთა კონტინგენტის დაკომპლექტება დამტკიცებული გეგმის სრული შესაბამისობით;

ბ) უზრუნველყონ ბავშვთა კვება დამტკიცებული ნორმებისა და ასორტიმენტის მიხედვით;

გ) მიიღონ ზომები მაგარი და რბილი ინვენტარის დაცვა-შენახვისათვის და არ დაუშვან მისი ამორტიზაცია ვადამდე.

3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძემ):

ა) მიმდინარე წლის მეორე კვარტალისათვის სახსრების გამოყოფისას ქვემდებარე ორგანიზაციებს ჩაუთვალოს დებიტორული დავალიანების მთელი თანხა და მასალების ზენორმატიული ნარჩენები;

ბ) შენობათა კაპიტალური რემონტისათვის თანხების გამოყოფა ცალკეული დაწესებულებების მიხედვით მოახდინოს მხოლოდ სათანადო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამტკიცების შემდეგ.

4. საკონტროლო-სარევიზიო განყოფილებამ ჩამოწერილი მაგარი და რბილი ინვენტარის დეფორმირებისას შეამოწმოს მისი უვარგისობის სინამდვილე.

5. გაფრთხილებული იქნან ყველა დაწესებულების დირექტორები და ბუღალტრები, რომ მომავალში საფინანსო დისციპლინის დარღვევის დაშვებისათვის ისინი მკაცრად დაისჯებიან.

6. 1968 წლის ანგარიში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტით—დამტკიცდეს.

**საფუძველი:** განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 26 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 30 მაისის ბრძანება № 319

### ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო და განათლების სისტემის სხვა ბიბლიოთეკების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ბიბლიოთეკების მუშაობის საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებისა და სხვა დაწესებულებების ბიბლიოთეკების აქტიურად ჩაბმის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს პირობები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკების მუშაობის რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ (თან ერთვის).

2. შეიქმნას სასკოლო და განათლების სამინისტროს სისტემის სხვა ბიბლიოთეკების მუშაობის რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. უშ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე);
2. თ. ნიკოლაიშვილი—სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე);
3. ელ. აგლაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;
4. ვ. გოგოლაძე—ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი;
5. ლ. პაიჭაძე—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე;
6. ნ. ბერძენიშვილი (მდივანი);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. ნ. კვიტაიშვილი—ბიბლიოთეკის მუშაკი;
8. ლ. ურუშაძე—ბიბლიოთეკის მუშაკი;
9. თ. მემარნიშვილი—ბიბლიოთეკის მუშაკი.

3. კომისიამ პერიოდულად შეისწავლოს სასკოლო და განათლების სისტემის სხვა ბიბლიოთეკებში დათვალიერების მიმდინარეობა და საჭიროების შემთხვევაში შემოწმების მასალები წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა სასკოლო და სხვა დაწესებულებების ბიბლიოთეკების დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარებისათვის:

ა) აქტიური მონაწილეობა მიიღონ რაიონის (ქალაქის) მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებთან შექმნილ ბიბლიოთეკების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერების ხელშემწყობი კომისიების საქმიანობაში;

ბ) უზრუნველყონ თითოეული ბიბლიოთეკის აქტიურად ჩაბმა დათვალიერებაში, გაუწიონ კონტროლი მათ მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და მიაღწიონ ბიბლიოთეკების მუშაობის არსებითად გარდაქმნა-გაუმჯობესებას;

გ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათები დათვალიერების შედეგების შესახებ არა უგვიანეს 1970 წლის 1-ლი იანვრისა.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებმა გამოყონ საჭირო ფულადი სახსრები გამარჯვებული ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკართა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკების მუშაობის სრულიად საკავშირო დათვალიერება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებისა და სხვა დაწესებულებების ბიბლიოთეკების მუშაობის დათვალიერების პირობები

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელები 1970 წლის აპრილში აღნიშნავენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მზადების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად 1968 წლის 1-ლი ოქტომბრიდან 1970 წლის 1-ლ იანვრამდე ტარდება ბიბლიოთეკების მუშაობის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება. ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებაში აქტიურად უნდა ჩაებან სასკოლო და განათლების სისტემის სხვა ბიბლიოთეკები.

დათვალიერების პერიოდში ბიბლიოთეკები უფრო სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას: საბიბლიოთეკო მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის შემოქმედებითად გამოყენებით, აამაღლებენ ბიბლიოთეკების მუშაობის იდეურ დონეს, რითაც ხელს შეუწყობენ საბჭოთა ადამიანების, კერძოდ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

ბიბლიოთეკების მუშაკთა ამოცანაა ახალი წარმატებებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის იუბილეს, განუხრელად შეასრულონ ვ. ი. ლენინის მითითებები საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, გააუმჯობესონ მკითხველთა მომსახურება, მოიზიდონ ახალი მკითხველები ბიბლიოთეკებში, სრულად და გამიზნულად გამოიყენონ არსებული წიგნადი ფონდები, ხელი შეუწყონ თვითეულ საბჭოთა ადამიანში, განსაკუთრებით მოზარდ თაობაში მარქსისტულ-ლენინური მსოფლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობის შემუშავებას, კომუნისტური მრწამსის განმტკიცებას, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობის შთანერგვას.

დათვალიერების პერიოდში სასკოლო ბიბლიოთეკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმ ლიტერატურის პროპაგანდას, რომელიც ასახავს ჩვენი სამშობლოს წარმატებებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში, ჩვენი ხალხის პატრიოტულ, რევოლუციურ საბრძოლო და შრომის ტრადიციებს, რომელიც აშკარავებს ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინების რეაქციულ არსს და მკითხველს უნერგავს შეურიგებლობას ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიმართ.

I. სასკოლო ბიბლიოთეკების იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლების მიზნით დათვალიერების პერიოდში საჭიროა:

1. წიგნის პროპაგანდისა და კითხვის ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების ყოველმხრივი სრულყოფა და გაღრმავება, მკითხველებთან ინდივიდუალური მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების გზით.

2. ლენინის თეორიული მემკვიდრეობისა და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურით, რაც შეიძლება მეტი მკითხველის დაინტერესება.

3. მასობრივი მუშაობის ყველაზე ეფექტური და პრაქტიკაში ნაცადი ფორმების და მეთოდების ფართოდ გამოყენება (ლენინური კითხვა, ლენინური გაკვეთილები, დისპუტები და სხვა).

4. მკითხველთა მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება და ამ მიზნით სხვა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების გამოყენება, მოძრავი ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის მეშვეობით.

II მოსწავლეთა საბიბლიოთეკო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა მუდმივი ზრუნვა ვ. ი. ლენინის მითითების განხორციელებისათვის, რომლის მიხედვით ქვეყნის მთელ მოსახლეობას უნდა მიეცეს საბიბლიოთეკო წიგნებით სარგებლობის შესაძლებლობა.

1 ამასთან დაკავშირებით სასკოლო ბიბლიოთეკებმა კულტურის სამინისტროს სისტემის შესაბამის ბიბლიოთეკებთან (საქალაქო, სარაიონო, სასოფლო) ერთად უნდა შეადგინონ მოსწავლეთა სახელობითი სიები კლასების მიხედვით, გამოავლინონ ბიბლიოთე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კის გარეშე დარჩენილი მოსწავლეები და გახადონ ისინი მუდმივ მკითხველებად.

2. უზრუნველყონ მოსწავლეთა კითხვის ორგანიზაციაში მასწავლებლის, კლასის ხელმძღვანელის აქტიური მონაწილეობა (მასწავლებლების მორიგეობა, ბიბლიოთეკარის შემცვლელის შერჩევა და სხვ.).

III. ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების სრული და მიზნობრივი გამოყენება წარმოადგენს ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ ძირითად მითითებას საბიბლიოთეკო მშენებლობის დარგში. ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია:

1. გააფართოონ და მრავალფეროვანი გახადონ წიგნის პროპაგანდა (ახალი წიგნებისა და თემატური გამოფენების მოწყობა, მკითხველთა კონფერენციების ლიტერატურული საღამოების ჩატარება, ექსკურსიების მოწყობა მწერალთა სახლმუზეუმებში, შეხვედრები მწერლებთან, მოწინავე ადამიანებთან და სხვ.) და ამის საფუძველზე მიაღწიონ წიგნადი ფონდების განსაკუთრებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ლიტერატურის ბრუნვადობის ამაღლებას.

2. სასკოლო ბიბლიოთეკებთან შექმნან გაცვლითი და სარეზერვო ფონდები წიგნების გადანაწილების მიზნით.

3. სასკოლო ბიბლიოთეკები გაწმინდონ არაპროფილური ლიტერატურისაგან.

IV. სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული საბიბლიოთეკო კადრების შემადგენლობაზე, მათ პოლიტიკურ მომზადებასა და პროფესიულ ოსტატობაზე. დათვალიერების პერიოდში საბიბლიოთეკო კადრების განსამტკიცებლად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. საშუალო და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში დაუსწრებელ სწავლებაში უნდა ჩაებას ბიბლიოთეკების მუშაკთა ძირითადი მასა, რომელსაც სპეციალური განათლება არა აქვს.

2. გაფართოვდეს საკურსო ღონისძიებები საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე სასკოლო ბიბლიოთეკართათვის.

3. საუკეთესო სასკოლო და საბავშვო ბიბლიოთეკებში უნდა მოეწყოს მოკლევადიანი პრაქტიკუმები ახლადდანიშნული მუშაკებისათვის.

4. რეგულარულად მოეწყოს საბიბლიოთეკო მუშაკების მუდმივმოქმედი საქალაქო და რაიონული სემინარები, რომელთა პრო-

გრამებში გათვალისწინებული უნდა იქნას კულტურის, საბიბლიო-თეკო საქმისა და წიგნზე მუშაობის საკითხებზე ლენინის მითით-თებათა ღრმად შესწავლა.

5. სემინარების მუშაობას სათავეში ჩაუდგეს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებებთან არსებულ პედკაბინეტებში შექმნილი სასკოლო ბიბლიოთეკართა სექციები.

V. დათვალიერების პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სასკოლო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და მათ გადაქცევას კულტურის კერებად, რისთვისაც სასკოლო ბიბლიოთეკებში უნდა შეიქმნას საჭირო პირობები მკითხველთა სრულფასოვანი მომსახურებისა და წიგნის პროპაგანდისათვის: სასკოლო ბიბლიოთეკები, რომლებიც სივიწროვეს განიცდიან გადაყვანილ იქნან უკეთეს, ფართო ოთახებში, საჭიროების შემთხვევაში უნდა ჩატარდეს ბიბლიოთეკის ბინების შეკეთება, მოწყობილობის, ავეჯის, წიგნის თაროების, სტენდების განახლება, ახალი ინვენტარის შეძენა და სხვ.

## დათვალიერების ორგანიზაცია

ყველა სისტემისა და უწყების ბიბლიოთეკებთან ერთად დათვალიერებაში მონაწილეობენ სასკოლო და განათლების სისტემის სხვა დაწესებულებებთან არსებული ბიბლიოთეკები. დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მისი შედეგების შეჯამებისათვის იქმნება რესპუბლიკური და საოლქო საორგანიზაციო კომიტეტები, საქალაქო და რაიონული კომისიები, რომელთა შემადგენლობაში სხვა უწყების წარმომადგენლებთან ერთად შედიან ასსრ განათლების სამინისტროების, ოლქის, რაიონების (ქალაქის) განათლების განყოფილებათა წარმომადგენლები.

საორგანიზაციო კომიტეტებისა და კომისიების სხდომებზე სისტემატურად უნდა იხილებოდეს სასკოლო ბიბლიოთეკებში დათვალიერების მიმდინარეობის საკითხები, რომლებსაც მოამზადებენ ამ კომიტეტებსა და კომისიებში განათლების სისტემიდან წარგზავნილი პირები.

საორგანიზაციო კომისია იქმნება აგრეთვე განათლების სამინისტროსთან, რომელიც პერიოდულად შეისწავლის სასკოლო ბიბლიოთეკებში დათვალიერების მიმდინარეობას, განიხილავს კომისიის სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში საკითხს განსახილველად წარუდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ანგარიში სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერების შედეგების შესახებ უნდა წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს არა უგვიანეს 1970 წლის 1-ლი იანვრისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1969 წელი, 23 მაისი

### ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

1. ჩატარდეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერება.

2. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების დებულება დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ხელმძღვანელობისა და მუშაობის შეჯამებისათვის შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბეროზაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)

2. ნინუა ჯემალი—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო გან-ბის გამგე (მოადგილე)

3. დარსალია ქეთევან—საქართველოს განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (მდივანი)

4. დევდარიანი შოთა —ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი

5. ერისთავი მზია—ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

6. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი

7. ბაქრაძე ირაკლი—ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი."

4. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა პერიოდულად შეამოწმოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი რესპუბლიკური დათვალიერების მიმდინარეობა და აღნიშნულის შესახებ მოახსენოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას.

5. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, ალკკ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს.

ა) დათვალიერების წარმატებით ჩატარების უზრუნველსაყოფად შექმნან ადგილებზე სკოლისგარეშე დაწესებულებების დათვალიერების ხელშემწყობი კომისიები, პერიოდულად შეამოწმონ ამ დაწესებულებების მუშაობა და აღმოუჩინონ სათანადო დახმარება;

ბ) ფართოდ ჩააბან სკოლისგარეშე დაწესებულებები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ დათვალიერებაში და უზრუნველყონ მათი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება.

6. დაევალოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილებასა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს კონტროლი დააწესონ ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**რ. მეტრეველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ი ს მ ი ზ ა ნ ი: 1970 წელს, საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნავს მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი შრომის წითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე ატარებს სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკურ დათვალიერებას.

დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ა მ ხ ე ლ ი უ ნ დ ა შ ე უ წ ყ ო ს: რესპუბლიკის პიონერულ ორგანიზაციაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გათვალისწინებულ ღონისძიებათა მაღალ იდეურ დონეზე ჩატარებას. სკოლისგარეშე დაწესებულებებში მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას და მოსწავლეთა აღზრდას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითებზე.

### დათვალიერების მონაწილენი:

დათვალიერებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებს, ქალაქისა და რაიონების პიონერთა და მოსწავლეთა სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა, ნატურალისტთა, ბავშვთა საექსკურსიო ტურისტულ სადგურებს, ბაზებს, პროფსაბჭოს კულტურის სასახლეებისა და კლუბების საბავშვო სექტორებს, პიონერთა და მოსწავლეთა პარკებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დათვალიერების ჩატარების ვადები

სკოლისგარეშე დაწესებულებების საიუბილეო დათვალიერება ტარდება 1969 წლის 1 ივნისიდან 1971 წლის ივნისამდე ორ ეტაპად. პირველი ეტაპის შედეგები რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში უნდა გადმოიგზავნოს 1970 წლის 15 ივნისისათვის ხოლო მეორე ეტაპის შედეგები—1971 წლის 15 ივნისისათვის.

## დათვალიერების პირობები

### დათვალიერების შეჯამებისას გათვალისწინებული იქნება:

1. სკოლისგარეშე დაწესებულებების გავლენის სფერო რაიონის, ქალაქის, ოლქის და რესპუბლიკის სკოლებში, პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში; დახმარების გაწევა რაზმებსა და რაზმეულებისათვის საიუბილეო ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებაში. პიონერ-მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის დონის ამაღლების, იდეური რწმენის განმტკიცების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის გზები.

2. საცხოვრებელ ადგილებში, პიონერული, მოქმედების ზონებში, პარკებსა და საბავშვო მოედნებზე მოსწავლეებთან მუშაობის ორგანიზაცია კვირა დღეებსა, არასასწავლო დროსა და არდადეგების პერიოდში. ბავშვებთან სამუშაოდ საჭიროა მჭიდრო ურთიერთობის დამყარება ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის მუშაკებთან, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციის ვეტერანებთან. ბავშვთა სხვადასხვა კოლექტივის ჩამოყალიბება საზოგადოებრივ საწყისებზე, წრეების, სექციების, საბავშვო კლუბებისა და ბავშვთა სხვა გაერთიანებების მოწყობა.

3. მუშაობა სკოლისგარეშე და კლასგარეშე მუშაობის ორგანიზატორებთან, პედაგოგებთან, უფროს პიონერხელმძღვანელებთან, რაზმის, წრეებისა და სექციების ხელმძღვანელებთან, მშობლებთან, ბავშვებთან.

სკოლისგარეშე დაწესებულებების პედაგოგიური კოლექტივების მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა.

4. პიონერულ და კომკავშირულ აქტივთან მუშაობა და მათგან სკოლებში, პიონერულ ბანაკებში, საცხოვრებელ ადგილებში სამუშაოდ ინსტრუქტორების მომზადება.

5. პიონერული რაზმეულებისა და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი აქტიური დახმარების გაწევა საიუბილეო სამზადისთან დაკავშირებული იგროთეკების, გამოფენების, გალერეების, კუთხეების, სხვადასხვა ზეიმებისა და დღესასწაულების მოწყობაში.

6. სასურველია სკოლისგარეშე დაწესებულებების საბავშვო კოლექტივებმა დათვალიერებისას დარგობრივად, შემოქმედებითად გაშალონ მუშაობა.

7. სკოლისგარეშე დაწესებულებების მიერ მეთოდური და პრაქტიკული დახმარების გაწევა პიონერული რაზმებისა, რაზმეულებისა და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

8. სკოლისგარეშე დაწესებულებების საწრეო და საკლუბო მუშაობის დაგეგმვა „ორიენტირის“ შესაბამისად.

შეხვედრები ლენინის ორდენოსნებთან, ლენინური პრემიის ლაურიატებთან. ახლო ურთიერთობის დამყარება წარმოება-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების შრომის ვეტერანებთან, ახალგაზრდა მუშებთან, მატიანეების შედგენა— „ლენინის სახელით“ (შენი ქალაქის ლენინის მოედანი, ლენინის ქუჩა... და ა. შ.). დასწრებული და დაუსწრებელი ექსპედიციები ლენინურ ადგილებში, ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლა და სხვ.

9. სასკოლო-კომკავშირული ორგანიზაციების, პიონერული რაზმებისა და რაზმეულების, სკოლისგარეშე დაწესებულებების კოლექტივების მუშაობის მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადება და პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვა.

სკოლისგარეშე დაწესებულებები, რომლებიც დაიკავებენ პირველ ადგილებს, ფართოდ იქნებიან წარმოდგენილნი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაში, საუკეთესო კოლექტივები და ცალკეული მუშაკები დაჯილდოვდებიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის დიპლომებითა და სიგელებით, ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული“-სა და საიუბილეო სამკერდე ნიშნებით.

პიონერ-მოსწავლეები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სკოლისგარეშე დაწესებულებების მუშაობაში დაჯილდოვდებიან ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერულ ბანაკ „არტეკის“ და კომკავშირული საზაფხულო ბანაკის „ორლიონოკის“ საგზურებით.

დათვალიერების შედეგების შესახებ 1971 წლის ნოემბერში ჩატარდება სკოლისგარეშე დაწესებულებათა რესპუბლიკური კონფერენცია. დათვალიერების ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის იქმნება ხელშემწყობი კომისიები, რომელთა შემადგენლობაში შევლენ განათლების, კომკავშირის, პროფკავშირის, ადგილობრივი რაიონული გაზეთების, პიონერთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების წარმომადგენლები.

დათვალიერების შედეგების შეჯამებისათვის იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთობლივი დადგენილება

1969 წელი 23 მაისი

**სსრკ განათლების სამინისტროს, სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“—განხორციელებაში საქართველოს სსრ განათლების ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ**

სსრკ განათლების სამინისტრომ, სსრკ სოფლის მეურნეობის სამიმისტროს კოლეგიამ და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ 1969 წლის 26 თებერვალს განიხილა საკითხი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ აქტიური შრომითი საქმიანობისათვის სოფლის სკოლების მოსწავლეთა მომზადების საქმეში. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ისინი ხელს უწყობენ მოსწავლეებში შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდას, მათი აქტივობისა და ინიციატივის განვითარებას, პროფესიულ ორიენტაციას, შემოქმედებით შრომით საქმიანობაში მოსწავლეთა ფართო ფენების ჩაბმას.

მოწინავე სკოლებში ბრიგადის წევრთა მწარმოებლური შრომა მჭიდროდაა დაკავშირებული მათ სწავლებასთან. ბიოლოგიის, ქიმიის, შრომის გაკვეთილებსა და ტექნიკური და სოფლის მეურ-

ნობის პრაქტიკუმებზე მიღებული ცოდნის დახმარებით მოსწავლეები მინდვრებსა, პლანტაციებსა, ბაღ-ვენახებსა და ფერმებში ეუფლებიან რა მუშაობის ჩვევებსა და ხერხებს, საკუთარი შრომით გარკვეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ეკონომიკის აღმავლობის საქმეში.

რუსეთის ფედერაციასა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში მოსწავლეთა მოწინავე საწარმოო ბრიგადების მუშაობაში წამყვანი ადგილი უკავია საცდელ-კვლევით მუშაობას მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგში, აგრეთვე რაციონალიზატორულსა და გამომგონებლობით საქმიანობას, როგორც მათი მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, საწარმოო ბრიგადების საქმიანობაში კვლავაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა საცდელ-საექსპერიმენტო მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სპეციალური სასწავლო დაწესებულებების აგროქიმიური ლაბორატორიები. საცდელი მუშაობა, როგორც წესი, ხორციელდება პედაგოგთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, ნორჩ ნატურალისტთა სადგურების მუშაკთა ზედამხედველობითა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დახმარებით.

პედაგოგიური კოლექტივები, სკოლების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირული ორგანიზაციები მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში, შრომითი საქმიანობის ორგანიზაციასთან ერთად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური, ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის საკითხებს.

მაგრამ როგორც ირკვევა ბევრგან მოსწავლეთა ბრიგადებში არასწორადაა ორგანიზებული მოსწავლეთა შრომითი საქმიანობა, სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის დაგეგმვას, ნორმირებასა და აღრიცხვას. სერიოზული შეცდომებია დაშვებული საცდელ და კვლევით მუშაობაში. დარღვეულია ცდების ჩატარების მეთოდიკის ძირითადი მოთხოვნები, იგი არ არის დაკავშირებული ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტერესებთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც ცდა დაუმთავრებელი რჩება, ან მისი შედეგები არ ინერგება პრაქტიკაში. ტექნიკის შესწავლით დაინტერესებულია ბრიგადის წევრთა მხოლოდ მცირე ნაწილი, მოსწავლეები არ იცნობენ წარმოების მოწინავეთა გამოცდილებას, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კონკრეტულ საკითხებს. პედაგოგე-

ბი საწარმოო ბრიგადებს უნარიანად ვერ იყენებენ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიზნებისათვის. მთელ რიგ საწარმოო ბრიგადებში—დაბალია აღმზრდელობითი მუშაობის დონე, არ ტარდება შეხვედრები სოფლის მოწინავე ადამიანებთან, არ ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, ჟურნალ-გაზეთების კოლექტიური კითხვა, ექსკურსიები, სპორტული შეჯიბრებები, სათანადო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა მხატვრული თვითშემოქმედების გაშლას და სხვ.

რამდენიმე წლის წინათ თელავის, ჩოხატაურის, ბათუმის, ქობულეთის, მახარაძის და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონების განათლების ორგანოები, კომკავშირული ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდნენ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ბრიგადებს გამოყოფილი ჰქონდათ მიწის ნაკვეთები, სათანადო ტექნიკა, მოგვარებული იყო ბრიგადის წევრთა ცხელი საჭმელებით მომარაგების საქმე და სხვ. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების აქტივიზაციის მიზნით ტარდებოდა შეკრებები, ნორჩი მექანიზატორების, რაციონალიზატორებისა და გამომგონებლების შეჯიბრებები და კონკურსები.

მაგრამ ეს სასარგებლო საქმე დაუმსახურებლად იქნა მივიწყებული. ამჟამად მოსწავლეებთან, რომლებიც ზაფხულში არდადეგების პერიოდში უფროსების მხარდამხარ შრომობენ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მინდვრებსა, ბაღ-ვენახებსა, პლანტაციებსა და ფერმებში, სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა არ ტარდება, მოუგვარებელია მათი შრომისა და დასვენების პირობებიც.

ამ ბოლო დროს შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა მცხეთის რაიონმა, სადაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ინიციატივით, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სწავლების პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებით, მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მათი მომზადების მიზნით. მცხეთის რაიონში ყველა სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო-საცდელი ნაკვეთით, სამუშაო იარაღებით, თესლითა და მინერალური სასუქებით. რაიონის არც ერთი სკოლა არ არის დარჩენილი, რომ კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, რომელიმე სა-

წარმო ან სამეცნიერო დაწესებულება არ უწევდეს შეფობას. მცხეთის რაიონში არსებული კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერ მუშაკები ყველა რვაწლიან და საშუალო სკოლებზე არიან მიმაგრებული და სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა თუ სახელოსნოში მოსწავლეთა შრომას პედაგოგებთან ერთად, მეცნიერულ საფუძვლებზე წარმართავენ, უფრო გააზრებულს, შეგნებულს ხდიან მათ საქმიანობას. მცხეთელთა თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ მთელს რესპუბლიკაში. განსაკუთრებულია ამ მხრივ ქობულეთის რაიონი, სადაც სკოლების დასახმარებლად მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული.

მცხეთელთა პატრიოტული თაოსნობის შედეგად რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში უკვე ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების აღდგენისა და მათი საქმიანობის გაშლა-გაფართოებისათვის.

სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებაში რესპუბლიკის განათლების ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობის მიზნით საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგია

ა დ გ ე ნ ე ნ

1. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები ჩაითვალოს სოფლის სკოლების მოსწავლეთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის ორგანიზაციის ერთ ერთ ძირითად ფორმად.

ბრიგადების მთავარი ამოცანაა: მოსწავლეებში შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების აღზრდა. მათი შრომითი უნარ-ჩვევების ფორმირება, თანამედროვე ტექნიკისა და საცდელი მუშაობისადმი ინტერესის გაღვივება, მოსწავლეთა მომზადება პროფესიის შეგნებული არჩევისა და სახალხო მეურნეობაში შემოქმედებითი შრომისათვის.

საწარმოო ბრიგადების მუშაობის ძირითადი მიმართულებაა —მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა, სასოფლო-სამეურნეო სა-

ცდელი მუშაობა, თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლება და რაციონალიზატორული საქმიანობა.

2. დაევალოს სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლის დირექტორებს, სოფლის მეურნეობის ორგანოებს, კოლმეურნეობათა გამგეობებს, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კომკავშირის რაიონულ კომიტეტებს ქმედითი ღონისძიებები გაატარონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ჩამოყალიბებისა და მათი საქმიანობის გასაფართოებლად. იზრუნონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების რიცხობრივი ზრდის, ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მათში აღმზრდელობითი მუშაობისა და საწარმოო საქმიანობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

3. დაევალოს სოფლის მეურნეობის ორგანოებს, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ტექნიკური შემოქმედებისა და საცდელი მუშაობის გაფართოების საქმეში აქტიურად ჩააბან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მეცნიერები და სტუდენტები, რათა საწარმოო ბრიგადებში საცდელი მუშაობა ატარებდეს კვლევით ხასიათს, ითვალისწინებდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ინტერესებს და ამასთან საკვლევაძიებო მუშაობის შედეგები აუცილებლად ინერგებოდეს წარმოებაში.

ბრიგადაში მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედება მიმართული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემდგომი სრულყოფისა და ხელის შრომის შემცვლელ მოწყობილობათა შექმნა-დამუშავებისაკენ.

4. დაევალოს სახალხო განათლების ორგანოებს, სკოლის ხელმძღვანელებს, სოფლის მეურნეობის ორგანოებსა და კომკავშირის კომიტეტებს ქმედითი ღონისძიებები გაატარონ მოსწავლეთა შრომითი მომზადების გაუმჯობესებისათვის; მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ტექნიკის სრულყოფილად დაუფლებისათვის მაქსიმალურად გამოიყენონ შრომითი სწავლება, კლასგარეშე მუშაობა და აგრეთვე კადრების მომზადების სხვადასხვა ფორმები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე.

5. დაევალოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, რეკომენდაცია მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს სოფლის მეურნეობა-

ში სამუშაოდ დარჩენილ სკოლის კურსდამთავრებულთ შეუქმნან სათანადო პირობები შრომისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ხოლო მათგან საუკეთესონი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სტიპენდიებით სასწავლებლად მიავლინონ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

6. პედაგოგიურმა კოლექტივებმა, კომკავშირის კომიტეტებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღმზრდელობით მუშაობას, დაუკავშირონ იგი სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის მოსწავლეთა მომზადების, მათი პროფესიული ორიენტაციის, სოფლად კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის ამოცანებს: იზრუნონ საწარმოო ბრიგადებში მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოების შექმნისა და მათი საქმიანობის აქტივიზაციისათვის.

7. დაევალოს სახალხო განათლების ორგანოებსა და კომკავშირის კომიტეტებს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში სისტემატურად ჩაატარონ მასობრივი ღონისძიებები (შეჯიბრებები, შეკრებები, კონკურსები და სხვ.) და გამოიყენონ ისინი მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის სრულყოფისათვის.

8. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

ა) ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1970 წელს ჩატარდეს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების რესპუბლიკური დათვალიერება;

ბ) 1970 წელს მოეწყოს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მეორე რესპუბლიკური შეკრება;

გ) მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და საწარმოო ბრიგადების მუშაობის საკითხებზე 1970 წლის ივლისში ჩატარდეს რესპუბლიკური სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია.

9. დამტკიცდეს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების დებულება (თან ერთვის).

10. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების", ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების", „სოფლის ცხოვრების", „ახალგაზრდა კომუნისტის", „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქციებს, აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ორ-

განიზაციისა და საქმიანობის საკითხები, პროპაგანდა გაუწიონ საუკეთესო სკოლების, მეურნეობების, კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქ. სსრ განათლების მინისტრი | საქ. სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი |
| რ. მეტრეველი | თ. ვ. ლაშქარაშვილი | ზ. ლვინჯილია |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის სანიმუშო დებულება

## 1. მიზანი და ამოცანები

1. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა არის ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური საშუალო და რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა შრომითი კოლექტივი, რომელიც იქმნება კომუნისტური აღზრდის მიზნით მწარმოებლური სასოფლო-სამეურნეო შრომის პროცესში.

2. მოსწავლეთა ბრიგადის ამოცანაა: აღზარდოს მოსწავლეებში სოციალისტური საკუთრებისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, განუვითაროს მოსწავლეებს საზოგადოებრივი აქტივობა, ჩამოუყალიბოს მათ საბჭოთა მოქალაქის მაღალი მორალური თვისებები. უზრუნველყოს მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, მათში შრომითი უნარისა და ჩვევების გამომუშავება, ცოდნის გაღრმავება, ტექნიკისადმი ინტერესის გაღვივება, გარს კუთრებული ინტერესის აღძვრა გამომგონებლობისა და რაციონალიზატორულ საქმიანობისადმი; მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადება პროფესიის შეგნებული არჩევისა და სახალხო მეურნეობაში შემოქმედებითი შრომისათვის.

ხელი შეუწყოს მოსწავლეთა შინაარსიან და აქტიურ დასვენებას, მათ ფიზიკურ განვითარებასა და გაკაჟებას.

## I. ბრიგადების შექმნა

3. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები იქმნება VII—X (XI) კლასების მოსწავლეებისაგან სკოლის ხელმძღვანელობის კოლმეურნეობათა გამგეობების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, სკოლის კომკავშირული ორგანიზაციისა და მშობელთა კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებში შეუძლიათ იმუშაონ მე-5, მე-6 კლასის მოსწავლეებს მათი ასაკისათვის შესაფერი შრომისა და დასვენების რეჟიმის დაცვის შემთხვევაში.

საწარმოო ბრიგადა შეიძლება შეიქნას ერთი კოლმეურნეობის ან საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების საფუძველზე.

4. სკოლის დირექტორი, კოლმეურნეობის გამგეობა, საბჭოთა მეურნეობის დირექტორი მასწავლებელთა შემადგენლობიდან და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთაგან ნიშნავს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადებზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციასა და პიონერული რაზმეულის საბჭოსთან ერთად ატარებენ მუშაობას ბრიგადის შესაქმნელად.

მოსწავლეები ბრიგადებში მიიღებიან პირადი განცხადების საფუძველზე. მე-9 კლასის მოსწავლეები ბრიგადის მუშაობაში მონაწილეობენ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სკოლის საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

სკოლის კომკავშირის კომიტეტი ბრიგადაში აწყობს თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს.

## III. მუშაობის შინაარსი

5. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის შინაარსი განისაზღვრება შრომითი სწავლებისა და აღზრდის ამოცანებით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-ფინანსური გეგმით. სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და მასწავლებელთა კვლევითი ხასიათის დავალებებით.

6. ბრიგადის მუშაობაში მთავარია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე ორგანიზებული მწარმოებლური შრომა, ცდები მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაუფლება, რაციონალიზატორული და გამომგონებლობითი საქმიანობა.

7. სააღმზრდელო მუშაობა ბრიგადებში დაკავშირებულია სკოლის სასწავლო აღმზრდელობით პროცესთან და წარიმართება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პირობებში.

ზაფხულის პერიოდში ბრიგადებში სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ლექციები და საუბრები, დისპუტები, შეხვედრები, სააგიტაციო და ტურისტული ლაშქრობები, ოლიმპიადები, შეჯიბრე-

ბები, ეწყობოდეს კინოფილმებსა და სპექტაკლებზე კოლექტიური დასწრება და მათი გარჩევა. ეს მუშაობა უნდა წარიმართოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად.

8. სკოლის ხელმძღვანელობა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების სპეციალისტები, სკოლის კომკავშირის კომიტეტის წევრების მონაწილეობით, ბრიგადის საბჭოსთან ერთად შეიმუშავებენ მოსწავლეთა ბრიგადის სასწავლო საწარმოო გეგმას, რომელშიც შეიძლება შემდეგი თავები იქნეს გათვალისწინებული:

—მოსწავლეთა საწარმოო დავალება;

—საცდელი მუშაობა, რაციონალიზაცია, გამომგონებლობა და სასწავლო დავალება;

—პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, კულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა.

მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო გეგმას იხილავს სკოლის ბრიგადის წევრთა საერთო კრება, სკოლის პედაგოგიური საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა, საბჭოთა მეურნეობის დირექცია, ამტკიცებს სკოლის დირექტორი, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

## IV. ბრიგადის მუშაობის ორგანიზაცია

9. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა მუშაობს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში; მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და წრეობრივი მუშაობის პროცესში ხდება საწარმოო ბრიგადების სამეურნეო საქმიანობის შეჯამება, დგება მათი სასწავლო-საწარმოო გეგმა, ტარდება აგროტექნიკური და ზოოტექნიკური სწავლება, მიმდინარეობს მზადება მინდვრის სამუშაოებისათვის და სხვადასხვა ცდების ჩატარებისათვის და სხვ.

საგაზაფხულო და საშემოდგომო საცდელ-პრაქტიკული სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს მე-9 კლასელთა საწარმოო პრაქტიკის ანგარიშში შესაბამისად მეცადინეობის გახანგრძლივებისა და არასასწავლო დროს ბრიგადის წევრთა (მაგრამ დღეში არა უმეტეს 2 საათისა) მუშაობაში ჩაბმის გზით.

10. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადა იყოფა რგოლებად. რგოლების რაოდენობა და მათი მუშაობის შინაარსი განისაზღვრება კონკრეტული პირობებით.

11. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის შრომისა და დასვენების რეჟიმს ადგენს სკოლა, კოლმეურნეობასა, საბჭოთა მეურნეობასა და სამედიცინო პერსონალთან ერთად, სსრკ შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე.

შრომის ხანგრძლივობა ზაფხულის პერიოდში მოსწავლეთათვის არ უნდა აღემატებოდეს:

მე-7—8 კლასებისათვის 4 კვირას;

მე-9—10 (11) კლასებისათვის—6 კვირას;

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები მუშაობენ მხოლოდ დღისით და მუშაობის ხანგრძლივობა განისაზღვრება:

მე-7—8 კლასებისათვის—4 საათით;

მე-9—10 (11) კლასებისათვის—6 საათით;

მე-5—6 კლასის მოსწავლეები საცდელ მუშაობას ატარებენ სპეციალურად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო მექანიზმების გარეშე და სამუშაო დღის ხანგრძლივობა მათთვის არ უნდა აღემატებოდეს დღეში 3 საათს, მთლიანად ზაფხულის განმავლობაში კი სამ კვირას.

12. საწარმოო ბრიგადის წევრებს, IX—X კლასის მოსწავლეებს რომლებიც სპეციალურად ეუფლებიან ტრაქტორს, საწარმოო პრაქტიკის პერიოდში შეუძლიათ იმუშაონ ტრაქტორზე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის კვალიფიციური მექანიზატორის ხელმძღვანელობით, დღეში 3 საათის ხანგრძლივობით.

13. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადაში მთელი მუშაობა ტარდება სოციალისტური შეჯიბრების პრინციპის მიხედვით. სოცშეჯიბრება იშლება ბრიგადაში რგოლებს, ხოლო რაიონის, ოლქისა და რესპუბლიკის მასშტაბით მოსწავლეთა ბრიგადებს შორის. სოცშეჯიბრების ვალდებულებით, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შრომის მწარმოებლობას და მის კულტურას, აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ მოთხოვნილებათა მკაცრ დაცვას, ცდების ჩატარებას, შრომით დისციპლინას, საყოფაცხოვრებო-სანიტარიას, საზოგადოებრივ სამუშაოებში მონაწილეობას, ბრიგადის კულტურულ და სპორტულ ცხოვრებას.

## V. თვითმმართველობა მოსწავლეთა ბრიგადაში

14. ბრიგადის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოდ ითვლება ბრიგადის წევრთა საერთო კრება. ბრიგადის მიმდინარე

სამუშაოებს ხელმძღვანელობს ბრიგადის საბჭო ბრიგადის მეთაურობით, ხოლო რგოლს—მერგოლური.

ბრიგადის თვითმმართველობის მთელ მუშაობას ხელმძღვანელობს სკოლის კომკავშირის კომიტეტი (8-წლიან სკოლებში კი პიონერული რაზმეული).

15. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის საერთო კრება მოსწავლეთა შემადგენლობიდან ირჩევს ბრიგადის საბჭოს, ბრიგადის ხელმძღვანელს—საბჭოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, რომლებიც შედიან ბრიგადის საბჭოს შემადგენლობაში.

იხილავს სასწავლო გეგმებსა და სახავს გზებს მათ შესასრულებლად.

ამტკიცებს რგოლებისა და ბრიგადების სოც. შეჯიბრების პირობებს, იხილავს ბრიგადის წევრთა საყოფაცხოვრებო პირობების, დისციპლინის, სოციალისტური საკუთრების დაცვის, ბრიგადის წევრთა მიღების, წახალისება-დასჯის საკითხებს და სხვა განსაზღვრავს გამომუშავებული სახსრებიდან ბრიგადის საზოგადოებრივ ფონდში გადარიცხვათა ოდენობას, აჯამებს წლის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოს შედეგებს.

ბრიგადის საერთო კრება წელიწადში უნდა ჩატარდეს არანაკლებ ორისა.

16. ბრიგადის საბჭო:

ხელმძღვანელობას უწევს მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის მთელ საქმიანობას, მონაწილეობას იღებს ბრიგადის სასწავლო-საწარმოო გეგმის დამუშავებაში;

ორგანიზაციას უწევს სოციალისტურ შეჯიბრებას და პერიოდულად აჯამებს ბრიგადისა და რგოლის მუშაობის შედეგებს;

ორგანიზაციას უწევს პოლიტ-აღმზრდელობით, კულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობას;

წინადადებებით მიმართავს სკოლის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის კომკავშირის კომიტეტებს, სკოლის დირექტორებს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებს ბრიგადაში შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების, საუკეთესო რგოლებისა და ცალკეულ მოსწავლეთა წახალისების თაობაზე.

იხილავს მუშაობას და აუცილებელ შემთხვევაში სვამს საკითხს ბრიგადის ზოგიერთი წევრის ქცევის შესახებ.

ანგარიშს აბარებს ბრიგადის საერთო კრებას ჩატარებული მუშაობის შესახებ;

ბიბლიოთეკა

ბრიგადის საბჭო ზაფხულის პერიოდში იკრიბება კვირაში ერთხელ მაინც.

17. ბრიგადის ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები პასუხს აგებენ სასწავლო-საწარმოო გეგმების შესრულებაზე, ანაწილებენ სამუშაოს რგოლებს შორის, აწესებენ ბრიგადაში კონტროლს და აღრიცხვას, თვალყურს ადევნებენ შრომისა და დასვენების რეჟიმს, საწარმოო დისციპლინას და ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებენ ბრიგადის საერთო კრებას.

ბრიგადის ხელმძღვანელი საერთო კრების დადგენილების საფუძველზე შეიძლება ნაწილობრივ განთავისუფლდეს საწარმოო სამუშაოდან.

ბრიგადის ხელმძღვანელს ამტკიცებს სკოლის კომკავშირის კომიტეტი.

ზაფხულის პერიოდში ბრიგადის წევრ-კომკავშირელთა საერთო კრებაზე ირჩევენ ბრიგადის კომორგს, რომელსაც თავის სხდომაზე ამტკიცებს სკოლის კომკავშირის კომიტეტი. ის პასუხს აგებს პოლიტ-აღმზრდელობით, კულტ-მასობრივ და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზაციაზე, ხელმძღვანელობს პოლიტინფორმატორთა ჯგუფს, მობილიზაციას უკეთებს ბრიგადის წევრებს სოცშეჯიბრების ვალდებულებათა შესასრულებლად. ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს კომკავშირის კომიტეტს და ბრიგადის კომკავშირელებს.

19. რგოლის თვითმმართველობის უმაღლეს ორგანოდ ითვლება რგოლის წევრთა საერთო კრება, რომელიც ირჩევს მერგოლეურს, იხილავს რგოლის სამუშაო გეგმას და სახავს გზებს მის განსახორციელებლად, აყალიბებს შეჯიბრების პირობებს, აწესრიგებს დისციპლინისა და საყოფაცხოვრებო საკითხებს და ამასთანავე აჯამებს რგოლის მუშაობის შედეგებს.

20. რგოლის ხელმძღვანელი ანაწილებს სამუშაოს რგოლის წევრებს შორის და თვალყურს ადევნებს მის შესრულებას, რგოლში ორგანიზაციას უკეთებს შეჯიბრებას და ურთიერთდახმარებას, თვალყურს ადევნებს დღის რეჟიმისა და საწარმოო დისციპლინის დაცვას, მხედველობაში იღებს რგოლის წევრთა შრომისა და ჩატარებული მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს რგოლის კრებასა და ბრიგადის საბჭოს.

21. პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ბრიგადაში სანიტარული პირობების კონტროლისათვის იქმნება მოსწავლეთა სანიტარული საგუშაგოები.

## V. სკოლის კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მოვალეობანი მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების ორგანიზაციის საქმეში

### მატერიალური ბაზა

22. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს სკოლა კოლმეურნეობასთან და საბჭოთა მეურნეობასთან ერთად. სკოლის დირექტორი, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე და საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ერთნაირად პასუხისმგებელი არიან ბრიგადაში მუშაობის სწორად წარმართვაზე, შრომისა და დასვენებისათვის აუცილებელ პირობათა შექმნაზე.

23. კოლმეურნეობის გამგეობა, საბჭოთა მეურნეობის დირექცია ვალდებული არიან:

გამოჰყონ ბრიგადის მუშაობისათვის პასუხისმგებელი სპეციალისტები და კვალიფიცირებული მუშები.

სასწავლო-საწარმოო გეგმის შესაბამისად სამუშაოთა მთელი კომპლექსის შესასრულებლად შექმნან ყველა პირობა.

ბრიგადისათვის გამოჰყონ მიწის ნაკვეთი, ბაღები, ზვრები და სხვა ობიექტები (ნაკვეთის ზომასა და ადგილს განსაზღვრავენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სკოლასთან ერთად ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მოსწავლეთა შრომა მეცხოველეობის დარგში იწარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში).

ხელი შეუწყონ შრომის მაქსიმალურ მექანიზაციას, უზრუნველყონ მოსწავლეთა ბრიგადები სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, იარაღებით, ტრაქტორებით, ტრანსპორტით, ინვენტარით, სასუქებით, თესლითა და ნერგებით. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების დასახმარებლად გამოყოფილ საჭირო ტექნიკას მიამაგრონ გამოცდილი მექანიზატორები; აწარმოონ საველე სადგომის მშენებლობა და მოწყობა; უზრუნველყონ მოსწავლეთა გადაყვანა და გადმოყვანა ტრანსპორტით სამუშაო ადგილის 3 კმ-ის დაშორების შემთხვევაში.

მოავარონ ბრიგადის წევრთა ცხელი საჭმელებით კვების საქმე მოსწავლეთა მიერ გამომუშავებული და აგრეთვე გამაჯან-

ხალებელ ღონისძიებებისათვის გამოყოფილი დამატებითი სახსრების ხარჯზე.

საუკეთესო შრომითი მაჩვენებლებისათვის წაახალისონ ბრიგადის წევრები, სპეციალისტები, კვალიფიციური მუშები.

24. საწარმოო ბრიგადის უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებენ პედაგოგ-აღმზრდელები და კოლმეურნეობის წარმომადგენლები, საბჭოთა მეურნეობის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

ისინი უნდა იცნობდნენ შრომით კანონმდებლობას, წესებს, ნორმებს, უსაფრთხობის ტექნიკის ინსტრუქციას, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების წესებს.

საჭიროების შემთხვევაში ბრიგადების ხელმძღვანელთა დასახმარებლად სკოლებში კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დამატებით გამოყოფენ პედაგოგებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის აღმზრდელი-პედაგოგი ინიშნება სკოლის დირექტორის მიერ საუკეთესო პედაგოგთაგან ან სკოლის სხვა მუშაკებისაგან. აღმზრდელი პედაგოგი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთან ერთად პასუხისმგებელია საწარმოო ბრიგადის მუშაობაზე, მონაწილეობას იღებს სასწავლო-საწარმოო გეგმის შედგენაში და ახორციელებს კონტროლს მის მიმდინარეობასა და შესრულებაზე, ეხმარება ბრიგადის ხელმძღვანელებს, კომორგებსა და რგოლის ხელმძღვანელებს, თვალყურს ადევნებს შრომისა და დასვენების რეჟიმის მიმდინარეობას, უსაფრთხობის ტექნიკის, ბრიგადის საყოფაცხოვრებო პირობებისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვას.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მოსწავლეთა ბრიგადის მუშაობაზე მონაწილეობენ სასწავლო-საწარმოო გეგმების შედგენაში, პასუხს აგებენ გეგმების შესრულებასა და ბრიგადების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფისათვის. ახორციელებენ კონტროლს სამუშაოთა შესრულების ხარისხზე, იცავენ უსაფრთხოების ტექნიკის წესებს. სხვა სპეციალისტებთან ერთად, ხელმძღვანელობენ სოფლის მეურნეობის დარგში ექსპერიმენტების ჩატარებას, რაციონალიზატორულსა და გამომგონებლობით მუშაობას, აწარმოებენ აგრონომიულ და ზოოტექნიკური სამუშაოს ბრიგადის წევრებთან ერთად და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## VII. შრომის აღრიცხვა და ანაზღაურება

25. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად მიღებული პროდუქცია ითვლება კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საკუთრებად.

26. ბრიგადაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მიღებული შესაბამისი ფორმით წარმოებს თითოეული მოსწავლის, რგოლის და საერთოდ ბრიგადის მიერ ჩატარებული სამუშაოს და აგრეთვე მიღებული პროდუქციის სისტემატური აღრიცხვა.

რგოლში მუშაობას აღრიცხავს რგოლის ხელმძღვანელი, ხოლო ბრიგადაში—ბრიგადის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე.

მოსწავლეთა კვების დანახარჯები ირიცხება ბრიგადის საერთო ფონდიდან და ნაწილდება ბრიგადის ყველა წევრზე, ხოლო გარკვეული ნაწილი კი, მოსწავლეთა თანხმობის საფუძველზე, გადაირიცხება ბრიგადის საზოგადოებრივ ფონდში (ტურისტული ლაშქრობისათვის, ექსკურსიებისათვის და სხვ.).

27. ბრიგადის წევრთა გამომუშავების ნორმების აღრიცხვა წარმოებს ადგილობრივი პირობების, მოსწავლეთა ასაკისა და ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით.

მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადის წევრთა შრომა ანაზღაურდება საწარმოო შეფასებით, რომელიც დაწესებულია მოზრდილი მუშებისათვის მათ მიერ შესრულებული სატარიფო განაკვეთზე იმ დროისათვის დამატებით, რომლითაც მოზრდილთა სრული სამუშაო დრო აღემატება მოზარდის შემცირებულ სამუშაო დროს.

28. მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობა ყოველწლიურად ჯამდება საერთო კრებაზე, სადაც განისაზღვრება შრომისა და საშუალებათა დანახარჯები, დგინდება მიღებული პროდუქციის თვითღირებულება, წარმოებს სამუშაოს შეჯამება ჩატარებული ცდების საფუძველზე, იმართება კონფერენციები, გამოფენები, ტარდება შემოდგომის დღესასწაული და სხვა მასობრივი ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

1963 წლის 23 მაისი

**ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბუნების ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ**

ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკურმა შეკრებამ ხელი შეუწყო მოსწავლეებში შრომითი ჩვევების დანერგვას, მათ მასობრივ ჩაბმას საკუთარი სკოლის, ქუჩის, ეზოს გამწვანების, დეკორაციული კუთხეების, ხეივნების მოწყობისა და ბუნების სილამაზეთა დაცვის საქმეში.

ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკურ შეკრებასთან დაკავშირებით პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოწყობილ ბავშვთა ნამუშევრების რესპუბლიკურ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 1000-მდე ექსპონატი. შეკრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 27 რაიონის, ქალაქისა და თბილისის სკოლების 40-მდე ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია. გამოფენაზე საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინეს: ცაგერის, ხაშურის რაიონის ალის; ქარელის რაიონის ზრეთის; ცხაკაიას რაიონის ნაქალაქევის; სამტრედიის რაიონის საჯავახოს; წყალტუბოს რაიონის ქვილიშორის, მექვენის, პატრიკეთის: საგარეჯოს რაიონის მანავის 1-ლი, მე-2; ქარელის მე-2, რუისის; თელავის რაიონის რუისპირის; სამგორის მევენახეობის; ლაგოდეხის რაიონის ლელიანის: ახმეტის რაიონის ახმეტის 1-ლი, მე-2, ქვემო ალვანის; თბილისის მე-7, 42-ე, 126-ე, 130-ე, 134-ე 8-წლიანი და საშუალო სკოლებისა და ახმეტის, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტრედის, წითელწყაროს და ქარელის პიონერთა და მოსწავლეთა სახლების ბუნების ნორჩმა მეგობრებმა.

აღსანიშნავია შრომის წითელი დროშის ორდენოსან ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიოლოგიის კაბინეტის მუშაობა, ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრების ორგანიზებულად მომზადებასა და ჩატარებაში.

ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა ბუნების ნორჩ მეგობართა საზოგადოების მუშაობას.

მე-4 რესპუბლიკურ შეკრებაში სათანადოდ არ მიუღიათ მონაწილეობა სოხუმის, გუდაუთის, ბათუმის, ხულოს, ქობულეთის, ფოთის, ქუთაისის, ზესტაფონის, ყვარლის, გურჯაანის, სიღნაღის, ცხინვალის, ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ბოლნისის, ბორჯომის რაიონის სკოლებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და და ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო ა დ გ ე ნ ე ნ:

**ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკურ შეკრებაში საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომებით დაჯილდოვდნენ**

**მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი:**

1. ასათიანი დარეჯან დავითის ასული—წყალტუბო, მექვენის 8 წლ. სკ. VII კლ. მოსწავლე
2. ნემსაძე მადონა გიგას ასული—წყალტუბო, მექვენის 8 წლ. სკ. VII კლ. მოსწავლე
3. მღვდელაძე ბექანი კარლოს ძე—ამბროლაური, ღადაშის 8 წლ. სკ. VII კლ. ნოსწავლე
4. დვალი ზურაბი პარმენის ძე—ამბროლაური, პატარაონის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე
5. ყუბუსიძე ქეთევანი გრიგოლის ასული—ცაგერის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე
6. გედენიძე იამზე არსენის ასული—წყალტუბო, ქვილიშორის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე
7. ჯილაძე ციალა გიორგის ასული—ამბროლაური, ურავის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე
8. გოგიჩაშვილი ქეთევან ვასილის ასული—ქარელი, მე-2 საშ. სკ. X კლ. მოსწავლე

9. ხუციშვილი თამარი—ლაგოდეხი, ლელიანის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

10. ლუტიძე თეიმურაზი ლევანის ძე—თბილისის 134-ე საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე

11. ჯაფარიძე მანანა გრიგოლის ასული — ამბროლაური, ურავის საშ. სკ. VII კლ. მოსწავლე

12. ფირცხალაიშვილი ნინო ანდროს ასული —ლანჩხუთი, ქვიანის 8 წლ. სკ. VI კლ. მოსწავლე

13. ბაძგარაძე რუსუდან ვახტანგის ასული—წყალტუბო, ქვილიშორის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

14. წითლიძე ზურაბ გივის ძე—მახარაძის რ-ნი, ქვემო ნატანების საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

15. ბუბუტეიშვილი კობა კუკურის ძე—მახარაძე, ვაკიჯვრის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

16. უჯმაჯურიძე მარინე ანტონის ასული—მახარაძე, ნაგომარის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

17. გიორგაძე ნარგიზი ედიშერის ასული—მახარაძე, ნაგომარის საშ. სკ. IX კლ. მოსწავლე

18. გოდუაძე რევაზ გრიგოლის ძე—მახარაძე, ნაგომარის საშ. სკოლის X კლასის მოსწავლე

19. სუმბათაშვილი ალექსანდრე იოსების ძე—ქარელის 1-ლი საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

20. ხვადაგიანი გიორგი გელას ძე—ცაგერის საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე

21. გაბელაშვილი ლიანა იაშას ასული—ქარელის 1-ლი საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

22. ჩარექოვი ნოდარი—გიორგის ძე—ხაშურის რ-ნი, ალის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

23. გელაშვილი ქეთევან პავლეს ასული—ხაშურის რ-ნი, ალის საშ. სკ. VII კლ. მოსწავლე

24. სინჯაშვილი მარინე დავითის ასული —წითელწყაროს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი ნატურალისტი

25. ალუდიშვილი ნათელა ჯუანშერის ასული—წითელწყაროს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი ნატურალისტი

26. გოგუაძე სოსო ზურაბის ძე—ლანჩხუთი, მამათის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

27. გურგენიძე რევაზ პავლეს ძე—ლანჩხუთი, სუფსის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

28. ნარსია ნათელა შოთას ასული—ლანჩხუთი, 1-ლი საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

29. იოსელიანი რუსუდან ხერგოს ასული—წყალტუბო, ქვილიშორის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

30. სილაგაძე ლედი კარლოს ასული—ცაგერის საშ. სკ. IX კლ. მოსწავლე

31. კოპალიანი ლალი ჭიჭიკოს ასული—ცაგერის საშ. სკ. VII კლ. მოსწავლე

32. საღინაძე ვახტანგ შალვას ძე—ცაგერის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

33. ქორიძე თენგიზი ტუტუშას ძე—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკ. VII სკ. VII კლ. მოსწავლე

34. ცხვარაძე ილია უშანგის ძე—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

35. შენგელია მარინე გრიგოლის ასული—სამტრედია, საჯავახოს საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

36. მიგინეიშვილი მედეა ვალერიანის ასული—სამტრედიის, საჯავახოს საშ. სკ. X კლ. მოსწავლე

37. მალაჩინი ქეთევან ელისოს ასული—ქარელის რ-ნი, რუისის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

38. ზურაბიშვილი მარიამ შოთას ასული—ქარელი, რუისის 8 წლ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

39. ედილაშვილი მარინე ლავრენტის ასული—ქარელი, ბრეთის საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე

40. ფათარიძე ზურაბი მირიანის ძე—ქარელი, ბრეთის საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე

41. ყორღანაშვილი ლიანა გიორგის ასული—საგარეჯო, მანავის 1-ლი საშ. სკოლა

42. გოგუაძე სამსონი გურამის ძე—ლანჩხუთი, მამათის საშ. სკოლა

43. ხარაშვილი ირა შოთას ასული—ლანჩხუთი, მამათის საშ. სკოლა

44. ლომაძე ნუგზარ რეზოს ძე—ლანჩხუთი, მამათის საშ. სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

45. კუგასიანი ვიტალი აგანის ძე—ლანჩხუთი, მამათის საშ. სკოლა

46. ბუზიაშვილი ტასო სულიკოს ასული—საგარეჯო, მანავის 1-ლი საშ. სკოლა

47. მღებრიშვილი ანა ზაქარიას ასული—საგარეჯო, კაკაბეთის საშ. სკოლა

48. ოქრომჭედლიშვილი გივი შოთას ძე—საგარეჯო, კაკაბეთის საშ. სკ. მოსწავლე

49. გახუტელაშვილი ლამარა ნიკოლოზის ასული—საგარეჯო, გომბორის საშ. სკ. მოსწავლე

50. ქისტაური ელენე შალვას ასული—საგარეჯო, გომბორის საშ. სკ. მოსწავლე

51. გელაშვილი ნაზი კირილეს ასული—ხაშურის რ-ნი, ქვიშხეთის საშ. სკ. მოსწავლე

52. შიოშვილი მარინე ვახტანგის ასული—საგარეჯო, ნინოწმინდის 8 წლ. სკოლა

53. კონიაშვილი ნინო ზაქარიას ასული—საგარეჯო, ნინოწმინდის 8 წლ. სკოლა

54. როჭიკაშვილი მარინე თეიმურაზის ასული—საგარეჯო, ნინოწმინდის 8 წლ. სკ. მოსწავლე

55. სვიმონიშვილი მზია გიორგის ასული—საგარეჯო, მანავის 1-ლი საშ. სკ. V კლ. მოსწავლე

56. დუჩიძე რუსუდან მალხაზის ასული—საგარეჯო, მანავის 1-ლი საშ. სკ. V კლ. მოსწავლე

57. ერბოწონაშვილი სანდრო გუგულის ძე—საგარეჯო, მე-2 საშ. სკოლა

58. მამნიაშვილი თამარ იოსების ასული—საგარეჯო, მე-2 საშ. სკ. მოსწავლე

59. კევლიშვილი ნუნუ სერგოს ასული—საგარეჯო, 1-ლი საშ. სკ. მოსწავლე

60 ჩალათაშვილი დავით ოთარის ძე—საგარეჯოს 1-ლი საშ. სკ. მოსწავლე

61. გლურჯიძე ოლეგი პავლეს ძე—ქარელის მე-2 საშ. სკ. IX კლ. მოსწავლე

62. დანელია ჯემალ ამირანის ძე—ქარელის მე-2 საშ. სკ. IX კლ. მოსწავლე

63. ბორაშვილი ეთერი ამირანის ასული—საგარეჯოს რ-ნი, მანავის მე-2 საშ. სკ. მოსწავლე

64. მღებრიშვილი სოსო ალექსანდრეს ძე—საგარეჯო, მანავის მე-2 საშ. სკ. მოსწავლე

65. ცირეკიძე ნინო ნიკოლოზის ასული—თბილისის 126-ე საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე

66. დონაძე მარინე ვახტანგის ასული—თბილისის 126-ე საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე

67. ბერძენიშვილი თამარ დავითის ასული—თბილისის 126-ე საშ. სკ. VI კლ. მოსწავლე

68. ნიკოლაიშვილი ნაილი ავთანდილის ასული—სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩი ნატურალისტი

69. ოდილავაძე მარინე დავითის ასული—სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი ნატურალისტი

70. მათაშვილი სანდრო უშანგის ძე—საგარეჯო, მანავის მე-2 საშ. სკ. მოსწავლე

71. გოლეთიანი მამუკა ვილიამის ძე—ცაგერის საშ. სკ. VII კლ. მოსწავლე

72. ჩიქოვანი ედიშერი ზურაბის ძე—ცაგერის საშ. სკ. VII კლ. მოსწავლე

73. ჩხარტიშვილი ელეონორა ნუკრის ასული—ცაგერის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

74. ნაცარაშვილი ნინო თამაზის ასული—თელავის რ-ნი, რუისპირის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

75. ოთარაშვილი მანანა არსენის ასული — წითელწყაროს რ-ნის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ნორჩი ნატურალისტი

76. თუთბერიძე ნინო ჰიჰიკოს ასული—წყალტუბოს რ-ნი, პატრიკეთის საშ. სკ. VIII კლ. მოსწავლე

**2. საუკეთესო კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის დიპლომით დაჯილდოვდნენ:**

1. ამბროლაურის რ-ნი, ურავის 8-წლ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

2. წყალტუბოს რ-ნი, მექვენის 8 წლ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

3. ქარელის რ-ნი, კეხიჯვრის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

4. ხაშურის რ-ნი, ალის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

5. ცაგერის 1-ლი საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

6. ამბროლაურის რაიონი, პატარა ონის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

7. გარდაბნის რაიონი, სართიჭალის მე-2 საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

8. ქარელის მე-2 საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

9. თბილისის 126-ე საშ. სკოლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

10. სამტრედიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

11. ამბროლაურის რაიონი, ჭელიაღელის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

12. წყალტუბოს რაიონი, პატრიკეთის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

13. ლანჩხუთის რაიონი, ქვიანის 8 წლ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

14. ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

15. ორჯონიკიძის რაიონი, ხევის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

16. სამგორის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული 8 წლ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

17. საგარეჯოს 1-ლი საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

18. საგარეჯოს მე-2 საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

19. საგარეჯოს რ-ნი, მანავის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

20. საგარეჯო, მანავის მე-2 საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

21. ლაგოდეხის რ-ნი, ლელიანის საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სექცია

22. თბილისის 134-ე საშ. სკ. ბუნების ნორჩ მეგობართა სეაცია.

ა. ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრების მომზადებაში აქტიური მონაწილეობისათვის დიპლომით დაჯილდოვდნენ მასწავლებლები:

1. ბიბილაშვილი ქუქუნა სამსონის ასული—ამბროლაურის რ-ნი, ჭელიაღელის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

2. ნემსაძე ვლასო ვარდენის ძე—წყალტუბოს რ-ნი, მექვენის საშ. სკ. დირექტორი

3. ხალვაში ოლღა არტემის ასული—ლანჩხუთის რ-ნი, ქვიანის 8 წლ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

4. იოსელიანი ემა გიორგის ასული—წყალტუბოს რ-ნი, ქვილიშორის საშ. სკ. 8 წლ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

5. მალაზონია თამარ ნიკიფორეს ასული—მახარაძის რ-ნი, ქვემო ნატანების საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგე

6. გოგოლაშვილი სულიკო ბესარიონის ასული—მახარაძის რ-ნი, ქვემო ნატანების საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

7. ბუბუტეიშვილი კუკური კონსტანტინეს ძე —მახარაძის რ-ნი, ვაკიჯვარის საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგე

8. ნიკოლაიშვილი ლამარა გიორგის ასული—მახარაძე, ვაკიჯვრის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

9. კილაძე ვერა მიხეილის ასული—მახარაძის რ-ნი, ნაგომარის საშ. სკ. დირექტორი

10. მეტრეველი ანა მალაქიას ასული—ცხაკაიას რ-ნი, ნაქალაქევის 8 წლ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

11. ნადირაძე მარო გიორგის ასული—სამტრედიის რ-ნი, საჯავახოს საშ. სკ. სასწ. ნაწილის გამგე

12. ბექუაშვილი შუშანა იოსების ასული—ქარელის რ-ნი, რუისის 8 წლ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

13. ხარატიშვილი ესმა კონსტანტინეს ასული — ქარელის რ-ნის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

14. ნოზაძე ღვთისო მარკოზის ძე—ხაშურის რ-ნი, ალის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

15. მგალობლიშვილი ნატალია პეტრეს ასული - სამგორის მევენახეობის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

16. გურგენიძე ელენე იასონის ასული—თბილისის 126-ე საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

17. სულთანიშვილი გულჩორა ნიკოლოზის ასული—საგარეჯოს რ-ნი, მანავის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

18. ბუცხრიკიძე ელენე ივანეს ასული—თელავის რ-ნი, რუისპირის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

19. ოტიაშვილი თამარ ივანეს ასული—საგარეჯო, ნინოწმინდის 8 წლ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

20. კოჭლამაზაშვილი მაყვალა იოსების ასული—საგარეჯო, საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

21. დავიდოვი ეთერი სიმონის ასული—ახმეტის მე-2 საშ. სკ. უფროსი პიონერხელმძღვანელი

22. შიომღვდლიშვილი ვალენტინა ბიძინას ასული—ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი

23. შუბითიძე თამარი იასონის ასული—ქარელის რ-ნი, ბრეთის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

24. მუმლაძე ზურაბ გრიგოლის ძე—სამკორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკ. დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში.

„სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულნი იქნენ მასწავლებლები:

1. ყურაშვილი თინა კონსტანტინეს ასული—ცაგერის 1-ლი საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

2. ძიძუაშვილი სოფიო პარმენის ასული—წყალტუბოს რ-ნი, პატრიკეთის საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი

3. ძანიძე ლილი დავითის ასული—სამტრედიის რ-ნი, საჯავახოს საშ. სკ. ბიოლოგიის მასწავლებელი.

IV. ბუნების ნორჩ მეგობართა მეხუთე რესპუბლიკური შეკრების ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე—აკადემიკოსი, თბილისის სატყეო ინსტიტუტის დირექტორი, ბუნების ნორჩ მეგობართა რესპუბლიკური საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე—აკადემიკოსი, საქართველოს სსრ აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების გამგე

3. ჯიქიძე თამარ გრიგოლის ასული—პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ნატურალისტური მუშაობის განყოფილების გამგე

4. შენგელია გრიგოლ ნოეს ძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი

5. ნინუა ჯემალი ალექსანდრეს ძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყოფილების გამგე

6. ცერცვაძე ივანე—გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი

7. მათიკაშვილი ვლადიმერ ივანეს ძე—თბილისის სატყეო ინსტიტუტის კულტურის განყოფილების გამგე

V. ბუნების ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრება ჩატარდეს 1969 წლის ოქტომბერში და იგი მიეძღვნას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

VI. განათლების სამინისტროს საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს ბუნების ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრებისათვის საჭირო თანხა.

VII. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილების გამგეებს, ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტის მდივნებს:

ა) ჩააბან ბუნების ნორჩ მეგობართა საზოკადოების ნე-5 რესპუბლიკური შეკრებისათვის მზადების საქმეში მოსწავლეთა ფართო მასები;

ბ) ჩამოაყალიბონ სკოლებთან და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან ბუნების ნორჩ მეგობართა სექციები და უზრუნველყონ მათი მუშაობის ფართო გაშლა.

9. დაევალოს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს მეთოდური დახმარება გაუწიოს სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს ბუნების ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრების წარმატებით ჩატარების საქმეში.

9. დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმა-რთველოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო განყო-ფილებას კონტროლი დააწესოს ამ დადგენილების შესრულებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ განათლების მინისტრი | საქართველოს ალკკ ცენტრა-ლური კომიტეტის მდივანი |
| თ. ლაშქარაშვილი | რ. მეტრეველი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 11 აგვისტოს ბრძანება № 435

## აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მარნეულის, ონის, თეთრი წყაროსა და ყვარლის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების შ ე ს ა ხ ე ბ

გავეცანი რა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, ონის, მარნეულის, თეთრი წყაროსა და ყვარლის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების შესახებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრისა და მარნეულის, ონის, თეთრი წყაროს, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების მოხსენებებს და შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ზემოდასახელებულ რაიონებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელებისათვის.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების ნივთიერი ბაზის განმტკიცების საქმეს სერიოზულ ყურადღებას აქცევენ; მიმდინარე სასწავლო წელს სახელმწიფო მშენებლობის, კოლმეურნეობებისა და საშეფო ორგანიზაციების თანხებით აშენდა სასკოლო შენობები 3.480 მოსწავლე ადგილით. ამ მხრივ დიდი მუშაობაა გაწეული ყვარლის რაიონშიც; ახალ კაპიტალურ შენობებშია ყვარლისა და სოფ. ოქტომბრის რვაწლიანი სკოლები; ამჟამად იგება ახალსოფლისა და გავაზის საშუალო სკოლების შენობები, რომლებიც მ/წლის პირველი სექტემბრისათვის გადაეცემა საექსპლოატაციოდ. ჭიკაანის საშუალო სკოლას ახალი სა-

სკოლა შენობა 480 მოსწავლე ადგილით, ააგო მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და კლასგარეშე დაწესებულებებს კაბინეტ-ლაბორატორიები და სახელოსნოები ყოველწლიურად ივსება ხელსაწყო-იარაღებით. სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ყვარლის, მარნეულის, ონის, თეთრი წყაროს რაიონებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

არ არის შესრულებული I—VIII კლასებში მოსწავლეთა ჩაბმის 1968—1969 სასწავლო წლის სახელმწიფო გეგმა. ონის რაიონში გეგმით უნდა მიეღოთ 3.323 მოსწავლე, მიღებულია—3.276 (98,5%), ყვარლის რაიონში 7.528 მოსწავლის ნაცვლად—7.385 (98,1%) მოსწავლე, თეთრი წყაროს რაიონში 7.537 მოსწავლის ნაცვლად—7.383 (98,1%) მოსწავლე. დიდია სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობა, რაც დასტურდება 1 კლასში მიღებულ მოსწავლეთა კონტინგენტის რვაწლედის ფარგლებში შენარჩუნების შესახებ არსებული ციფრობრივი მონაცემებით. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ-ში, სადაც 1960 წელს 1 კლასში ჩარიცხული 10.158 ბავშვიდან 1968 წელს რვა კლასი დაამთავრა მხოლოდ 6.929 (68,2%) მოსწავლემ. მარნეულის რაიონში 2.337 ბავშვიდან—1.371-მა (58,6%), ყვარლის რაიონში 904-დან 674-მა (74,5%), ონის რაიონში 497-დან 380-მა (75,4%), თეთრი წყაროს რაიონში 975-დან 609 (62,5%),

განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საყოველთაო ათწლიან სწავლებაზე გადასვლის საქმეს; ჯერ კიდევ დიდია იმ რვაკლასდამთავრებულთა რიცხვი, რომლებიც სწავლას აღარ აგრძელებენ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების IX კლასებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში; 1968—1969 სასწავლო წელს აფხაზეთის ასსრ-ში 6.929 კურსდამთავრებულიდან IX კლასში სწავლას აგრძელებდა—5.601 (79,4%), ონის რაიონში—380 მოსწავლიდან—201 (76,5%). სწორედ ამით აიხსნება ის, რომ 1968—1969 სასწავლო წელს რესპუბლიკაში არ შესრულებულა IX—X კლასების მოსწა-

ვლეთა კონტინგენტის გეგმა. გეგმით აფხაზეთის ასსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების აღნიშნულ კლასებში უნდა ესწავლა 11.212 მოსწავლეს, ფაქტიურად სწავლობს—10.726 (95,7%). ყვარლის რაიონში—1.132-დან—1.016 (89,7%), მარნეულის რაიონში—2.366-დან—2.233 (94,4%), ონის რაიონში—632-დან—582 (92,9%), თეთრიწყაროს რაიონში—880-დან—851 (96,7%).

აფხაზეთის ასსრ, მარნეულის, ონის, თეთრი წყაროს და ყვარლის რაიონების განათლების ორგანოები გადამჭრელ ზომებს არ იღებენ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად, ძირითადად ამის შედეგია ის გარემოება, რომ 1967—1968 სასწავლო წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლების I—VIII კლასების 83.740 მოსწავლიდან განითესა 2.556 ბავშვი (3,0%), ყვარლის რაიონში—7.355-დან—230 (3,1%), მარნეულის რაიონში—19.804-დან—62% (3,2%), ონის რაიონში—3.348-დან 188 (2,6%), თეთრი წყაროს რაიონში—8.232-დან—549 (6,6%), ხოლო 1968—1969 სასწავლო წელს მარნეულის რაიონიდან გავიდა 683 მოსწავლე, ონის რაიონიდან—120, ყვარლის რაიონიდან—215, თეთრი წყაროს რაიონიდან—252, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებიდან —12.830 მოსწავლე.

საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის შეუსრულებლობის უმთავრესი მიზეზია მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობა და მეორეწლიანობა, რაც ძირითადად, განათლების ორგანოების, სკოლის ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივების სუსტი მუშაობით არის გამოწვეული.

1968—1969 სასწავლო წელს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ გამოცხადდა 1.030 მეორეწლიანი მოსწავლე მარნეულის რაიონში—230, თეთრი წყაროს რაიონში—60. გასულ, 1968—1969 სასწავლო წლის ბოლოს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში იმავე კლასში დატოვეს 5.339, საშემოდგომო გამოცდა და საზაფხულო დავალება მიეცა—9.304 მოსწავლეს, შესაბამისად მარნეულის რაიონში დატოვეს—1.055, საშემოდგომო გამოცდა მიეცა—1.162; ყვარლის რაიონში—216, საშემოდგომო გამოცდა მიეცა—481; თეთრი წყაროს რაიონში—467, საშემოდგომო გამოცდა მიეცა—566, ონის რაიონში—151, საშემოდგომო გამოცდა მიეცა 560 მოსწავლეს.

განათლების ორგანოები და სკოლები მეორეწლიან მოსწავლეთა დასახმარებლად არ ატარებენ ეფექტურ ღონისძიებებს,

რითაც უნდა აიხსნას ის მოუთმენელი ფაქტი, რომ მეორეწლიანთა გარკვეული ნაწილი კვლავ ჩამორჩება და მესამე წელს იმავე კლასში რჩება. 1968—1969 სასწავლო წლის ბოლოს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებში მესამე წელს იმავე კლასში დატოვებული იქნა 547 მოსწავლე, თეთრი წყაროს რაიონში—87, ყვარლის რაიონში—41, ონის რაიონში—37, მარნეულის რაიონში—107.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიან განათლებას სერიოზულად უშლის ხელს ის, რომ სასკოლო ინტერნატების უმრავლესობაში მოსწავლეთა სწავლა-აღზრდისათვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები, მოუგვარებელია მოსწავლეთა კვების საქმე. სასკოლო ინტერნატები მოთავსებულია შეუფერებელ ბინებში, აკლიათ რბილი და მაგარი ინვენტარი, სუსტად წარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის აჟარის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატში (სკოლის დირექტორი ვ. კორძაია და აღმზრდელი ლ. პირველი). ასეთივე მდგომარეობაა პავლოვის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატში (დირექტორი კ. ჩალაძე), ხოლო ოჩამჩირის რაიონის აგუბედის საშუალო სკოლის სასკოლო ინტერნატი 1968—1969 სასწავლო წელს სათანადო შენობისა და საჭირო პირობების უქონლობის გამო დაიხურა.

სერიოზული ნაკლოვანებებია სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეში; სასკოლო ასაკის ბავშვთა არაზუსტი აღრიცხვისა და არასწორი დაგეგმვის შედეგად ყვარლის რაიონში 1968—1969 სასწავლო წლის დასაწყისისათვის 1 კლასის მოსწავლეთა კონტინგენტმა გეგმით გათვალისწინებულს 200 ბავშვით გადააჭარბა, ონის რაიონში—87-ით.

მოუწესრიგებელია მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა აფხაზეთის რესპუბლიკის განთიადის მე-2 საშუალო, აჟარის საშუალო, ცაცხნარის დაწყებით, ჩხარტის, მთისუბნის, გუმის, ახალსოფლის რვაწლიან სკოლებში.

ზოგიერთ სკოლაში ძალზე ცუდად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. თეთრი წყაროს რაიონის სამშვილდის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ოგანესიანი) მოუთმენლად დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, აქ მოსწავლეები ხელაღებით გადაჰყავთ კლასიდან კლასში.

ხშირია შემთხვევა, როდესაც დატოვებული მოსწავლე შემდგომ კლასში გადაჰყავთ. ასე, მაგალითად, ი. ს. ბაბანიანი, არსებული დოკუმენტების მიხედვით, შარშან დატოვებულ იქნა VII კლასში, მ/სასწავლო წელს კი მან VIII კლასი დაამთავრა. VIII კლასის მოსწავლეს მ. გ. მარჯარიანს I და II მეოთხედებში, დამაკმაყოფილებელი შეფასებანი ჰქონდა. III, IV მეოთხედებში სკოლაში არ უვლია და არც შეუფასებიათ, მაგრამ გამოცდებზე კი დაუშვეს. ასევე, V კლასში დატოვებული მოსწავლე გ. ლამაზიანი VI კლასში გადაიყვანეს, მაგრამ მან საპროგრამო მასალა ვერ დასძლია და სკოლა მიატოვა.

ამავე სკოლაში ადგილი აქვს სხვა სახის დარღვევებსაც: მოსწავლეებს, რომლებიც წლობით სრულებით არ დადიან სკოლაში სიიდან არ იღებდნენ, მანამ, სანამ 16 წელი არ შეუსრულდებათ, რის შემდეგ, როგორც ასაკგადაცილებულებს, სათანადო აქტებით იცილებენ თავიდან. 1967 წელს ასეთი აქტებით „ჩამოწერილია"— 5, 1968 წელს—3 მოსწავლე. VII და VIII კლასებიდან ამ გზით 22-ზე მეტი ბავშვია გასული.

დალეთ-ხაჩინის საშუალო სკოლაში (დირექტორი ს. შამოიანი) შემოწმებისას 1968—1969 სასწავლო წლის არცერთი საკლასო ჟურნალი არ აღმოჩნდა სკოლაში. როგორც გაირკვა ისინი მასწავლებლებს ჰქონდათ სახლში შესავსებად წაღებული, რაც ყოვლად დაუშვებელია. ასევე სკოლაში არ აღმოჩნდა პირველი კლასების პირადი საქმეები, რამაც ძალზე გააძნელა სკოლაში საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების სრულად შემოწმება. მიუხედავად ამისა, დადგინდა, რომ 1968—1969 სასწავლო წელს სკოლას ჩამოსცილებია 10 მოსწავლე.

თეთრი წყაროს მ/ახალგაზრდობის სკოლაში (დირექტორი ნ. ლაზოვი) შემდგომ კლასში რიცხავენ წინა კლასში დატოვებულ მოსწავლეებს, ხოლო კვალის დასაფარავად აუქმებენ მოსწავლეთა პირად საქმეებს. ამ სკოლის VII—VIII კლასის არც ერთ მოსწავლეს არა აქვს განათლების ცნობა, ყველა ჩარიცხულია გამოცდებით, მაგრამ სკოლაში არ აღმოჩნდა ამ მოსწავლეთა წერითი ნამუშევრები. სუსტი მომზადების გამო მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ძლევს საპროგრამო მასალას და ტოვებს სკოლას; მარტო წლეულს თავი მიანება სწავლას მასობრივი სკოლებიდან გადმოსულმა 28 მოსწავლემ.

მარნეულის რაიონის სკოლებიდან სწავლებას ჩამოშორდა 313 სასკოლო ასაკის ბავშვი, თეთრიწყაროს რაიონის სკოლებიდან—100-ზე მეტი. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მარტო 176 შემოწმებული სკოლიდან სწავლებას ჩამოშორებულია 143 მოსწავლე, მათ შორის ქ. სოხუმიდან—11, ქ. ტყვარჩელიდან—14, გაგრის რაიონიდან—9, გუდაუთის რაიონიდან—28, სოხუმის რაიონიდან—14, გულრიფშის რაიონიდან 21, ოჩამჩირის რაიონიდან 32, გალის რაიონიდან—14 მოსწავლე. ძალზე არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზოგიერთ სკოლაში. მაგალითად, გულრიფშის რაიონის დრანდის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ხ. გვაგვალია) გასულია 5 მოსწავლე, ბაბუშერის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ვ. შენგელია)—4, კელასურის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ა. შანგუა)—3, გუდაუთის რაიონის ადჟამიჩირის რვაწლიანი სკოლიდან (დირექტორი ვ. სანგუა)—9, გუდაუთის მე-4 საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ჟიკირბა)—5, გუდაუთის რვაწლიანი სკოლიდან (დირექტორი გ. დბარი)—4, ოჩამჩირის რაიონის ფოქვეშის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ე. ფაჩულია)—6, ფოქვეშის რვაწლიანი სკოლიდან (დირექტორი ს. ტანია)—5, ოჩამჩირის მე-4 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ტ. გაბელია)—3, სოხუმის რაიონის ზემო ეშერის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ს. ალპეტიანი)—5, გალის რაიონის აჩიგვარის პირველი საშუალო სკოლიდან (დირექტორი გ. გეგეჭკორი)—3, მუხურის საშუალო სკოლიდან (დირექტორი ი. გვალია)—3, ქ. სუხუმის მე-12 საშუალო სკოლიდან (დირექტორი პ. ცუცქირიძე)—4, ტვარჩელის მე-5 საშუალო სკოლიდან (დირექტორი ბ. თარბა)—3, გაგრის რაიონის წინსვლის მე-2 რვაწლიანი სკოლიდან (დირექტორი ე. მინასიანი)—2, ხევანის მე-2 საშუალო სკოლიდან (დირექტორი დ. ფილია)—2 სასკოლო ასაკის ბავშვი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა ა. ჯონუამ, მარნეულის, ონის, თეთრი წყაროს, ყვარლის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ა. პაიდაროვმა, ვ. მაისურაძემ, გ. ზექაურმა და დ. ლაფაჩიშვილმა:

ა) დამატებით შეისწავლონ 1968—1969 სასწავლო წლის განმავლობაში სკოლების I—VIII კლასებში მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების მიზეზები და სათანადო ღონისძიებების გასატარებლად საკითხი განსახილველად გაიტანონ მინისტრთა საბჭოს და რაისაბჭოს აღმასკომის სხდომებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სისტემატური და მტკიცე კონტროლი დააწესონ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სკოლების მიერ სტატისტიკური ფორმების სწორად შევსებაზე; დროულად წარუდგინონ ზემდგომ ორგანოებს ზუსტი მონაცემები მოსწავლეთა კონტინგენტის შესახებ მოსწავლეთა რაოდენობისა და კლასების რეალური მდგომარეობის მიხედვით დაგეგმვის მიზნით;

გ) მკაცრად გააფრთხილონ სკოლის დირექტორები, რათა მტკიცედ დაიცვან მოსწავლეთა მოძრაობის წესი, არ დაუშვან სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა მისი პირადი საქმის მიღებამდე და გადაჭრით აღკვეთონ ერთი და იგივე ბავშვის ორ სკოლაში აღრიცხვის შემთხვევები;

დ) ზუსტად აღრიცხონ სკოლიდან გასული სასკოლო ასაკის ბავშვები და უზრუნველჰყონ მათი 1969—1970 სასწავლო წლის 1 სექტემბრისათვის სწავლებაში უკლებლივ ჩაბმა; მკაცრად დასაჯონ, თანამდებობიდან განთავისუფლებამდეც კი, სკოლის დირექტორები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ჩაბმას სწავლებაში;

ე) სასკოლო ასაკის ბავშვები, რომლებიც ავადმყოფობის გამო დროებით ვერ დადიან სკოლაში, ჩათვალონ ამ სკოლის მოსწავლეებად და უჩვენონ მოსწავლეთა რაოდენობაში, ხოლო ავადმყოფ მოსწავლეს ჩაუტარონ ინდივიდუალური მეცადინეობა;

ვ) გადაჭრით აამაღლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოსწავლე თავის დროზე ამთავრებდეს 8 კლასს.

2. თეთრი წყაროს რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე შ. ბექაური) დამატებით შეისწავლოს სამშვილდის, დაღეთიხაჩენის საშუალო სკოლების მუშაობა, გაატაროს საჭირო ღონისძიება და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს განათლების სამინისტროს.

3. ნება დაერთოს ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებას ლეკური სოფლების 2 დაწყებით სკოლაში ახალი სასწავლო წლიდან გახსნას V კლასები.

4. აღნიშნული ბრძანება განიხილონ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის, მარნეულის, ონის, თეთრიწყაროს და ყვარლის რაიონების სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ხონ** კონკრეტული ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განსახორციელებლად.

5. სკოლების სამმართველომ (აკ. ჩხიკვაძე) ზედამხედველობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1969 წლის 27 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. იბოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1969 წ. 9 ივლისის ბრძანება № 390

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის გრაფიკის შესახებ

რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე სკოლების გადაყვანასთან დაკავშირებით.

განათლების სამინისტროს კოლეგიამ გადასინჯა და დაამტკიცა ახალ სასწავლო გეგმებზე, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის გრაფიკი და შესაბამისად შეასწორა რესპუბლიკის სკოლების ახალ შინაარსზე გადაყვანის გეგმა.

1966 წლიდან რესპუბლიკის არარუსული სკოლები ახალი პროგრამებით მუშაობენ 9 სასწავლო დისციპლინაში, რუსული სკოლები—15 საგანში. მომავალ სასწავლო წელს ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით იმუშავებს შესაბამისად კიდევ 5 და 13 კლასი. მომდევნო სამი წელი ამ მხრივ კიდევ უფრო დატვირთული იქნება. განსაკუთრებულ სირთულესთანაა დაკავშირებული I—IV კლასების გადაყვანა, რადგან ყველაზე რადიკალური ცვლილებები სწორედ ამ კლასების სასწავლო პროგრამებში ხდება.

რესპუბლიკის ზოგიერთ სკოლაში ექსპერიმენტულად მოწმდება ახალი პროგრამები, სახელმძღვანელოები და ახლებურად სწავლების გზებისა და მეთოდების ეფექტურობა.

მიუხედავად ამისა, ახალი პროგრამების შემოღებასთან დაკავშირებით არის არსებითი ნაკლოვანებანიც: ირღვევა გადასვლის ვადები, ყოვნდება დამხმარე სახელმძღვანელოებისა და მეთოდური

ლიტერატურის დამუშავება-გამოცემა, ჯეროვნად არაა ორგანიზებული ახალი პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთა მომზადების, მათი გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისა და პროპაგანდის საქმე.

ახალ სასწავლო გეგმებზე, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე სკოლების ორგანიზებულად და გეგმაზომიერად გადაყვანის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს ახალ სასწავლო გეგმებზე, პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე გადასვლის შესწორებული გრაფიკი (თან ერთვის).

სკოლების სამმართველომ, სახელმძღვანელოებისა და მეთოდურმა განყოფილებებმა (ამხ. ამხ. აკ. ჩხიკვაძემ, ტ. ტყემალაძემ, ვ. ცაავამ) სათანადო კონტროლი დააწესონ ამ გრაფიკის შესრულებაზე, დროულად ჩაატარონ მოსამზადებელი მუშაობა სახელმძღვანელოებითა და დამხმარე ლიტერატურით სკოლების უზრუნველსაყოფად.

2. განათლების სისტემის უმთავრეს ამოცანად ჩაითვალოს უახლოეს წლებში I—IV კლასების გადაყვანა ახალ პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე.

რესპუბლიკის რუსული სკოლების I კლასების გადასვლა ახალ პროგრამებზე მოხდეს 1969 წლის 1 სექტემბრიდან, IV კლასებისა—1970 წლის 1 სექტემბრიდან, ხოლო არარუსული სკოლების I კლასების—არაუგვიანეს 1970 წლის 1 სექტემბრისა, IV კლასების—1971 წლის 1 სექტემბრისა.

3. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო განათლების განყოფილების გამგემ:

ა) თანდართული გრაფიკის შესაბამისად შეიტანონ ცვლილებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის გეგმაში და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ახალი პროგრამების დროულად შემოღების უზრუნველსაყოფად;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I—IV კლასების ახალ პროგრამებზე გადაყვანის ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა.

ამასთან, გააძლიერონ მუშაობა დაწყებითი სკოლების IV კლასის მოსწავლეთა შესაბამის 8-წლიან და საშუალო სკოლებში გადასაყვანად და სასკოლო ინტერნატების ქსელის გასაფართოებლად, უზრუნველყონ I—IV კლასებში ახალი პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთა გადამზადება. დასახონ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების, მეთოდური მითითებების, დიდაქტიკური და სხვა თვალსაჩინო მასალების მომზადებისა და გამოცემის კონკრეტული გზები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. გ. ფოფხაძემ):

ა) 1970 წლის 1 ივლისამდე მოამზადოს და წარადგინოს განათლების სამინისტროში დიდაქტიკური მასალა IV კლასებისათვის მათემატიკაში;

ბ) 1970 წლის 1 ივლისამდე დაამუშაოს მეთოდური რეკომენდაციები მათემატიკაში ახალი პროგრამებით მომუშავე მასწავლებლებისათვის;

გ) ახალი პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შემოღებამდე მოამზადოს სანიმუშო რეკომენდაციები II—IV კლასების მასწავლებელთათვის ბუნებისმცოდნეობაში;

დ) 1971 წლის 1 მარტამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას წარუდგინოს IV კლასის ბუნებისმცოდნეობის პროგრამა.

5. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძემ) წარადგინოს კოლეგიაზე დასამტკიცებლად:

ა) IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების ხელნაწერი 1970 წლის 1 მაისისათვის;

ბ) II და IV კლასების რუსული ენის სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის და მეთოდური მითითებანი 1970 წლის 1 სექტემბრამდე.

გ) II და IV კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოები (მეთოდური მითითებებით) 1970 წლის 1 სექტემბრისათვის.

6. ეთხოვოს გამომცემლობა „განათლებას“ (ს. ბერულავას) 1969—1970 სასწავლო წლისათვის გამოსცეს შ. იაშვილისა და შ. ბაკურაძის 1 კლასის არითმეტიკის სახელმძღვანელო (შედგენილი ახალი პროგრამის შესაბამისად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ (გრ. საჯაიამ) დარგობრივმა დამატებებმა, გაზეთ „სახალხო განათლებამ“ (ნ. შველიძემ) სისტემატურად გამოაქვეყნონ სტატიები და მასალები მასწავლებელთა დასახმარებლად ახალი სასწავლო პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით მუშაობის ორგანიზაციულ ფორმებსა და მეთოდიკის სხვა აქტუალურ საკითხებზე.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **თ. ლაშქარაშვილი**

Приложение

## График перехода на новые программы
(для русских школ Грузинской ССР)

| №№ п/п. | ПРЕДМЕТЫ | 1966—67 у/г. | 1967—68 у/г. | 1968—69 у/г. | 1969—70 у/г. | 1970—71 у/г. | 1971—72 у/г. | 1972—73 у/г. | 1973—74 у/г. | 1974—75 у/г. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | Русский язык | — | — | — | 1 | 2,4 | 3,5 | 6 | 7 | 8 |
| 2 | Литература | 7,8 | 9 | 10 | — | 4 | 5 | 6 | — | — |
| 3 | Математика | — | — | — | 1 | 2,4 | 3,5 | 6 | 7,9 | 8,10 |
| 4 | История СССР | 7,8,9,10 | — | — | — | 4 | — | — | — | — |
| 5 | Всеобщая история | 8,9,10 | — | — | 6 | 5 | — | — | — | — |
| 6 | Обществоведение | | — | 10 | — | — | — | — | — | — |
| 7 | Природоведение | — | — | — | — | — | 2,3 | 4 | — | — |
| 8 | География | — | — | 5,9 | 6 | 7 | 8 | — | — | — |
| 9 | Биология | 10 | — | 5,8 | 6 | 7,9* | — | — | — | — |
| 10 | Физика | | — | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | — | — |
| 11 | Астрономия | — | — | — | 10 | — | — | — | — | — |
| 12 | Черчение** | — | — | — | 7 | 8 | — | 6** | — | — |
| 13 | Иностранные языки*** | | | | | | | | | |
| 14 | Химия | — | — | 10 | 7,8 | 9 | — | — | — | — |
| 15 | Изобразительное искусство | — | 5,6 | — | 1 | 2,4 | 3 | — | — | |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | Пение и музыка . . . . . . . . . . | — | 5,6 | — | 1 | 2,4* | 3 | — | — | — |
| 17 | Физическая культура . . . . . . . . . | — | 5,6,7, 8,9,10 | — | 1 | 2,4 | 3 | — | — | — |
| 18 | Трудовое обучение . . . . . . . . . | — | 5,6,7 8,9,10 | — | 1 | 2,4 | 3 | — | — | — |

**Примечание:** *) с 1970/71 уч. года новая программа по биологии, введенная ранее в X классе, будет изучаться, начиная с IX класса.

**) с 1972/73 уч. года новая программа по черчению, введенная ранее в VII и VIII классах, будет изучаться, начиная с VI класса.

***) преподавание иностранных языков с 1962/63 уч. года осуществляется по переработанным программам.

**Методический отдел Министерства просвещения Грузинской ССР**

## ახალ პროგრამებზე გადასვლის გრაფიკი
### (საქართველოს სსრ ქართული სკოლებისათვის)

| №№ რიგზე | საგნები | 1966—67 ს/წ. | 1967—68 ს/წ. | 1968—69 ს/წ. | 1969—70 ს/წ. | 1970—71 ს/წ. | 1971—72 ს/წ. | 1972—73 ს/წ. | 1973—74 ს/წ. | 1974—75 ს/წ. | 1975—76 ს/წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1 | ქართული ენა | — | — | — | — | 1 | 2,4 | 3,5 | 6 | 7 | 8 |
| 2 | ქართული ლიტერატურა | — | — | 8 | 9 | 10 | 4 | 5 | 6 | 7 | — |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა | — | — | — | — | — | 2,4,8 | 3,5,9 | 6,10 | 7 | — |
| 4 | მათემატიკა | — | — | — | — | 1 | 2,4 | 3,5 | 6 | 7,9 | 8,10 |
| 5 | სსრკ ისტორია | 7,8,9,10 | — | — | — | — | 4 | — | — | — | — |
| 6 | მსოფლიო ისტორია | 8,9,10 | — | — | — | 6 | 5 | — | — | — | — |
| 7 | საზოგადოებათმცოდნეობა | — | — | — | — | 10 | — | — | — | — | — |
| 8 | ბუნებისმცოდნეობა | — | — | — | — | — | — | 2,3 | 4 | — | — |
| 9 | გეოგრაფია | — | — | 9 | 5 | 6 | 7 | 8 | — | — | — |
| 10 | ბიოლოგია | 10 | — | — | 5,8 | 6 | 7,9* | — | — | — | — |
| 11 | ფიზიკა | — | — | — | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | — | — |
| 12 | ასტრონომია | — | — | — | — | 10 | — | — | — | — | — |
| 13 | ხაზვა | — | — | — | — | 7 | 8 | — | 6** | — | — |
| 14 | უცხოური ენა | — | — | — | — | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 15 | ქიმია | — | — | — | 10 | 7,8 | 9 | — | — | — | — |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | სახვითი ხელოვნება . . . . . . . . . . | — | — | 5,6 | — | 1 | 2,4 | 3 | — | — | — |
| 17 | სიმღერა და მუსიკა . . . . . . . . . . | — | — | 5,6 | — | 1 | 2,4 | 3 | — | — | — |
| 18 | ფიზიკური კულტურა . . . . . . . . . | — | — | 5-10 | — | 1. | 2,4 | 3 | — | — | — |
| 19 | შრომითი სწავლება . . . . . . . . . . | — | 5-10 | — | — | 1 | 2.4 | 3 | — | — | — |

შენიშვნა: *) 1971/72 სასწავლო წელს IX კლასიდან მუშაობა დაიწყება X კლასში ადრე შემოღებული ზოგადი ბიოლოგიის ახალი პროგრამით.

**) 1972/73 სასწავლო წელს VI კლასიდან მუშაობა დაიწყება VII და VIII კლასებში ადრე შემოღებული ხაზვის ახალი პროგრამით.

მეთოდური განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების 1969 წლის 23 მაისის ბრძანება № 2—257/302

## საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასოფლო-სამეურნეო საცდელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

მოწონებული იქნას მცხეთის რაიონის ინიციატივა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს შორის მტკიცე კონტაქტის დამყარების შესახებ, რაც იმით გამოიხატება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ ამ რაიონში არსებული სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები: მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეფობას უწევს მცხეთის რაიონის სოფ. სოფ. ძვ. ქანდას, ჩარდახის, გალავნის და მცხეთის საშუალო სკოლებს; ეხმარებიან მათ საცდელი ნაკვეთების მოწყობაში და ბიოლოგიური დისციპლინების უფრო ღრმად შესწავლაში; აწვდიან სკოლებს სასოფლო სამეურნეო კულტურების თესლს, ქიმიურ პრეპარატებს, ლიტერატურას და სხვ. გარკვეულ დახმარებას ამ მიმართებით უწევს სკოლებს აგრეთვე მცხეთის რაიონში არსებული სასელექციო სადგური.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ბიოლოგიური დისციპლინების სწავლებისა და საცდელი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებმა:

ა) სათანადო დახმარება გაუწიონ მათთან ახლომდებარე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს საცდელი საქმის ორგანიზაციაში, ბიოლოგიური საგნების უფრო ღრმად და საფუძვლიანად შესწავლაში, მოსწავლეთა შრომითი აღზრდის საქმეში;

ბ) დაეხმარონ სკოლებს თესლითა და ქიმიური ოპერატორების გამოყოფით, კონსულტაციებით, პრაქტიკული რჩევა-დარიგებებით და აგრეთვე გადასცენ სკოლებს სამინისტროს ნებართვით ისეთი მანქანა-იარაღები და ინვენტარ-მოწყობილობა, რაც სამეცნიერო დაწესებულებებისათვის საჭირო არ არის.

2. რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებმა და განათლების განყოფილებებმა ფართოდ გაშალონ საშეფო მუშაობა და მათ მიერ განხორციელებული ღონისძიების შესახებ ანგარიშები წარმოუდგინონ შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და განათლების სამინისტროს ყოველი წლის 1 დეკემბრისათვის.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი
**მ. ღვინჯილია**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


1: შრომის შინაგანაწესი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაკთათვის . . . . . . . . . . . . 3

2. ბრძანება № 242—1968 წლის სახელმწიფო კაპდაბანდებით გათვალისწინებული განათლების ობიექტების მშენებლობისა და სიმძლავრეთა ექსპლოატაციაში გადაცემის გეგმის შესრულების შესახებ . . . . . . 22

3. ბრძანება № 247—რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში შრომითი სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . 26

4. ბრძანება № 268—ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეთათვის ავტოსაქმის სწავლების შესახებ . . . . . . 37

5. ბრძანება № 279—რესპუბლიკის სკოლამდელ დაწესებულებათა მდგომარეობისა და მათი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (სსრკ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის სამმართველოს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების მიხედვით) . . . 48

6. ბრძანება № 303—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების მოსწავლეთა XXI რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩატარებისა და მოსწავლეთა XI სრულიად საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობის შესახებ 54

7. ბრძანება № 316—რესპუბლიკური ბიუჯეტით 1968 წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 57

8. ბრძანება № 319—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სასკოლო და განათლების სისტემის სხვა ბიბლიოთეკების მუშაობის საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ . . . . . . . . . 59

9. დადგენილება—ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სკოლისგარეშე დაწესებულებების რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . 66

10. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილება—სსრკ განათლების სამინისტროს, სსრკ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების—„კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ"—განხორციელებაში საქართველოს სსრ განათლების ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებისა და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 72

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და საქართველოს ალ[illegible] ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ერთობლივი დადგენილება ბუნების ნორჩ მეგობართა მე-4 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ბუნების ნორჩ მეგობართა მე-5 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების ღონისძიებათა შესახებ . 88

12. ბრძანება № 435—აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, მარნეულის, ონის, თეთრიწყაროსა და ყვარლის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების შესახებ . . . . 99

13. ბრძანება № 390—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლის გრაფიკის შესახებ . . . 107

14. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიების ერთობლივი ბრძანება № 2—257/302 —საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასოფლო-სამეურნეო საცდელი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 115

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 12 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/XI-69 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5. ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 7,5.

შეკვ. 1143. უე—00945 ტირაჟი 5.000.

---

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров Груз. ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19